

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი

ივანე როდუპიდი

# დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი — 1971

ივანე ლოლაშვილის ეს წიგნი წარმოადგენს ისტორიულ-ფილოლოგიური და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ხასიათის ნარკვევს. მასში განხილულია თამარ მეფის ქმრის — დავით სოსლანის (+1207) ბიოგრაფიული საკითხები (ვინ იყო ჩამომავლობით, რა ვითარებაში გარდაიცვალა, სად არის დაკრძალული) და მის აკლდამად ნაგარაუდები ეკედერის (ანუ ნუზალის ეკლესიის) ისტორია.

1946 წელს არქეოლოგმა ე. პხელინამ სოფ. ნუზალში (არდონის ხეობა) აღმოაჩინა ქვის აკლდამა, რომელშიც ესვენა ახალგაზრდა, ვაჟკაციური აღნაგობის მამაკაცის ჩონჩხი, და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ჩონჩხი ეკუთვნის დავით სოსლანს. 1969 წელს ანთროპოლოგმა თ. მამუკაევმა გამოაქვეყნა წიგნი „ნუზალის ეკედერის საიდუმლო“, რომელშიც მოცემულია ცდა დავით სოსლანის პორტრეტის აღდგენისა და განვითარებულია ე. პხელინას ჰიპოთეზა.

ი. ლოლაშვილმა იმოგზაურა არდონის ხეობაში, შეისწავლა ნუზალის ეკლესიის მხატვრობა, წარწერები, ხეობის ისტორიული ძეგლები და ადგილები, სამეცნიერო ლიტერატურა და ამის შედეგად დაწერა წინამდებარე ნარკვევი.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

## ნ ი ნ ა ბ ჭ ე

1966 წლის 29 სექტემბერს თბილისში რუსულად, ხოლო 1967 წელს პარიზში ფრანგულად გამოქვეყნდა ი. მეგრელიძის ინფორმაცია — „ახალი ცნობები დავით სოსლანზე“, რომელშიც აღნიშნულია, თუ თამარ მეფის მეუღლე, გამოჩენილი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე — დავით სოსლანი (ოსი ბაგრატიონების ჩამომავალი) 1207 წელს რა ვითარებაში გარდაიცვალა და მისი ცხედარი სად არის დაკრძალული.

შემდეგ იქვე ნათქვამია:

„მიმდინარე წლის 20 ივნისს ამ სტრიქონების ავტორი დე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ი. ლოლაშვილი ვიყავით ქალ. ორჯონიკიძეში და ვესაუბრეთ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს — პროფ. მ. ტოტროვს, რომელმაც გვიაშბო, თუ ჩრდილო ოსეთის მეცნიერები როგორ ემზადებიან დიდი რუსთაველის 800 წლისთავისათვის. ამ თარიღთან დაკავშირებულ მოვლენათაგან ერთი ისაა, რომ ნუზალის ეკლესიაში აღმოჩნდა დავით სოსლანის საფლავი. «კომისიის მიერ (რომლის მონაწილე მეც ვიყავ) ჩონჩხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ დავით სოსლანი ყოფილა სიმაღლით 186 სანტიმეტრი, ვაჟკაცური აგებულებისა. ის კი არ მომკვდარა, არამედ მოუკლავთ, — თავის ქალაზე კეფასთან დარჩენილია დარტყმის ნაკვალები, გადატეხილია ხერხეშალი და დაზიანებულია ხელის მტევანი. ეს ჩონჩხი რომ მართლაც დავითისაა, დასტურდება კედლის წარწერით «და ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი», რომელიც შესრულებულია ქართული ასოებით». პროფ. მ. ტოტროვი იუწყება, რომ ჩონჩხის მიხედვით დ. სოსლანის გარეგნობის აღდგენა დავალებული აქვს ცნობილ საბჭოთა ანთროპოლოგს,

არქეოლოგსა და მოქანდაკეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მ. გერასიმოვს. სამუშაო დამთავრებულია და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიუსტი, როგორც ჩრდილო ოსეთის დელეგაციის საჩუქარი, ჩამოტანილ იქნება თბილისში დიდი პოეტის საიუბილეო ღღებში“<sup>1</sup>.

ამ ცნობის გამოქვეყნების მეორე დღიდანვე დაინტერესებული პირები მეკითხებოდნენ: რაშია საქმე? რა საფლავი აღმოჩნდა? ვინ აღმოაჩინა და როდის? მართლა მოუკლავთ დავითი თუ ყველაფერი ეს მოგონილია?... ამ კითხვებზე არაფრის თქმა არ შემეძლო, რადგანაც ოსურ სამეცნიერო ლიტერატურას არ ვიცნობდი და არც ნუზალში ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრაზე მქონდა გარკვეული წარმოდგენა. ამან ჩემში აღძრა ინტერესი, რომ შემესწავლა ნუზალის ეკლესიის წარწერები. მხატვრობა, სამეცნიერო ლიტერატურა და დამედგინა სოსლანის გარდაცვალება-დაკრძალვის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა მცდარობა-ჭეშმარიტება. საამისოდ გავიცანი ვს. მილერის, ვ. პფაფის, გრ. უვაროვას, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, ზ. კიკინაძის, ლ. სემიონოვის, ბ. სკიტკისა და სხვათა შრომები, „Заря Востока“-ში (1946, № 123) გამოქვეყნებული წერილი „გათხრები ჩრდილო ოსეთში“ და მასზე ს. ჯანაშიას გამომხაურება; ხელახლა გადავიკითხე თამარის ისტორიკოსთა მატეიანეები, ჟამთააღმწერელის თხზულება, ვახუშტის „ისტორია“ და „გეოგრაფია“ და ზოგიერთი სხვა საისტორიო წყაროც, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მივლინებით გავემგზავრე არდონის ხეობაში ნუზალის ეკლესიის სანახავად და იქაური მხატვრობისა და წარწერების შესასწავლად.

---

<sup>1</sup> И. Мегрелидзе. Новые сведения о Давиде Сослани («Вечерний Тбилиси», 1965, № 226); J. Megrélidze. Nouvelles données sur David Soslani (Revue de Kartvélogie, XXIII—XXIV, № 52—53. Paris, 1967. გვ. 134—135).

## დავით სოსლანის აკლდამის

### მაძიებელი და ნუზაღის ეპიგრაფის საიდუმლოება

1941 წელს არქეოლოგმა ევგენია გიორგის ასულმა პჩელინამ ჩრდილო-ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ქ. ორჯონიკიძე) წაიკითხა მოხსენება, რომელშიც გამოთქვა მოსაზრება, რომ არდონის ხეობის ისტორიულ ძეგლში — ნუზაღის ეკლესიაში უნდა იყოს დაკრძალული თამარ მეფის მეუღლე — დავით სოსლანი<sup>2</sup>.

1946 წლის ორ ივნისს იმავე ინსტიტუტის დავალებით ე. პჩელინამ ნუზაღის ეკლესიაში მოახდინა არქეოლოგიური გათხრა, რომელსაც დაესწრნენ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ს. კუსაევა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი ტ. ტურგიევი და სიძველეთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე არქიტექტორი ი. პოლუეტკოვი. მათ მოხსნეს კანკელი, აყარეს იატაკი და გათხარეს მიწა, რომლის სიღრმეში აღმოჩნდა აკლდამის ფილები, მათ ქვეშ კი — ლამაზად გათლილი ქვის კუბო. მუშაობა დროებით შეაჩერეს. მოვიდნენ მთავრობის წარმომადგენლები და მეცნიერები (მათ შორის პროფ. ბ. სკიტსკი) და მათთან ერთად გააგრძელეს აკლდამის გახსნა.

ქვის კუბოში აღმოჩნდა მაღალი და ძლიერი აგებულების ახალგაზრდა (35 წლის) მამაკაცის ჩონჩხი, საკმაოდ კარგად შენახული, კარგადვე შენახული თავის ქალა მშვე-

---

2 З. Н. Ванеев, Народное предание о происхождении осетин. Сталинград, 1956, стр. 12.

ნიერით ერთი კბილებით ურთ. მიცვალებულს შემორტყმული ჰქონდა ქამარი, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო მოკლე და სწორი ცალპირა ხმალი და მარჯვენა ხელი ამ ხმალზე ესვენა. იქვე ეწყო რკინის სამი რგოლი, ტალ-კვესი, სანადირო დანა და ორი ალჩუ-კოქი. ჩონჩხი წაიღეს ორჯონიკიძეში ძვლების გასამაგრებლად და მეცნიერული შესწავლის მიზნით<sup>3</sup>.

ე. პჩელინამ ჩრდილო-ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს წარუდგინა ხელნაწერად ნარკვევიც — „Пузальская часовня в Северной Осетии“<sup>4</sup> და ოსურად გამოაქვეყნა წერილი „ნუზალის ეკვდერი — დავით სოსლანის აკლდამა“<sup>5</sup>. ორივე შრომაში მან განავითარა მოსაზრება, რომ ნუზალში აღმოჩენილი ნეშტი ეკუთვნის სოსლანს, ხოლო ეკვდერი აგებულია მისი დაკრძალვის უმალ XIII ს-ის დასაწყისში.

ამ აღმოჩენას იმავე წლის 21 ივნისს გამოეხმაურა „Заря Востока“ წერილით „Раскопки в Северной Осетии“ (1946, № 123). აქ ვკითხულობთ:

„ამას წინათ ე. გ. პჩელინამ ჩრდილო-ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება ნუზალის ეკვდერისა და 1207 წელს გარდაცვლილი დავით სოსლანის გვამის მასში შესაძლებელი არსებობის შესახებ. თავის ვარაუდს პჩელინა აფუძნებდა მასზე, თითქოს დავით სოსლანი წარმოიშვა ცარაზონთა ოსური გვარისგან, რომელიც გამოვიდა სოფელ ნუზალიდან (ალაგირის ხეობა). ნუზალში არის ეკვდერი; თავისი არქიტექტურული ფორმით იგი წარმოადგენს ტიპიურ ოსურ «ზაპადნს» (სამარხ კოშკს). აქ მოიპოვება წარწერა. ქართული სტილით შესრულებული. ერთ კედელზე მოთავსებულია ხუთი საერო პირის პორტრეტი წარწერათა ნარჩენებით: «ათონ, ჯადრონ, სოსლან»... ორი უკანასკნელი წარწერა ჯერ კიდევ არ არის გარჩეული, მაგრამ პჩელინას ვარაუდით, ისინი ასე შეიძლება წაკითხულ იქნეს: ლაშა გიორგი და დავითი (უღლუ). ამრიგად, თუ

3 А. Новикова, Гробница Давида Сослана (გაზ. «Социалистическая Осетия», 1946, № 115, 9.VI.).

4 Архив СОНИИ, Ист. отд. № 6, опис. 10.

5 «Растдзинад», 1946, № 115 (8.VI).

პირველია დავით სოსლანის პაპა, მეორე — მამა, მაშინ ორ-  
უკანასკნელი არის შვილი და შვილიშვილი. «ოსური ჩვეულებ-  
ბა, — ამბობს პჩელინა, — არ იძლევა უცხო მიწაზე გარდაც-  
ვლილი გვამის დატოვების უფლებას, არამედ მოითხოვს მის  
დამარხვას საგვარეულო სასაფლაოზე. მით უმეტეს ეს ჩვეუ-  
ლება უნდა დაეცვათ გვარის განსაკუთრებულად გამოჩენილ  
წევრთა მიმართ. ძნელი დასაშვებია, ცნობილი მეომრისა და  
მხედართმთავრის, თამარ მეფის ქმრის, დავით სოსლანის გვამი  
დაეკრძალათ არა-საგვარეულო სასაფლაოზე. ამიტომ, რამდენა-  
დაც ნუზალი წარმოადგენს მის მშობლიურ სოფელს და აქ  
აგებულია ეკვდერი, რომლის ფრესკებზეც გამოხატული არიან  
სახელდებით დავით სოსლანის წინაპრები, მე მგონია, ამ ეკვ-  
დერში დამარხული უნდა იყოს დავით სოსლანი»...

„Заря Востока“-ს რედაქციამ სთხოვა ს. ჯანაშიას, რომ  
მას ე. პჩელინას ჰიპოთეზზე მოსაზრება გამოეთქვა. ს. ჯანაშიამ  
იქვე მოკლე შენიშვნა დაბეჭდა. აი, ესეც:

„საგაზეთო მასალის მიხედვით, შეუძლებელია საბოლოო  
აზრის შემუშავება ძეგლის რაობაზე; თუმცა სიზუსტისათვის  
საკიროა მივუთითოთ შემდეგი: ჩრდილო ოსეთის ქართული  
წარწერა, რომელიც იხსენიებს ათონს, ჯადრონს, დავით სოს-  
ლანს, პირველად გამოაქვეყნა XVIII საუკუნის ქართველმა ის-  
ტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა. სამწუხა-  
როდ, ეს წარწერა ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი კ ვ ლ ე ვ ი ს ს ა გ ნ ა დ  
ა რ ა ქ ც ე უ ლ ა და არ ვიცით, რა დროს მიეკუთვნება იგი.  
თამარ მეფის ქმარი დავით სოსლანი ეკუთვნოდა ბაგრატიონე-  
ბის ქართული სამეფო დინასტიის გვერდითს შტოს, რომელიც  
ოსეთში დამკვიდრდა XI საუკუნეში და ცნობილია ბაგრატიონ-  
ეფრემისძის სახელით. ა რ ა ვ ი თ ა რ ი ის ტ ო რ ი უ ლ ი მ ო -  
ნ ა ც ე მ ი ა რ მ ო ი პ ო ვ ე ბ ა ი მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, რომ ეს  
მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს ა ხ ლ ი წ ა რ მ ო ი შ ვ ა ს ო ფ. ნ უ ზ ა ლ ი -  
დ ა ნ და ამ მიმართულებით ვარაუდი სარის-  
კოა. მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღმოჩენილი ჩონჩხი  
ეკუთვნის ახალგაზრდა, 35 წლის მამაკაცს, ექვს აძლიერებს.  
თუ სოსლანი სიკვდილის წელს (1207 წ.) იყო მხოლოდ 35  
წლისა, მაშინ თამარზე ქორწინების წელს (1189 წ.) ის უნდა  
ყოფილიყო არა უმეტეს 16—17 წლისა, რაც სრულიად დაუჭე-

რებელია. დამარხული ინვენტარის სიღარიბეც არ უჭერს მხარს ვარაუდს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს მეფე დავით სოსლანის დაკრძალვასთან, პირიქით, შეიძლება ეს მხოლოდ ამ ვარაუდის საწინააღმდეგოს მეტყველებდეს“.

ს. ჯანაშიას შენიშვნის შემდეგ ე. პჩელინამ კვლავ განავითარა თავისი შეხედულება სამ სტატიამში: 1. „დავით სოსლანი და თამარი“<sup>6</sup>, 2. „რატომ ვთელი ნუზალის ეკლესიას დავით სოსლანის აკლდამად“<sup>7</sup> და 3. „Ответ Академику С. Джанашиа“<sup>8</sup>. სამივეგან თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიშველია ძველი არგუმენტები და საკითხის შესასწავლად ახალი არაფერი უთქვამს. რაკი ნუზალის ქართული წარწერები არცყო მეცნიერულად შესწავლილი, ამან განაპირობა ჩემი გამგზავრება არდონის ხეობაში.

1966 წლის ოქტომბერში ჩავედი ორჯონიკიძეში; შევხვედი იქ მ. ტოტროვს, უალრესად გულისხმიერ და საქმიან ადამიანს. დიდხანს ვისაუბრეთ: მან უკმაყოფილება გამოთქვა ი. მეგრელიძის ზემოხსენებულ წერილზე, რომელიც შეიცავს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს; თავისთავს ადანაშაულებდა, რომ ჩვენთან დაუმთავრებელ საქმეზე ჩამოაგდო საუბარი. ბოლოს მითხრა: „დავით სოსლანის გარეგნობის აღდგენაზე მუშაობს მ. გერასიმოვის კონსულტაციით ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომელი ქირურგი და ანთროპოლოგი თ. მამუკაევი. მას სამუშაო დამთავრებული აქვს; ახლა საკანდიდატო დისერტაციას წერს და მალე ყველაფერს დაწვრილებით შეიტყობთ“.

ამის შემდეგ ორჯონიკიძის საჯარო ბიბლიოთეკაში შევიარე, ბიბლიოგრაფებს ვთხოვე, დაეძებნათ სოსლანზე ოსურ და რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები. მათ მომცეს კარტოთეკა, რომელშიც ბიბლიოგრაფიული წესით იყო აღნუსხული ჩემთვის საჭირო მასალა. უპირველესად ყურადღება მიიბყრო „Молодой коммунист“-ში (ორჯონიკიძე, 1964, № 24) დაბეჭდილმა სტატიამ „მეფე დავით-სოსლანი?“... იგი ეკუთვნის ვინმე ტ. ესენოვს და სათაურს ერთვის დეშიფრაცია: „ნუ-

6 გაზ. «Растдзинад», 1946, № 169 (23.VIII).

7 გაზ. «Растдзинад», 1946, № 196 (I.X).

8 Архив СОНИИ. Ист. отд. № 6, опис № 6.



ზალის ეკვდერის საიდუმლო. სამეცნიერო სენსაციის საზღვარზე. ანთროპოლოგი — ბრესტის გმირი“. მაშინვე მოვითხოვე ეს გაზეთი და აი რა წავიკითხე:

„1946 წელს მოეწყო არქეოლოგიური გათხრა ნუზალის ეკვდერში. მკიდროდ დაქედილი ძველი იატაკის ქვეშიდან ამოიღეს კარგად გათლილი ქვის სამარხი კუბო, რომელიც დაფარული იყო ქვის ფილებითა და მუხის სქელი ფიცრებით. მასში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი. ეს გათხრები მოხდა არქეოლოგ ე. გ. პჩელინას მიერ ოსური ლეგენდებისა და მათიანეთა ცნობების საფუძვალზე. შესწავლის შედეგად, რამაც მეცნიერი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დავით სოსლანი დაკრძალულია ნუზალის ეკვდერში — ცარაზონების საგვარეულო სასაფლაოზე. დიდი ხანია, ფართოდ ცნობილია ნაშრომები გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის მ. მ. გერასიმოვისა, რომელმაც შექმნა მოძღვრება თავის ქალას მიხედვით სახის აღდგენაზე. ამით ისარგებლა ჭირურგმა თეიმურაზ ბორისის ძე მამუკაევმა, როდესაც ის გაეცნო ნუზალის გათხრებს, და გადაწყვიტა, რომ შეეპირისპირებინა თავისი კომპლექსური გამოკვლევის მონაცემები და ფიზიკური გარეგნობის რეკონსტრუქცია იმ ცნობებთან დავით-სოსლანის გარეგნობაზე, რომლებიც მათიანეებისა და ფოლკლორული მასალებითაა ცნობილი... ამ დღეებში ეკვდერში აღმოჩენილი ნეშტის თავის ქალას მიხედვით მამუკაევმა ძირითადად აღადგინა სახის გარეგნობა, რომელიც ბევრად ემთხვევა დავით-სოსლანის გარეგნობაზე შენახულ აღწერილობას“.

ამას მოსდევს თ. მამუკაევის ვარაუდი იმაზე, რომ ნუზალის ეკლესიაში დამარხულ პირს როგორი ფიზიკური აღნაგობა ჰქონდა და რა პირობებში გარდაიცვალა:

„ეს კაცი, — ვკითხულობთ იქვე, — ყოფილა 45 წლის, სიმაღლით 183—186 სან., მარჯვენა ხელით მოქმედი (праворукий): მარჯვენა ხელის, მარცხენა ფეხის ძვლებსა და გავის მარცხენა ნახევარს აქვს დიდი სიგრძივი ზომა და უფრო გამოხატული რელიეფი კუნთებისა და მყესების დამაგრების ადგილებში, ვიდრე საწინააღმდეგო მხარის სიმეტრიულ-

ქლებს. დადასტურებულია მარჯვნივ ოდნავი ბრტყელტერფობაც. ალბათ, შესწავლის სუბიექტი რაღაც ქრონიკული პათოლოგიური პროცესის გამო მარჯვენა ფეხს უფრთხილდებოდა... უშუალოდ სიკვდილის წინ ის წოლილა (გულალმა); მას ფეხები ჰქონია მოსვენებულ მდგომარეობაში, თავი კი — მკვლელისათვის მიუდგომელი ყოფილა. მკვლელი მდგარა მისგან მარცხნივ წვივების გასწვრივ და მას ფეხის ძვლები მჭრელი მძიმე საგნის ერთი დარტყმით გადაუმტვრევია. დაზარალებულს რეფლექტორულად შეუცვლია სხეულის მდგომარეობა ისე, რომ თავდამსხმელისათვის თავი მისადგომელი გამხდარა, და მასაც მაშინვე მეორეჯერ დაურტყამს, რისგანაც ის გარდაცვლილა“.

იმავე გაზეთში („Молодой коммунист“, 1966, № 151) ვნახე დაბეჭდილი დავით სოსლანის ორი პორტრეტი (ერთი — ზ. ჰიკინაძის მიერ გამოქვეყნებული, მეორე — თ. მამუკაევის მიერ აღდგენილი), რომელთაც ერთვის სტატია: „დავით სოსლანი! რომელია?“. აი, რას ვკითხულობთ კორესპონდენციში:

„შუა საუკუნეების ძღვეამოსილი ოსური სამთავროს, ცაზონების გვარის წარმომადგენლის — დავით სოსლანის სიკვდილის მიზეზი თითქმის უცნობია ისტორიისათვის, ხოლო მისი დაკრძალვის ადგილი რჩებოდა ნამდვილ საიდუმლოებად. ბევრმა მეცნიერმა სცადა გაეხსნა ეს საიდუმლოება და გაეგო რაიმე ახალი XII საუკუნის ამ საინტერესო და მნიშვნელოვან ფიგურაზე... მხოლოდ გამოჩენილმა საბჭოთა არქეოლოგმა ევგენია გიორგის ასულმა პჩელინამ მოახერხა პირველი ბილიკის გაკვალვა. სომხეთის, საქართველოს და, განსაკუთრებით, ოსეთის ძველი ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე მპჩელინამ თავისი ცხოვრების მრავალი წელი შეაღია დავით-სოსლანს. მან შეაგროვა და დაამუშავა ასობით დოკუმენტი, ხალხური გადმოცემა, რუდუნებით შეისწავლა მათია-

ნ ე ე ბ ი და ს ა ა რ ქ ი ვ ო მ ა ს ა ლ ე ბ ი - ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ე მ ა და  
ძ ნ ე ლ მ ა ძ ი ე ბ ა მ მ ე ც ნ ი ე რ ი მ ი ი ყ ვ ა ნ ა მ შ ქ ე ფ ა რ ე არ დ ო ნ ის ნ ა პ ი რ ა ს  
ნ უ ზ ა ლ ის ე კ ვ დ ე რ თ ა ნ . გ ა ნ თ ქ მ უ ლ ე კ ვ დ ე რ შ ი ა ლ მ ო ჩ ნ და მ რ ა ვ ა ლ  
ფ რ ე ს კ ა ს შ ო რ ის ა ლ ა გ ი რ ის ხ ე ო ბ ის ძ ლ ი ე რ ი გ ვ ა რ ის ხ უ თ ი წ ა რ -  
მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ის პ ო რ ტ რ ე ტ ი . ე რ თ - ე რ თ ფ ი გ უ რ ა ზ ე შ ე ნ ა ხ უ ლ ა  
წ ა რ წ ე რ ა ც კ ი : «ს ო ს ლ ა ნ » . ე ს უ ე კ ვ ე რ ა ლ ა ც ა ზ ე მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ და .  
ხ ო ლ ო 1946 წ ე ლ ს პ ჩ ე ლ ი ნ ა მ ჩ რ დ ი ლ ო ო ს ე თ ის სამ ე ც ნ ი ე რ ო -  
კ ვ ლ ე ვ ი თ ი ინ ს ტ ი ტ უ ტ ის დ ა ვ ა ლ ე ბ ი თ ნ უ ზ ა ლ ის ე კ ვ დ ე რ შ ი მ ო -  
ა ხ დ ი ნ ა გ ა თ ხ რ ა . მ ი წ ო ს ს ი ლ რ მ ე შ ი , ი ა ტ ა კ ქ ე ვ შ მ კ ვ ლ ე ვ ა რ მ ა ნ ა ხ ა  
ის , რ ა ს ა ც ე ძ ე ბ და . ა ლ მ ო ჩ ნ და ქ ვ ის სამ ა რ ხ ი კ უ ბ ო , ქ ვ ის ფ ი ლ ე -  
ბ ი თ ა და ს ქ ე ლ ი ფ ი ც რ ე ბ ი თ დ ა ხ უ რ უ ლ ი , რ ო მ ე ლ შ ი ც დ ა ც უ ლ ი  
ი ყ ო ა დ ა მ ი ა ნ ის ძ ვ ლ ე ბ ი . ნ უ ზ ა ლ ის ს ა მ ა რ ხ შ ი პ ჩ ე ლ ი -  
ნ ა მ ა ს ე ი პ ო ვ ა დ ა ვ ი თ - ს ო ს ლ ა ნ ის ნ ე შ ტ ი . და მ ი -  
უ ხ ე დ ა ვ ა დ ი მ ის ა , რ ო მ ზ ო გ ი ე რ თ მ ა მ ე ც ნ ი ე რ -  
მ ა ე ს ა ლ მ ო ჩ ე ნ ა ე ქ ვ ის ქ ე ვ შ დ ა ა ყ ე ნ ა , მ ის ი  
უ ა რ ყ ო ფ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა , რ ა დ გ ა ნ ა ც ი ს დ ა ფ უ ძ -  
ნ ე ბ უ ლ ი ა ფ ა ქ ტ ე ბ ზ ე , რ ო მ ლ ე ბ ი ც თ ვ ი თ ო ნ ლ ა -  
პ ა რ ა კ ო ბ ე ნ თ ა ვ ი ა ნ თ თ ა ვ ზ ე ” .

და ბ ო ლ ო ს , გ ა ზ . „Социалистическая Осетия“-ში (1965.  
№ 235) წ ა ვ ა წ ყ დ ი ე . პ ჩ ე ლ ი ნ ა ს ინ ფ ო რ მ ა ც ი ა ს , რ ო მ : „და ვ ი თ  
ს ო ს ლ ა ნ ის ს კ უ ლ პ ტ უ რ უ ლ პ ო რ ტ რ ე ტ ს , თ . მ ა მ უ კ ა ე ვ ის მ ი ე რ შ ე ს -  
რ უ ლ ე ბ უ ლ ს , მ ა ლ ა ლ ი შ ე ფ ა ს ე ბ ა მ ის ც ა მ ის მ ა ხ ე ლ მ ძ ლ ე ვ ა ნ ე ლ მ ა ,  
ც ნ ო ბ ი ლ მ ა ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ მ ა მ . მ . გ ე რ ა ს ი მ ო ვ მ ა ”<sup>9</sup>...

მ ე ო რ ე დ ღ ე ს დ ი ლ ი თ შ ე ვ ი ა რ ე ჩ რ დ ი ლ ო ო ს ე თ ის სამ ე ც ნ ი -  
ე რ ო - კ ვ ლ ე ვ ი თ ს ინ ს ტ ი ტ უ ტ შ ი . მ ის არ ქ ი ე ვ შ ი წ ა ვ ი კ ი თ ხ ე ბ . ა ლ ბ ო -  
რო ვ ის „История осетинской литературы (период пи-  
сьменности)“<sup>10</sup>. ი ქ ვ ე ვ ე ს ა უ ბ რ ე ინ ს ტ ი ტ უ ტ ის ის ტ ო რ ი კ ო ს - ა რ -  
ქ ე ო ლ ო გ ე ბ ს , რ ო მ ე ლ თ ა ც მ ი რ ჩ ი ე ს , რ ო მ ჩ ე მ თ ვ ის სა ინ ტ ე რ ე ს ო  
ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე მ ი მ ე მ ა რ თ ნ ა ბ . ა ლ ბ ო რო ვ ის ა თ ვ ის (მ ო მ ც ე ს ტ ე ლ ე -  
ფ ო ნ ის ნ ო მ ე რ ი) და დ ა ვ კ ა ვ შ ი რ ე ბ ო დ ი ა გ რ ე თ ვ ე მ ხ ა რ ე თ მ ც ო დ -  
ნ ე ო ბ ის მ უ ზ ე უ მ ის თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ს .

ს ა ლ ა მ ო თ ი მ ი ე ა კ ი თ ხ ე კ უ ბ ი ბ ე ვ ის ქ უ ჩ ა ზ ე (№ 1) ბ ო რ ის  
ა ნ დ რ ი ა ს ძ ე ა ლ ბ ო რო ვ ს — ო თ ხ მ ო ც ი წ ლ ის ს ა თ ნ ო და ტ კ ბ ი ლ -

<sup>9</sup> У. Харанов, Пойски ученого.

<sup>10</sup> და ც უ ლ ი ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ა დ ი ქ ვ ე : Ф о н д 19, О п и с . I, Е д . х р 1.

მოუბარ მოხუცს, ოსეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის უბრწყინვალეს მკვლევარს, ჩრდილო-კავკასიის პირველ ხანდაზმულ პროფესორს. მან თავის ბინაში მიმიწვია, გულისხმიერებით მესაუბრა, მიმითითა ლიტერატურაზე და თან დასძინა: „ნუზალის ეკლესიაზე გამზადებული მაქვს დასაბეჭდად ნარკვევი, რომელსაც მალე გამოვაქვეყნებო“. ეს ნარკვევი მაჩვენა კიდევ, ოღონდ იმჯერად არ წამაკითხა, არც თავისი მოსაზრება გამაცნო: „ჯერ ნუზალი ნახე და ამაზე მერე ვისაუბროთ. არ მინდა, ჩემი მოსაზრება წინასწარვე თავს მოგახვიო“. შემდეგ ჩამაწერინა ეკლესიის მცველის გვარი — „მზოკოვი ზაქარია ალექსანდრეს ძე“, და მითხრა: „მასთან ჩემი სახელით მიდი და იქაურობის დასათვალიერებლად ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთ“.

ჩვენ გვიან ღამით დავცილდით ერთმანეთს...

\* \* \*

კვირა დილით უთენია ავდექ და სარეისო ავტობუსით გავემგზავრე არღონის ხეობისკენ. გზა ქ. ალაგირამდე ვაკეზე მიემართება სამხრეთ-დასავლეთით, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უხვევს და უცბად შედის ხეობაში, სადაც იქაურობას აყრუებს ცივი და ანკარად მჩქეფარე მდინარე არღონი. ოთხმოცდაათიოდე წლის წინ ამ გზასა და ხეობას ასე აღწერდა ვს. მილერი: „ჩვენ შევედით არღონის მშვენიერ ხეობაში, სადაც მიემართება კარგად შენახული სამხედრო გზა ოსეთისა. მარჯვნივ და მარცხნივ მალღებებიან ხშირი მცენარეულით დაფარული მთები. ადრინდელი პეიზაჟის ერთგვაროვნებას ენაცვლება მთის სახეობათა განსაკუთრებული მრავალფეროვნება. აქ გორების მოხაზულობა შეუწყვეტლივ იცვლება. გზა ხან მდინარის ნაპირისაკენ ოდნავ იხრება, ხან მალლა ფერდობზე მიდის, ხოლო დაბლა, ხეობის სიღრმეში, მოისმის არღონის გაბმული ხმაური. ზოგჯერ მიდიხარ თითქმის ფრიალო კლდის ნაპირას, ჰხედავ ზევით თავზე გადმოკიდებულ ხეებსა და ისე გეჩვენება, თითქოს სადაცაა რომელიმე მათგანი მოიგლიჯება და გზაზე გადმოწვებაო“ (გვ. 61—62)<sup>11</sup>. ახლა კი იმავე გზაზე

<sup>11</sup> В. С. Миллер, В горах Осетии (Из дневника), Русская мысль, 1881, IX, 55—105.

ავტობუსით მიეჭროდი და თვალწინ სწრაფად იცვლებოდნენ ხეობის ულამაზესი პეიზაჟები.

გავიარე რამდენიმე სოფელი და დაბა: ზილ-სარი, უნალი. მიზური, ტურბინა და შევედი ნუზალში. მგზავრებმა, რომელთაც ჩემგან აღრევე იცოდნენ, თუ სად და რისთვის მივდიოდი, ავტობუსიდანვე დამანახვეს ჩარდახის მსგავსი პატარა ეკლესია და მითხრეს: „ე, მანდ არის დავით სოსლანის საფლავიო“. გზის ნაპირზე ჩამოვხტი, ავტობუსმა სვლა ბურონისკენ განაგრძო.

უკვე დილის 10 საათი იყო, მზის სხივები ჯერ კიდევ მთის მწვერვალებზე კიაფობდნენ. ალბათ, კიდევ ერთი საათი იქნებოდა საჭირო, რომ მათ ხეობის ძირამდე ჩამოვლწიათ. გამახსენდა ვ. პფაფის სიტყვები: „ნუხალი მდებარეობს კასარის ვიწრო ხეობის ქვაბულში, სადაც მზე ამოდის გვიან და ჩადის ადრეო“<sup>12</sup>.

სოფელს უკავია პატარა ტერიტორია მდინარის მარცხენა მხარეს, რომელიც ჩახერგილია მთიდან დაგორებული ლოდებითა და ჩამონაშალი ქვიშით. ქვედა მხარეს სასაფლაოა: დგას რამდენიმე მიწისზედა სამარხი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო, ფრესკებით მოხატული „მცირე ეკლესიაც“, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მოპოვებული; ხოლო ზედა მხარეს — თითზე ჩამოსათვლელი სახლები, რომლებშიც რამდენიმე ათეული კომლიდა ცხოვრობს. აქედან ზევით, კასარის ხეობის დასასრულამდე, არემარე მოფენილია ისტორიული ძეგლებით. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ოსეთისა და საერთოდ ოსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესასწავლად. მდინარის მარჯვენა ნაპირზე ვერტიკალურად ჩამოშვებულია ფრიალო კლდე, მასში გამოთხრილია სენაკები (შორიდან მოჩანს კარები და სარკმლები). ეს ნაგებობა წარმოადგენს ქვაბნაშენს. მას გვირაბიდან აქვს შესასვლელი. მიუვალი ციხე-სიმაგრეა, რომელსაც იქაურები ოს-ბაყათარის საცხოვრისს უწოდებენ. იქ დაცული ყოფილა „აღლუზიანის“ დასურათებული ხელნაწერი და უფლებრივი ხასიათის სიგელ-გუჯრები, მაგრამ...

---

<sup>12</sup> В. Пф а ф, Пугешествие по ущельям Северной Осетии, Сборник сведений о Кавказе, 1, 1871, гл. 137.

სჯობია აქ შევწყვიტო ჩემი თხრობა და სიტყვა დავეთმო ცნობილ ბუნებისმეტყველს ვ. მარკოვიჩს, რომელმაც 1906 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა წიგნი „В верховьях Ардона и Рнона. Ботаническая экскурсия из Осетии в Колхиду“ (ЗИРГО по общей географии, ტ. XXXVIII, № 3). იგი ამ წიგნში მოგვითხრობს:

შედიხართ თუ არა სოფ. ნუზალში, რომელზედაც გადის ოსეთის სამხედრო გზა, თითქმის მის შუა ადგილას შეხვდებით უხეში ქვით ნაშენ პატარა ეკედერს. მისი კედლები უკვე დაბზარულია, ჭვარი — მოღუნული და სახურავზე ბალახი ამოსულა. ამ პატარა ნაგებობას (ოთხი არშინი სიგანე, ექვსი არშ. — სიგრძე და ექვსი არშ. — სიმაღლე) შორეული სიძველის სუნი უდის... შიგნით ყურადღებას იპყრობენ მოხატული კედლები: შენახულა წმინდათა პორტრეტები და წარწერები. შ ე ს ა ვ ა ლ - თ ა ნ მ ა რ ც ხ ნ ი ვ და მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ გა მ ო ს ა ხ უ ლ ი ა რ ი ა ნ ც ხ რ ა ნ ი ძ მ ა ნ ი — ამ ეკედერის დამაარსებლები — და ძლევა მოსილი წმ. გიორგი. საკურთხეველში მოთავსებულია ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის გამოსახულებანი...

ნუზალიდან გახვალთ თუ არა, არღონის მოპირდაპირე მხარეს აღმართულ ფრიალო კლდეში გამოჭრილია რამდენიმე ნაგებობა — სენაკთა რიგი ვიწრო სარკმლებითა და კარებით (მათგან ზოგიერთი ახლაც შენახულა). ამბობენ: ამ სენაკებში წმინდანები აფარებდნენ თავსაო... ღრმა სიბერის სიო მოკჭრის იმ მხცოვანი და სრულიად მიუდგომელი კედლებიდან; დაბლა მშფოთვარე მდინარე გარს ევლება მათ და გველივით ეხვევა კლდის ძირს, რომ ოსურ სალოცავთან არაეინ არ მიუშვას...

ნუზალის ზევით, ოდნავ გვერდით, არღონის მარცხენა ნაპირას დგას ვაშკერკი ძუარაი (წმ. გიორგის ჭვარი) — პატარა ქვის ყორე ნიშითურთ, სადაც ზოგჯერ ასვენებენ იმ წმინდანის ხატს, რომლის პატივსაცემადაცაა აგებული ეს ყორნალი. ყოველწლიურად გარკვეულ დღეს აქ იკრიბებიან ოსები და ნადიმს მართავენ... ამ ძუარის მალლა მოჩანს აულამასინის ნანგრევები..., ხოლო ნუზალის ახლოს — აული ნაზიჩინი...

შემდეგ გზა ხიდზე, არღონის მარჯვენა მხარეს გადადის და წმ. ნიკოლოზის ზღვარამდე მიემართება აღმართ-აღმართ-თვალწარმტაც მიდამოში და ხრამიან ფერდობზე, რომელიც დაფარულია წიწვოვანი ტყით. აქედან იწყება კასარის ხეობა — არღონის ხეობის ნაწილი ნუზალიდან (უფრო სწორად, წმ. ნიკოლოზის ზღვარიდან) ზრამაგამდე...

იქ, სადაც არღონს ერთვის მდ. ცეიდონი, რომელიც ცეიდონის მყინვარიდან მოედინება, არის პატარა პლატო; აქ სამხედრო გზის მშენებლობის დროს მუშებისა და სამთამადნოსაქარხნო ასეულის ჯარისკაცთათვის აუცილებელი ყაზარმა; ეს ყაზარმა იმ დროისათვის აუცილებელი იყო, რადგანაც ხეობაში ჯერ კიდევ არ იყო სიწყნარე. იქვე აუშენებიათ სახლებიც ინჟინრისა (დისტანციის უფროსისა) და მოსამსახურე პერსონალისათვის. ასე რომ, პლატოზე ჩამოყალიბებულა ერთგვარი პატარა დასახლება. სამხედრო ძალის საჭიროების გავლის შემდეგ ყაზარმები და რამდენიმე შენობა დანგრეულა, დარჩენილა ინჟინრის სახლი და ორიოდე სხვა ნაგებობაც. მათ გარს გალავანი არტყია, შიგ დგას აკაციის, ალვისა და იფნის ხეები. ახლა ამ ადგილს ეწოდება წმ. ნიკოლოზის ზღვარი. მის პირდაპირ, მთის ძირთან, ცეიდონის შესართავთან, წმ. ნიკოლოზის პატივსაცემად აგებულია ცარაზონთა სალოცავი — მიქელ-გაბერთა...

წმ. ნიკოლოზის ზღვართან ახლოს გზას ჰკვეთავს ჩქარა და აქაფებული ნაკადული ზედა ბალაგონი. არღონის მარცხენა ნაპირას მთის მწვერვალზე, რომელიც გზიდან არა ჩანს, არის ფიქვენარი ტყით დაფარული წმინდა ადგილი — სიდანნი... იქ აშენებულია პატარა ეკვდერი, სადაც დაყუდებული ყოფილა ბერი რომანოზი, ოსთა მეფის ბაყათარის ერთი ძმათაგანი. ეკვდერში დევს ამბიონის მსგავსად დიდი ქვა. აქ ნადიმი იმართება სამებობასა და 3 სექტემბერს. შიგ ქალების შესვლა არ შეიძლება; მეტიც: ქალის სახელის წარმოთქმაც კი ცოდვად ითვლება. ამბობენ: უწინდელ დროში რაიმე დიდი საქმის დაწყებამდე სიდანში მიდიოდნენ, მას რომელიმე ცხოველსა სწირავდნენ მსხვერპლად და მის ხორცს იქვე სჭამდნენო...

სამხედრო გზიდან რომ მოხვდეთ სიდანში, საჭიროა გადახვიდეთ არღონის მარცხენა მხარეს, სადაც უწინდელი გზა.

გადიოდა. აქ გადებულია ძველი ხიდი, იგი ახლა მიგდებულია უყურადღებოდ, რადგანაც ახალი გზა მდინარის მარჯვენა ნაპირზე მიემართება. ამ ძველ ხიდთან მოთავსებულია კასარის კარის სიმაგრე და კოშკი. ეს არის ე. წ. ზილინ-ძუარი (მრუდე ბჭე) და ახსინ-ბადენი (ქალბატონის კოშკი) — ოსური გადმოცემებით ის ადგილი, სადაც ოს-ბაყათარმა დაამწყვდია მოტაცებული ქალი — ვახტანგ გორგასალის დაჟ, რომელიც მას თითქმის ორ წლამდე ჰყავდა ტყვედ, სანამ ძალით არ წაართვეს. ეს ამბავი ოს-ბაყათარს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. დღევანდელ მოხუცებს ახსოვთ ის დრო, როდესაც აქ იყო სადარაჯო და ცარაზონები გამვლელს ბაეს როგორ ახდევინებდნენ (გვ. 66—69, 71—76)<sup>13</sup>.

კასარის კართან უწინ გადადებული ყოფილა ე. წ. ასახსნელი (თუ ასაწევი) ხიდი, რომელიც აუგიათ ქართველ მეფეებს და მებაჟეებადაც ქართველები ყოფილან. აი, რას წერს ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“ (1941, გვ. 114):

„და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტიკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არავინ ვიდოდენ თვინიერ მათსა ოვსნი. და არს ხეობა ესე მაგარი და შეუვალი“.

ხოლო ოსური გადმოცემებით, კასარის ხეობის მბრძანებელი ყოფილა ოს-ბაყათარი, მის ძმებს — ისაკს, რომანოზსა და ბასილს, ჯერ საქართველოში უსწავლიათ, მერმე ქრისტიანობის საქადაგებლად ოსეთში დაბრუნებულან და სიდანში შემდგარან ბერად.

ნუზალი გამხდარა ოს-ბაყათარისა და ცარაზონთა გვარის მთავარი ცენტრი და მათი საძვალეც იქვე არსებულა, როგორც ამას მიწისზედა სამარხების სიმრავლე მეტყველებს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საძვალე შემდეგში გადაუქეთებიათ ეკლესიად: კედლები მოუხატიათ ფრესკებით, მოუწყვიათ საკურთხეველი და გარეთ დაუკიდიათ ზარი<sup>14</sup>. აქვე რეკომიდან მოუ-

<sup>13</sup> აქ ვიძლევი ვ. მარკოვიჩის აღწერილობის თავისუფალ თარგმანს. შტრ.: К. Ган, По долинам Чорока, Уреха и Ардона, СМОМПК, вып. XXV, 1898, გვ. 42—43.

<sup>14</sup> ლიტერატურა: В. Пфаф, Материалы для истории осетии (ССКГ, V. 1871), გვ. 33—36, 58—62; В. Пфаф, Путешествие по



ტანიათ ოს-ბაყათარის მუზარადი, კაპარკი და შუბი, როგორც სიმბოლო იმისა, რომ ნუზალში განისვენებს ცარაზონების, კუსაგონების, აგუზონებისა და სიდამონების ტომთა წინაპარი. ომის წინ ეს აღქურვილობა იქედან ალაგირის მუზეუმში ჩაუტანიათ. ამჟამად მისი კვალი აღარსად არა ჩანს (გერმანელთა ოკუპაციის დროს დაკარგულა)<sup>15</sup>.

ეკლესიის მცველი ზ. მზოკოვი სახლში არ დამხვდა, იმავე სოფელში ნაცნობთან წასულიყო. ქალებმა მის დასაძახებლად პატარა ბიჭი აფრინეს. სანამ ეკლესიას გააღებდნენ, შემოგარენი დავათვალიერე. ძლიერ დამაინტერესა ქვით ნაშენმა მიწისზედა სამარხებმა. კვლავ ვ. პუფტი გამახსენდა: „ხეობაში მდებარეობს აული (=იგულისხმება ნუზალი, ი. ლ.), სადაც ცხოვრობს ჩვიდმეტი კომლი. სახლები ახალია და არ იწვევს რაიმე ინტერესს. იქვე ძველი სასაფლაოა რამდენიმე მიწისზედა ძეგლით, რომელთა შორის აღსანიშნავია ერთი სამარხი. განთქმული თავისი წარწერებითა და ფრესკებით. ეს არის ნუზალის ეკლესია, რომელიც ხშირად (sic) იხსენიება საქართველოს ისტორიის წყაროებში“ (იქვე). ერთ-ერთი სამარხი თითქმის დაფარულია მთიდან ჩამონაშალი მიწითა და ქვიშით. ერთს

---

ушьельям Северной Осетии (ССК, 1, 1871), გვ. 137; А. Г а т у е в, Христианство Осетии, გვ. 3; Д. Б а к р а д з е, Кавказ в древних памятниках христианства (ЗОЛКА, 1, 1875), გვ. 117; Гр. У в а р о в а, Кавказ. Путевые заметки, 1887, გვ. 44—45. В. М и л л е р, Терская область. Археологические экскурсии (МЛК, 1, 1888), გვ. 66—68; В. В. М а р к о в и ч, В верховьях Ардона и Риона (Записки Русск. геогр. о-ва по общей географии, СПб, 1906, т. XXXVIII, № 3), გვ. 66—68; И. А к и н ф и е в, Посадка в Осетию на Ардон и в Сванетию (ЗКОИРГО, XVI, 1894), გვ. 86—87; А. Г о л о в н и, Топографические и статистические заметки об Осетии (Кавказский календарь на 1854 г., 1855, გვ. 450); Л. С е м е н о в, Археологические разыскания в Сев. Осетии (ИСОНИИ, XII, 1948), გვ. 106—107; Б. С к и т - к и й, Очерки по истории осетинского народа (ИСОНИИ, XI, 1947), გვ. 117—119; История СО АССР, 1, 1959, გვ. 75—76.

<sup>15</sup> ოს-ბაყათარის აღქურვილობა ვ. პუფტს უნახავს რეკომში (უეილონის ხეობა), მუვილდ-ისართა გროვაში (ССКГ, V, 1871, გვ. 59); ამავე ეკლესიაში უნახავს ბ. სკიტსკისაც (ИСОНИИ, XI, 1947, გვ. 120—121). ფოტოსურათი იხ. ვ. პუფტის წერილში (Сб. Св. о Кавказе, I, 1871, გვ. 137; სურ. V). შემდეგ ის ნუზალში გადაუტანიათ.



ნუზალის ეკლესია და მისი შემოგარენი

გადმობეჭდილია ვ. მარკოვიჩის წიგნიდან „В верховьях Ардона и Риона“ (1906, სურ. 6). ეკლესიის უკან მოჩანს მიწისზედა სამარხები

კი დიდი სარკმელი აქვს. უნებლიედ შევიხედე შიგ. გამოტენილი იყო ადამიანთა ძვლებით. ახლა მესამისკენ გავემართე, მაგამ ამ დროს შემატყობინეს, რომ ეკლესია ღიაა და შეგიძლიათ ის დაათვალიეროთო. მაშინვე მოვტრიალდი და შიკრიკს გავყევი. ეკლესიის კართან 60-ოდე წლის კაცი იდგა, ახლო მისულს გამოვეცნაურე, ბ. ალბოროვის მოკითხვა გადავეცი. იგი მაშინვე შიგ შემიძღვა. ეკლესიაში, რომელშიც თორმეტი კაცი ძლივს გაიმართება ფეხდგომელა, სინათლე შემოდირდა ვიწრო დაბალი კარიდან და მარჯვენა და უკანა კედლებში გამოჭრილი ორი პატარა სარკმლიდან (უფრო სწორად — „ჭუჭრუტანიდან“). შიგ ოდნავ ბნელოდა, ფრესკები და წარწერები არ ჩანდა მკაფიოდ. ზ. მზოკოვმა იმ წამსვე სახლიდან ნათურა მოიტანა, აანთო, აქეთ-იქით მიანათ-მოანათა. ახლა გარკვევით დავინახე ფრესკებით დაფარული კედლები, მაგრამ ლამპის სინათლეზე შექმნილი შთაბეჭდილება არ მაკმაყოფილებდა, დროებით გარეთ გამოვედი. მზე უკვე ფერდობებზე ჩამოწოლილიყო და სადაცაა ხეობას გააკაშკაშებდა. ამიტომ ისევ გარეთა მხარის დათვალიერება დავიწყე. როცა მთელი ხეობა მზით გაბრწყინდა, მის შუქზე ფრესკებმაც გამოიხედეს და მეც შესაძლებლობა მომეცა, მხატვრობისა და წარწერების შესწავლას შეედგომოდი...

\*\*\*

ორჯონიკიძეში შებინდებისას დავებრუნდი. მაშინვე ბ. ალბოროვს მივაკითხე. გვიან ღამემდე ვისაუბრეთ. ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარე, მან კვლავ მაჩვენა თავისი ნარკვევი, ფრესკების ფერადი ასლები და კალკზე გადმოღებული წარწერები. ზოგიერთი ადგილი წამიკითხა კიდევ; შემდეგ სიტყვა ჩამოაგდო ლექსზე „ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი“..., რომელიც ტრადიციული გადმოცემით ნუზალის ეკლესიაში ყოფილა წარწერილი. მკითხა: „ამ წარწერის ნაკვალევი რომელიმე კედელზე ხომ არ გინახავთ?“ უარყოფითი პასუხი მივეცი, ოღონდ დავსძინე: „თუ ეს ლექსი ნუზალის ეკლესიაში ეწერა, მისი ადგილი უნდა ყოფილიყო მარჯვენა კედელზე, სწორედ იქ, სადაც ახლა გაჯის მთელი მასივია ჩამონგრეული“. ამაზე ჩემს

მოპასუხეს თვალეები გაუბრწყინდა: „მეც ასე ვფიქრობ და მოხარული ვარ, რომ ჩვენი მოსაზრებანი ერთმანეთს დაემთხვა. ეს ლექსი ძველის-ძველია, მიძღვნილია ოს-ბაყათარისადმი და, რაკი თქვენც ვარაუდობთ, რომ იგი ეკლესიაში შეიძლება ყოფილიყო წარწერილი, ეს ადასტურებს ჩემი მოსაზრების სიმართლეს: ნუზალში დაკრძალული უნდა იყოს ოს-ბაყათარიო“. აქ გავახსენე თავისი ხელნაწერი ნაშრომი „ოსური ლიტერატურის ისტორია“, რომელშიც ვკითხულობთ: „ნუზალის ეკლესია იყო ცარაზონების გვარის მშობლიური წმიდა ადგილი. ჩემი ვარაუდით, მასში ინახებოდა ოს-ბაყათარის ნეშტი და არა დავით სოსლანისა, როგორც ამას ამტკიცებს ე. გ. პჩელინა. იალღუზიძე, ისევე როგორც ნუზალის წარწერის ავტორი, თავიანთი გვარის გენეალოგიის შესახებ მონაცემთა დაცვისათვის ყველაზე მოსახერხებელ ადგილად სთვლიდა ნუზალს, ოს-ბაყათარისა და ცარაზონების გვარის ცენტრს“ (გვ. 115). მან მიპასუხა: „დიად, სწორედ ეს თვალსაზრისი უდევს საფუძვლად ჩემს ნარკვევს, რომელიც ნუზალის ეკლესიას ეხება, და არა მჭერა, რომ ე. პჩელინას მიერ აღმოჩენილი ნეშტი დავით სოსლანისა იყოსო“...

ამ მოკლე და შინაარსიანი საუბრიდან დავრწმუნდი, რომ ბ. ალბოროვი უფრო სწორ პოზიციაზე იდგა, ვიდრე დავით სოსლანის აკლდამის მაძიებელნი. ჩემი ვარაუდის დასასაბუთებლად ხელთ მქონდა მცხეთის კანდელაკის გრიგოლ რუსიშვილის ცნობა, რომ: „ნარას ნუზალას საყდარში ასაფლავია ბადათარი, რომლის საფლავის ქვაზე აწერია: «ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი. ჩარაჯონი-ჭახილონი»“ და ა. შ.<sup>16</sup> ეს ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ძველად ნუზალის ეკვდერს ოს-ბაყათარის აკლდამად სთვლიდნენ. ცხადია, ოსური გადმოცემა, თითქოს იქ დაკრძალული იყოს დავით სოსლანი, ახალია, რადგანაც იგი ჩაწერილია 1926—1930 წლებში ე. პჩელინას მიერ.

<sup>16</sup> იხ. ა. შ. პჩელინის, ალღუზიანის შესახებ, ცნობის ფურცელი, 1898, № 555.

მეორე დღეს ავტობუსით თბილისისაკენ გამოვეშურე. ახლა უკვე თამამად შემეძლო ჩვენი მკითხველისთვის მომეთხრო ყოველივე ნახული და წაკითხული, მაგრამ ვამჯობინე მომეცადნა მანამდე, სანამ ბ. ალბოროვის ნარკვევი და თ. მამუკაევის დისერტაცია დაიბეჭდებოდა. ამასობაში გაზ. „Вечерний Тбилиси“-ში (1966, № 304) გამოქვეყნდა მ. ღუმბაძის წერილი „Еще раз о Давиде Сослани“, რომელიც წარმოადგენს ი. მეგრელიძის წერილის გამო ნ. ზასოხოვის მიერ დაწერილი კრიტიკული შენიშვნების გამომხაურებას. ლაშა-გიორგისდროინდელ მემატიანეზე დაყრდნობით ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დავით სოსლანი ეკუთვნის ბაგრატიონთა შტოს და დაკრძალულია გელათში — ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო განსასვენებელში.

1967 წლის ივნისში კვლავ გავემგზავრე ორჯონიკიძეში, ისევ ვინახულე მ. ტოტროვი. მან მაცნობა, რომ თ. მამუკაევმა უკვე დაწერა დისერტაცია „ნუზალის ეკვდერის საილუმლო“ და მალე დაიბეჭდებაო. შევხვდი აგრეთვე ბ. ალბოროვს. მან მწუხარებით შემომჩივლა: „თქვენთვის საინტერესო ნარკვევის დაბეჭდვა ვერ მოვახერხე, რადგანაც აქ სამეცნიერო კრებულები დროზე ვერ ქვეყნდება და თანაც რედაქციები უამრავი მასალითაა გადატვირთულიო“. მაშინ შევიბრდი: „თუ მენდობით და ნარკვევს მომცემთ, მის დაბეჭდვას თბილისში მოვახერხებ-მეთქი“. ბ. ალბოროვი კმაყოფილებით დავთანხმდა: „თვენახევარში სასტამბოდ გამზადებულ ცალს სურათებითურთ გამოგიგზავნითო“. მაგრამ ველარ მოასწრო მისი გამოგზავნა. 1968 წლის რვა თებერვალს ოთხმოც წელს გადაცილებული მხცოვანი მეცნიერი მოულოდნელად გარდაიცვალა<sup>17</sup>. ასეთ ვითარებაში კვლავ მოცდა ვამჯობინე, რაკი ვიცოდი, რომ არსებობდა თ. მამუკაევის მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც მალე უნდა გამოქვეყნებულყო.

ამასობაში სენსაციის მოყვარულმა კორესპონდენტებმა მკითხველებს მიაწოდეს ინფორმაციები ე. პჩელინას „აღმოჩე-

17 სამწუხაროა, რომ მისი შრომა დღესაც არ არის დაბეჭდილი. ნეკროლოგი იხ. გაზ. „Социалистическая Осетия“, 1968, № 33 (9.II).

ნასა“ და თ. მამუკაევის ჯერ დაუბეჭდავ მეცნიერულ „მიღწე-  
ვებზე“. მათ ახალ ამბად საბჭოთა კავშირში მოჰფინეს ძველი  
ამბები. აი, რას ვკითხულობთ „Неделя“-ში (1968, № 20):

„საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საიდუმლოთაგანი  
გახსნეს საბჭოთა არქეოლოგებმა. მათ აღმოაჩინეს ადგილი, სა-  
დაც დასაფლავებულია ბატონიშვილი დავით სოსლანი — ქმა-  
რი თამარ მეფისა, რომელიც საქართველოს მართავდა 1184-  
დან 1213 წლამდე. ბატონიშვილი დაიღუპა საიდუმლოებით  
მოცულ ვითარებაში. არქეოლოგმა ე. პჩელინამ შეისწავლა მა-  
ტიანეები და საარქივო დოკუმენტები და გამოთქვა სავარაუდო  
მოსაზრება, რომ სოსლანის საფლავი უნდა იყოს მის სამშობ-  
ლოში, ერთ-ერთ ოსურ სოფელში, ალაგირის ხეობაში. მოეწყო  
იქ ექსპედიცია. მეცნიერებმა ნუზალის ეკვდერში ნახეს ფრეს-  
კები ადამიანთა გამოსახულებით, რომელთაგან ერთზე გარკვე-  
ვით შენახულა წარწერა: «სოსლანი». ფრესკის ქვეშ გათხარეს  
და აღმოჩნდა სამარხი, რომელშიაც ინახებოდა ისეთი ვაჟკა-  
ცური აღნაგობის ადამიანის ნეშტი, როგორც იყო სოსლანი.  
ქირურგმა და ანთროპოლოგმა თეიმურაზ მამუკაევმა შეისწავ-  
ლა ეს ნეშტი და დაადგინა, რომ ბატონიშვილი მოუკლავთ,  
ჩანს, ძილში ბლავი და მჩეხავი იარაღით. მამუკაევმა გამოჩე-  
ნილი საბჭოთა ანთროპოლოგის მ. გერასიმოვის მეთოდით  
ადადგინა ნეშტის მიხედვით დავით სოსლანის სკულპტურული  
პორტრეტი, რომელიც ახლა ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუ-  
ზეუმშია გამოფენილი“ (გვ. 12).

სულ მალე ამას მოჰყვა მეორე ინფორმაცია — „ФАКТЫ О  
ФАКТАХ“, რომელიც დაიბეჭდა „Знание-сила“-ში (1969, № 1):

„ოსეთის ერთ ხეობაში, ძველ ეკვდერში, არქეოლოგმა  
ე. პჩელინამ გამოიკვლია გამოჩენილ ოს ადამიანთა პორტრე-  
ტული ფრესკები და იმ პორტრეტის ქვეშ, რომელზედაც ეწე-  
რა «სოსლანი», მოახდინა გათხრები. აღმოჩნდა კუბო, რომელ-  
შიც ინახებოდა ქეშმარიტად ვაჟკაცური აღნაგობის კაცის ნეშ-  
ტი. ქირურგმა და ანთროპოლოგმა თ. მამუკაევმა შეისწავლა  
ნეშტი და დაადგინა, რომ ეს ვაჟკაცი მოუკლავთ, მოუკლავთ  
იგი ძილში.

დავით სოსლანი, ოსი ბატონიშვილი, იყო დიდი ქართველი  
მეფე-ქალის თამარის (ან, როგორც მას უწოდებენ, «მეფეთ-

მეფის თამარის») ქმარი,... მაგრამ იგი სრულიადაც არ იყო თანამმართველი (თანამეფე). დავითი დაახლოებით 750 წლის წინ გარდაიცვალა. რატომ და როგორ? ერთი ცნობით — ის უბრალოდ მოკვდა, მეორით — მოკლულ იქნა. საქართველოს ისტორიის წიგნებში ჩვეულებრივ იხმარება ფორმულა: «გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში». თქმულება ამბობდა, რომ დავით სოსლანი დაკრძალულია სამშობლოში — ოსეთში, სწორედ იმ ეკვდერში, სადაც ე. პჩელინამ ნახა მისი გვამი.

რა იყო მრისხანე მხედართმთავრის დაღუპვის მიზეზი? ეს ხომ არ იყო საქმე საქართველოს მტერთა ხელისა? სოსლანის პირადი მტრებისა ან იქნებ თვით მეფე-ქალმა შეიტანა ეჭვი, ხომ არ სურს მას ძალაუფლება წამართვასო? ან იქნებ ეჭვიანობა გახდა საბაბი? მიზეზი უცნობია. საინტერესოა ერთი დეტალი: მემატიანეთა მტკიცებით, თამარ მეფე არავის არასოდეს არ სჯიდა სიკვდილით და არც სხეულებრივ სასჯელებს იყენებდა (ეს ხდებოდა შუა საუკუნეების ეპოქაში). მიუხედავად ამისა, ხალხურ თქმულებებში თამარ მეფე ზოგჯერ მოჩანს მკაცრ ქალად.

ასეა თუ ისე, ახლა ისტორიკოსები დაწერენ დავით სოსლანზე: «მოკლეს გამოურკვეველ ვითარებაშიო» (გვ. 5).

1969 წელს ჟურნალ „Литературная Осетия“-ში (№ 33) დაიბეჭდა ი. გაგლოევის წერილი „Средневековые летописи о Давиде Сослане“ (გვ. 120—127). ავტორი განიხილავს თამარის ისტორიკოსთა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებს და გამოთქვამს მოსაზრებას, თითქოს ეს საისტორიო წყაროები არ ადასტურებენ დავით სოსლანის ბაგრატიონობას არც დედისა და არც მამის მხრიდან. შემდეგ ის ჩერდება სოსლანის გარდაცვალების მიზეზსა და მისი დაკრძალვის ადგილზე, ბოლოს დასძენს: „...მოსაზრება ნუზალის აკლდამაში დავით სოსლანის დაკრძალვის შესახებ ახლოა ქეშმარიტებასთან. ამის სასარგებლოდ მეტყველებენ, პირველ რიგში, ისეთი ფაქტები, როგორცაა ოსებში არსებული ჩვეულება — მიცვალებულთა დასაფლავება საგვარეულო აკლდამებში, ქართველ მემატიანეთა დუმილი გელათში სოსლანის დაკრძალვის შესახებ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის, რომ დავითი ეკუთვნის ცარაზო-

ნების ოსურ მფლობელ გვარს, რომლის ცენტრი იყო ნუზალი“ (გვ. 127).

დასასრულ, ამავე წლის მიწურულს რუსულად გამოქვეყნდა თ. მამუკაევის წიგნი „Тайна Нузальской часовни“ (გამომცემლობა „ირ“, ორჯონიკიძე, 1969, 124 გვ.) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ა. ტოტროვის რედაქციით, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. დ. გ. როხლინისა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ა. ვ. ცაგარეიშვილის წინასიტყვაობით. სათაურს ერთვის დეშიფრაცია — „Принадлежат ли исследуемые останки Давиду Сослану“. წიგნი შედგება ოთხი ნაწილისაგან: პირველი ეთმობა ნუზალის ეკლესიაში აღმოჩენილი ნეშტის ანატომიურ და ანთროპოლოგიურ შესწავლას, მეორე — პორტრეტის აღდგენას, მესამე — ნეშტის პათოლოგიური ცვლილებების, სხეულებრივი დაზიანებისა და სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენას, ხოლო მეოთხე — იმის გარკვევას, თუ ნუზალის ეკვდერში დასაფლავებული პირი ვინ არის. ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს ეძღვნება „შესავალი“ (გვ. 7—19), პირველი თავი — „ზოგიერთი ისტორიული ცნობა დავით სოსლანზე“ (გვ. 11—36) და მეექვსე თავი — „ნუზალის ეკვდერში დაკრძალულის ვინაობის დადგენა“ (გვ. 104—115). ავტორის ძირითადი დებულებანი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ:

1. ნუზალის საძვალეში დაკრძალული პირი არის ვაეკატური აღნაგობის მამაკაცი, 40—45 წლის, 178 სმ. სიმაღლით, მარჯვენა ფეხით ბრტყელტერფა (რაც გამოწვეულია ტერფის ქრონიკული გადატვირთვით) და მარჯვენა ხელით მოქმედი (праворукий) (გვ. 59—73).

2. იგი გარდაცვლილა იძულებითი ტრავმის შედეგად, რომელიც მისთვის მიუყენებიათ კეფისა და მარჯვენა თხემის არეში. მისი დაღუპვის შესაძლებელი სიტუაცია ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დაზარალებული, ალბათ, ცხენზე იჯდა და მოძრაობდა. მარჯვე მომენტში მოწინააღმდეგეს მისთვის კეფასთან დაუკრავს ერთხელ (თუ რამდენჯერმე) მაგარი ბლაგვი საგანი. ამის გამო მას გონება დაუკარგავს. ჩამოვარდნის დროს მხედარი მთელი ტანით საათის ისრის მიმართულებით შემობრუნ-



ნებულა, ზოლო ტერფები უზანგებზე ჩარჩენია, რის გამოც ხრახნისებურად გადასტეხია ორივე ბარძაყის ძვლები დიაფიზის ზევით. როცა ის ზედა კიდურებით მიწას შეკბებია, გადასტეხია მარჯვენა მხარისა და წინამხარის ძვლებიც. შეიძლება დავუშვათ სხვა შესაძლებლობაც. საფიქრებელია მხედარს თხემის, მარჯვენა ხელისა და ბარძაყების ძვლები დაემტვრა გაჭენებული ცხენიდან მოულოდნელად ჩამოვარდნის გამო. ასეა თუ ისე, ტრავმის ხასიათი და თვისება იმაზე მიუთითებს, რომ მეომარი მომკვდარა მტერთან მძიმე შერკინების დროს (გვ. 98—103).

8. დავით სოსლანის შესახებ არსებულ ლიტერატურულ, ისტორიულ და ფოლკლორულ მასალებთან ნუზალის ეკვდერში აღმოჩენილი ნეშტის ანთროპოლოგიური, პალეოპათოლოგიური, არქეოლოგიური მონაცემებისა და ფრესკული წარწერების შეპირისპირებით ირკვევა, რომ ეს ნეშტი ეკუთვნის დავით სოსლანს. მაშასადამე, დავითი მოუკლავთ ბრძოლის ველზე მტერთან ბრძოლის დროს და დაუმარხავთ მის სამშობლოში, სოფ. ნუზალში (გვ. 104—105).

ამ დასკვნებით მთავრდება ნუზალის ეკლესიაში დაკრძალული პირის ვინაობის შესწავლის ისტორია, რომელიც დაიწყო 1941 წელს და გრძელდება დღევანდლამდე. დასმული პრობლემისა და პიპოთეზის ავტორია ე. პჩელინა, მისი ერთგული მიმდევარი — თ. მამუკაევი. ორივე მკვლევრის სამეცნიერო კვლევის შედეგები ასე შეაფასეს დ. როზლინმა და ა. ცაგარეიშვილმა: „მრავალმხრივი და კვალიფიციური გამოკვლევის წყალობით ოცწლიანი ძიების საფუძველზე თ. ბ. მამუკაევმა და არქეოლოგმა ე. გ. პჩელინამ შესძლეს (sic) გამოეცნოთ საქართველოს მეფის თამარის (1184—1213) ქმრის და თანამმართველის, შუა საუკუნეების გმირის დავით სოსლანის ჩონჩხი“... ე. პჩელინამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ნუზალის ეკვდერში დაკრძალული პირი არის სოსლანი, ზოლო მისი „ვარაუდის სასარგებლოდ წინამდებარე მონოგრაფიაში დამარწმუნებელი (sic) საბუთები წარმოადგინა თ. ბ. მამუკაევმა, რომელმაც თავისი მოსაზრება დააფუძნა ისტორიულ და ლიტერატურულ მონაცემებზე“ (გვ. 5).

თ. მამუკაევის წიგნს გამოეხმაურა ოსური და ქართული პრესა. გაზ. „Социалистическая Осетия“-ში (1969, № 280) დაიბეჭდა გ. კუსოვის წერილი „Книга о научном поиске“, სადაც ნათქვამია: „დავით სოსლანის საფლავი ნაპოვნია“; „ახლა დაბეჭდებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნუზალის ეკვდერი წარმოდგენს შუა საუკუნეების გმირის განსასვენებელს“, „თ. მამუკაევმა ნუზალის ეკლესიის საიდუმლოს ფარდა აპხადა, განახორციელა საინტერესო მეცნიერული აღმოჩენა, გამოავლინა დიდი შეუპოვრობა და მრავალმხრივი ცოდნა დასახული მიზნის მისაღწევად“... ასევე სამქებარო წერილი დაიბეჭდა გაზ. „ქუთაისში“ (1970, № 62) „ახალი მასალები დავით სოსლანის შესახებ“, სადაც ავტორი ლ. ქემოკლიძე აცხადებს, რომ „სპეციალისტების დახმარებით თ. მამუკაევმა დაადგინა, რომ ნუზალის ეკვდერში ნაპოვნი ჩონჩხი და საომარი ნივთები დავით სოსლანს ეკუთვნის“ (შდრ.: გაზ. „სამგორი“, 1970, № 39).

რაკი პჩელინა-მამუკაევის ჰიპოთეზს ასეთი პრეტენზიული ხასიათი მიეცა და ჩრდილო-ოსეთში შეიქმნა ტრადიცია, რომ დავით სოსლანის საფლავი არის ნუზალის ეკლესია, საჭიროა ვრცლად განვიხილოთ ამ ეკლესიის ფრესკული მხატვრობა, წარწერები და პჩელინა-მამუკაევის ჰიპოთეზის „დამარწმუნებელი საბუთები“, რათა ერთხელ და საბოლოოდ გაირკვეს ის ქვეშაობა, რომელიც დღემდე საიდუმლოებითაა მოცული.


## ნუზალის ეკლესიის მხაჯვარობა.

### ნაჩვენები და ოს-ბაყათაის დქს-პეიჯაუნი

ეკლესია, რომელსაც ვარაუდობენ დავით სოსლანის საძვალედ, მდებარეობს ნუზალის საგვარეულო სასაფლაოზე და თავისი არქიტექტურული ფორმით წარმოადგენს ოსურ მიწისზედა სამარხს (ანუ „ზაპადზს“). აგებულია ჩარდახის მსგავსად მოშავო ქვის ფილებით. მისი გარეთა ზომა მეტრებში ასეთია: სიგრძე — 5,5, სიგანე — 3,2, სიმაღლე სახურავამდე — 2,4, სიმაღლე სახურავის ჩათვლით — 4,75 მეტრი. შიგნით, როგორც ვ. პვაფი წერს, ათი-თორმეტი კაცი ძლივს გაიმართება ფეხდგომელა. აქვს ვიწრო შესასვლელი, მის პარალელურ და მარჯვენა კედლებში გამოჭრილია ორი კვადრატისებრი პატარა სარკმელი. დაგებულია იატაკი; კედლები გალესილი და მოხატულია ფრესკებით, რომელთაც აქვთ წარწერები ქართული ასომთავრული ასოებით.

გ. თოგოშვილი წიგნში „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე)“, რომელიც გამოქვეყნდა 1958 წელს სტალინირში, ასე აღწერს ეკლესიის შიგნითა ხედს:

„საყდარი შიგნით შელესილი და მოხატულია. ნალესი ალაგ-ალაგ ჩამოცივდა და მხატვრობაც საგრძნობლად დააზიანა. მარცხენა კედელზე (შესავლიდან) მამაკაცთა დაზიანებულ ფიგურებს ქართული ასომთავრული შრიფტით მიწერილი აქვთ სახელები, რომელთაგან ზოგი კარგად, ზოგიც ფრაგმენტებად შემორჩა. მაგ.: ...ონ, სოსლან, ...ოზ, მის ქვეშ ელია; მარჯვნივ კუთხეში მიწერილია გ...ლი, მის ქვეშ ...ლი, მის თავზე გბლ. იმავე მხარეს დაბლა წარწერაა — რომანოზ. ამავე მარჯვენა



ნუხალის ეკლესიის კარის თავზე გამოსახული ჭვარი ორნამენტითა და  
წარწერით „ჭვარი ქრისტეასი“.

მხარეს არის წ: იე — წმინდა იერონიმე (sic), მასთან ახლოს თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგია, გამოხატული აბჯრითა და შუბით. შესავალი კარების თავზე შიგნიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის გამოხატულობაა და თან ახლავს წარწერა: „ჯუარი ქრისტესი“ (გვ. 240).

ეს აღწერილობა არც სრულია, არც ზუსტი; თანაც გაუგებარია სად რა ფრესკა და წარწერაა მოთავსებული. ამიტომ აქვე წარმოვადგენ ეკლესიის შიდა ხედის სრულ სურათს.

კარის თავზე დახატულია ჯვარი ორნამენტებითა და ასომთავრული წარწერით: მარცხნივ — „ჯ<sup>რ</sup>ორი“ (ჯუარი), მარჯვნივ — „ქ<sup>ეს</sup>ი“ (ქრისტესი). მის ქვემოდან კარის ორივე მხარეს გაჯი ჩამონგრეულია და მოჩანს შავი ქვის წყობა. დანარჩენი სამი კედელი სიმაღლეში გაყოფილია შუაზე ჰორიზონტალური ხაზებით: ზევით დახატული არიან ბიბლიური პირები და წმინდანები, ქვევით — „კტიტორები“.

ჯერ გამოვარკვიოთ ბიბლიურ პირთა და წმინდანთა ვინაობა:

ა. კარის პირდაპირ პარალელურ კედელზე, ზევით სარკმლის თავზე, დახატულია იესო ქრისტე, რომელსაც მარცხნივ აწერია „I<sup>რ</sup>C“, ხოლო მარჯვნივ — „X<sup>რ</sup>C“.

ბ. მარჯვენა კედელზე ზევით, სარკმლიდან მარცხნივ გვერდი-გვერდ გამოხატულია სამი წმინდანი. შუას არა აქვს წარწერა; მარცხენას თეთრად უწერია ასომთავრულით „წ<sup>ა</sup>ი<sup>ე</sup>“ (= „წმიდა იოანე“), ხოლო მარჯვენას ასევე თეთრად და ასომთავრულად — „გ<sup>ბ</sup>ლ“ (= „გაბრიელ“); მათ გვერდით ნახევარი კედლის ზედა მხარე უჭირავს სიუჟეტურ ფრესკას — „წმინდა გიორგი ზის ცხენზე და ჰკლავს ვეშაპს“, რომელსაც მხედრის თავთან მარჯვნივ შერჩენია წარწერა „გ<sup>გ</sup>ა“ (= „გიორგი“). ეს ეკლესია ატარებს მიქელ-გაბრიელის სახელს.

გ. მარცხენა კედლის ზედა ნაწილი გაყოფილია ორად: კარის მხარეს მოთავსებულია სიუჟეტური სურათი — ცხენზე ზის მხედარი და ნადირობს ორ ირემზე (მას მოუზიდნია მშვილდი და ისვრის ისარს), ხოლო ირემებს კისრები მოუბრუნებითა და მოწყალებით უყურებენ მხედარს. ფრესკა ძლიერაა დაზიანებული, არც წარწერა აქვს. გრ. უვაროვა წერს: „იმის გამო, რომ ეკლესიის მხატვარი, ჩანს, ქართველი ყოფილა, მე ვიხრე-

ბი იქითყებს, რომ ამ მხედარში დაეინახო ფარნავაზი, საქართველოს გმირი, რომელმაც მამული გაათავისუფლა აზოსაგან<sup>18</sup>. კ. ბერლადინა ფიქრობს, რომ ეს სიუჟეტური სურათი უნდა იყოს „ევსტათი პლაკიდის სასწაული“...<sup>19</sup> მისი მოსაზრება გაიზიარეს ე. პჩელინამ და „ოსეთის ისტორიის“ ავტორებმა<sup>20</sup>.

იქვე მარჯვნივ გამოსახული არიან ჯერ მამაკაცი წმინდანი, რომელიც მიქელ მთავარანგელოზი უნდა იყოს, და მერმე მარიამ ღვთისმშობელი (წარწერით — M<sup>CP</sup> Θ<sup>V</sup>)<sup>21</sup>.

ეს ბიბლიური პერსონაჟები და წმინდანები, რომლებიც ნუზალის ეკლესიაში არიან გამოხატულნი, ოსების ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებენ. ოსები იოანე ნათლისმცემელს, წმინდა გიორგის, მარიამ ღვთისმშობელს, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს სათაყვანებელ წმინდანებად სთვლიან და მათთან შესაწირავიც მიაქვთ. მათ შორის განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მამაკაცთა მფარველი წმინდა გიორგი. მის ხსენებაზე კაცები ქუდს იხდიან, ქალები ფეხზე დგებიან. ამიტომაც ოსეთში ძლიერ ბევრია წმინდა გიორგის ნიში (ძუარი ანუ ჯვარი). ელიას, მიქელსა და გაბრიელს სთხოვენ მიწის ნაყოფიერებას, მარიამ ღვთისმშობელს — შვილიერებას. საქმროს სახლში მოყვანილ პატარძალს ბავშვი ახდის თავსაბურავს და ასე მიმართავს: „ღეე, მარიამმა მოგცეს შვილი ვაჟი და ერთი ქალიო“. იოანე ნათლისმცემელს უხმობენ მაშინ, როდესაც მენახირემ მსხვილფეხა საქონლის მწყემსობას უნდა დაანებოს

<sup>18</sup> Гр. Уварова, Кавказ, 1887, გვ. 43.

<sup>19</sup> К. Берладина, Святыни сел. Нузаль в Северной Осетии (Нузаль-Аргуан), ИИЯЛ Дагестанского филиала АН СССР, ხელნაწერი № 1629 (Махачкала).

<sup>20</sup> Е. Г. Пчелкина, Нузальская часовня в Северной Осетии (ციტ. ხელნაწერი); История СО АССР. I, 1959, გვ. 76. შტრ. И. З. Теплицкий, Н. Д. Цагаев, Памятники материальной культуры Сев. Осетии, 1963, გვ. 13.

<sup>21</sup> ა. გატუევი იუწყება, რომ მათთან ერთად იქვე გამოსახულია სოლომონის პორტრეტი (Христианство Осетии, გვ. 5), მაგრამ მისი კვალი ახლა აღარ შეინიშნება.

თავი, ოლონდ მისთვის უქმე დღე არ არის დაწესებული, არც შესაწირავი მიაქვთ მასთან<sup>22</sup>.

ეს სარწმუნოებრივი წესები კარგად სცოდნია ნუზალის ეკლესიის კტიტორს, რომელსაც ზემოხსენებული ფრესკები მოუხატინებია.

კედლების გამყოფ შუახაზს ქვევით დახატული არიან ე. წ. „კტიტორები“ — ისტორიული პირები, რომლებიც სხვადასხვა დროს იხსენიებიან წერილობითსა და ზეპირსიტყვიერ ძეგლებში:

ა. კარიდან მარცხენა კედლის ქვედა ნაწილში, წარმოდგენილია შვიდი პორტრეტული ფრესკა. მათგან ყველა დაზიანებულია: სახეები ამოფხეკილია, ადგილ-ადგილ მონგრეულია გაჯი და წარყვნილია წარწერებიც, რომლებიც თვითვეულ პორტრეტს ჰქონია თავთან, მარჯვენა მხარეს. ყველა წარწერა ასომთავრული ხუცურიტაა შესრულებული. პირველ პორტრეტს მიწერილი აქვს „დ“, რაც შეიძლება ნიშნავდეს „დავითს“, მეორეს — „ონ“ (ვ. პუაფის დროს ყოფილა „თონ“), ე. ი. „ათონ“. მესამეს — „სოსლან“ (ზომით 6×23 სმ.), მეოთხე ახლა უწარწერა, მაგრამ ვ. პუაფის მიერ გადმოღებული კალკის მიხედვით ირკვევა სრულიად გარკვევით, რომ მას მიწერილი ჰქონია „ფიდაროს“<sup>23</sup>. მეხუთე პორტრეტს აქვს ორსტრიქონიანი წარწერა, რომლისგან გადარჩენილია მხოლოდ „...ის“ (ზევით) და „ი: ელია:“ (ქვევით). მეექვსე ფრესკა მთლად აფხეკილია, ხოლო მეშვიდეზე გამოხატულია წმინდანი, რომელსაც აწერია „სო“..., რაც უნდა ნიშნავდეს „სოკურ“-ს.

---

22 А. Т. Шерген, Религиозные обряды осетин. (Кавказ, 1846, № 27); И. Беридзе, «Вашкирки» у осетин (Кавказ, 1855, № 75); А. Гатуев, Христианство Осетии, გვ. 5—6. ზ. კიკინაძე, ოსეთის ისტორია, 1913, გვ. 239—243. Г. Чурсин, Осетины. Этнографический очерк, 1925, გვ. 44, 72—77.

23 Сборник сведений о Кавказе, I, 1871, გვ. 137. ჩანს, ეს წარწერა დამახინჯებით გადმოვლია გრ. უეაროვას და დ. ბაქრაძისათვის უჩვენებია. უკანასკნელს წაუკითხავს ასე: „სუარგ“ (Кавказ, გვ. 44). ვ. პუაფის მიერ გადმოღებული წარწერა სწორია (ახლა შეიმჩნევა მხოლოდ ფ-ს ნაწილი). მისადმი გრ. უეაროვას საყვედური არ არის გამართლებული.

ნუზალის ეკლესიის წარწერები

I. ვ. პეტრის მიერ გამოქვეყნებულა

თღრ:

[ა]თონ:



საღსუნ:

სოსლან:

ყ სიღაღს:

ფ[იღ]აროს:

ი: თუნ:

ი: ელია:

II. სხვა ისტორიულ პირთა სახელები

სო

სო[კურ]

ბანილი

ბ[ანი]ლი } ბანილი  
ლი: }

რომ  
ანო  
ზ

რომ }  
ანო } რომანოზ  
ზ }



ბ. კარის პირდაპირ კედელზე ქრისტეს პორტრეტის ქვეშ. სარკმლის ორივე მხარეს დახატულია ორი წმინდანის პორტრეტი. მარჯვენას აქვს წარწერა „ბასილი“, მარცხენა უწარწეროა.

გ. კარის მარჯვენა კედელზე, კუთხეში ბასილის გვერდით მოთავსებულია მესამე წმინდანი წარწერით „რომანოზ“. მის გასწვრივ გამყოფ შუახაზს ქვეშ, ვიღრე კარამდე, გაჭი ერთიანად მონგრეულია შეგნებულად. მძიმე ბლაგვი იარაღით (ცულით ან რკინის ჩაქუჩით).

ამრიგად, „ეტიტორების“ გაღერეას თუ გადავხედავთ. ასეთი სურათი წარმოგვიდგება: სამივე კედლის ქვედა ნაწილზე დახატული არიან:

ღ[ავით], [ათ]ონ, სოსლან, ფ[ილ]აროს.

ელია(?), X, სო[კურ], X,

ბასილი, რომანოზ.

ვინ არიან ეს „ეტიტორები“?

მკითხველი ამაზე პასუხს იპოვის ვახუშტი ბაგრატიონის მინაწერში, რომელიც მას თამარისა და დავით სოსლანის ქორწინების ამბავთან ჩაურთავს „საქართველოს ისტორიაში“, „ნარას სოფელს ნუზალა საყდარზე დაწერილ ლექსსა“ და ნაწილობრივ იმ მოგზაურთა ნაწერებში, რომელთაც ნახეს და აღწერეს ნუზალი, ეკლესია და მისი მხატვრობა. დავიწყოთ უკანასკნელიდან.

ვ. პფაფი წერს: „დაბლა, ამ სურათის (იგულისხმება ევსტათი პლაკიდის სასწაულის სახელით ცნობილი ფრესკა, ი. ლ.) ქვეშ, სრულიად გარკვევით შეიძლება გავარჩიოთ ოთხი კაცის ფიგურა ან პორტრეტი ჩერქეზული ტანისამოსით. თავი მთლიანად შენახული აქვს მხოლოდ მეოთხეს, ტანი — მეორესა და მეოთხეს. ამ პორტრეტთა შორის შუალედ არეებში მოთავსებულია წარწერები: მათგან შეიძლება გავარჩიოთ მეორესა და მესამეს შორის, თავებთან ახლოს, ასოები «თონ». ალბათ, ეს იყო სახელი «ათონ», რომელსაც იხსენიებს ვახუშტი; მესამესა და მეოთხეს შორის სრულიად გარკვევით შეიძლება წავიკითხოთ სახელი სოსლან. სხვა წარწერები, სამი გაურკვეველი ასოს გარდა, წაშლილია. მაგრამ ერთმა მეცნიერმა კავკა-



ნეზლის იკლესიის ისტორიული ფრესკა წარწერებით: „ღ(ეით). [ათ]ინ. სოსლან. ფ[იდაზის]. ი: ელა“

სიოლოგმა, რომელმაც ჩემზე გაცილებით ადრე იზრუნა ამ წარწერების გადმოღებაზე, მაცნობა კიდევ ერთი, ამჟამად უკვე წაშლილი სახელი — ჯ ა დ ა რ ო ს<sup>24</sup>. დღეს ამ სამი სახელიდან გადარჩენილია მხოლოდ „[ათ]ონ“ და „სოსლან“. მათ მოსდევს წარწერა „ფიდაროს“, რომლისგანაც გადარჩენილია მხოლოდ „ფ“ (ოდნავ დაზიანებული), ხოლო წარწერა „ჯადაროს“ დღეს არც ერთ პორტრეტთან არ იკითხება. თუ ამ წაშლილ სახელში იგულისხმება ჯადარონი, ათონის ძე და დავით სოსლანის მამა, როგორც ამას ფიქრობენ ე. პჩელინა და თ. მამუკაევი, მაშინ ის დახატული უნდა ყოფილიყო მესამე ადგილზე მეოთხის წინ, მაგრამ რაკი ათონის მომდევნო პორტრეტი სოსლანისაა, მაშასადამე ჯადარონი იმ ადგილას საერთოდ არ ყოფილა დახატული. იგი საძიებელია ფიდაროსის (ე. ი. მეოთხე) პორტრეტის შემდეგ.

ამ პორტრეტების ვინაობას შეეხო აგრეთვე გრ. უვაროვა: „ზეპირი გადმოცემა ამბობსო, რომ ეს ეკლესია აგებულია XII საუკუნეში ძმები ცარაზონების მიერ. ქვედა სარტყელზე წარმოდგენილია ხუთი ოსი ჭაბუკი ან გვარის ფუძემდებელი: ოსბაყათარ, სიღამონი, არხონი, ბატონი და ცარაზონი“ (გვ. 43). მაგრამ ეს ცნობა არ დასტურდება, რადგანაც გრ. უვაროვამ არ იცოდა ქართული, ის წარწერის გაშიფრვას დ. ბაქრაძესა სთხოვდა და, ბუნებრივია, პორტრეტების ვინაობას ვერ გაარკვევდა.

სხვაგვარად მსჯელობს ე. პჩელინა: ფრესკაზე გამოხატული არიან ათონი, ჯადარონი, სოსლანი (თანახმად წარწერებისა) და აგრეთვე ლაშა-გიორგი და ულუ-დავითი (თანახმად ქრონოლოგიისა). იგი ცდილობს ფრესკაზე ამოიკითხოს „ლაშა-გიორგი“ და „ულუ-დავითი“-ც<sup>25</sup>, მაშინ როდესაც მან არც კი იცის, რომ ნუზალის ეკლესიის წარწერები შესრულებულია ხუცური ასომთავრული ასოებით. აი, რას ვკითხულობთ მის ხელნაწერ ნარკვევში: „დავით სოსლანის პორტრეტს აქვს მხედრული ასოებით ქართული წარწერა სოსლან“ (გვ. 3), ან:

<sup>24</sup> В. П ф а ф, Материалы для истории осетин (ССКГ, V, 1871), გვ. 33—34 (ქვემოთ ყველგან მიუთითებლად ამ შრომას ვიმოწმებთ).

<sup>25</sup> ის დასახელებული ხელნაწერი, გვ. 38; შდრ.: გაზ. „Социалистическая Осетия“, 1946, № 115 (9.VI).

„Около средней, третьей от двери фигуры написано грузинскими буквами м х е д რ უ ლ ი სოსლან Сослан“ (გვ. 25). ამას წერს მკვლევარი, რომელსაც „Молодой коммунист“-ის კორესპონდენტი ახასიათებს, როგორც „სომხეთის, საქართველოს და, განსაკუთრებით, ოსეთის ძველი ისტორიის ბრწყინვალე მცოდნეს“. სამწუხაროდ, ეს „ბრწყინვალე მცოდნე“ ვერ ერკვევა ქართული პალეოგრაფიის საკითხებში და ამის შემდეგ როგორ შეეძლო მას იქვე ლაშა-გიორგისა და ულუ-დავითის არ-არსებულ პორტრეტებზე ვითომდა წაშლილი (თუ დაზიანებული) წარწერების ტექსტი გაეშიფრა?! მაგრამ სავალალო უფრო ისაა, რომ ე. პჩელინას ენდობა თ. მამუკაევი. ეს უკანასკნელიც წერს: ნუზალის ფრესკაზე გამობატული არიან „ათონი (სოსლანის პაპა), ჯადარონი (სოსლანის მამა) და თვით სოსლანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა ივერიის (საქართველოს) სამეფო კარზე. მათ გვერდით იხსენიება აგრეთვე გიორგის (დავით სოსლანის შვილის) სახელი“ (გვ. 110), მაგრამ არც თ. მამუკაევა იცის ძველი ქართული დამწერლობა და, ცხადია, ვერ გაშიფრავდა ქართულ წარწერებს. ამიტომ საკვირველია, რა საბუთით აცხადებს იგი, რომ ხუთ პორტრეტთა შორის „იხსენიება აგრეთვე გიორგის (დავით სოსლანის შვილის) სახელი“, მაშინ როდესაც „ლაშა-გიორგი“ და „ულუ-დავითი“ არც ერთი „კტიტორის“ პორტრეტს არ აწერია? ეს ე. პჩელინას ვარაუდია, რომელსაც საფუძვლად უდევს გამოთქმა „თანახმად ქრონოლოგიისა“. თ. მამუკაევი თითქოს დამატებითს საბუთს იშველიებს: „ნუზალის ფრესკის მეოთხე პორტრეტი, რომელზედაც სახე და სახელი დაზიანებულია, თავისი კონტურული ხაზებით, პოზით, ტანისამოსითა და ქაპრით... რამდენადმე ემსგავსება ლაშა-გიორგის იმ პორტრეტს, რომელიც მოთავსებულია საქართველოში ბეთანიის მონასტრის ფრესკაზე“. ამის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „ნუზალის ფრესკის პორტრეტი არის ლაშა-გიორგის პორტრეტიო“ (იქვე). მაგრამ ეს „მტკიცებაც“ უნიადაგოა, რადგანაც ნუზალის რამდენიმე პორტრეტს ერთნაირი აქვს კონტურული ხაზები, პოზა და ტანისამოსი. ცხადია, მსგავსება არ გამოდგება იმის საბუთად, რომ მეოთხე პორტრეტი ლაშა გიორგისად ვცნოთ. ე. პჩელინასა და თ. მამუკაევს რომ საფუძ-

კლიანად შეესწავლათ ამჟამად არსებული ფრესკული წარწერები და ვ. პფაფის მიერ გამოქვეყნებული წარწერებისთვის შეედარებინათ, დარწმუნდებოდნენ, რომ მეოთხე პორტრეტი არის ფიდაროსი, როგორც ეს უკვე ზევით ითქვა.

• • •

ბოტანიკოსმა ვ. მარკოვიჩმა ზემოხსენებულ წიგნში „В верховьях Ардона и Риона“ აღნიშნა, რომ ეკლესიის კედლებზედ „при входе налево и направо нарисованы изображения девяти братьев — основателей этой часовни“ (გვ. 57). ეს ცნობა დიდად საყურადღებოა: რაც ვერ შენიშნეს ისტორიკოს-არქეოლოგებმა, ის დაინახა ბოტანიკოსმა! ცხადია, ნუშალის ეკლესია არ დაუარსებია ცხრა ძმას (ამ შემთხვევაში ვ. მარკოვიჩი ეყრდნობა გადმოცემას, რაც მან მოისმინა), მაგრამ მის ცნობაში მნიშვნელოვანია ის, რომ ნუშალის ეკლესიის „კტიტორების“ ვინაობა დაკავშირებულია „ნუშალა საყდარზე დაწერილ ლექსში“ მოხსენიებულ ცხრა ძმასთან, რომელნიც ჩარჯოლიძე-ჭარხილანთა ჩამომავალნი ყოფილან. ვ. მარკოვიჩი იქვე იმოწმებს ლექსის რუსულ თარგმანს, დაბეჭდილს მ. ჯანაშვილის მიერ 1897 წელს თავის ცნობილ შრომაში „Известия грузинских летописей о Сев. Кавказе“ (СМОМПК, ХХII, გვ. 43—44). ის აქვეყნებს, აგრეთვე, გადმოცემებს ცარჯონთა გვარის სალოცავებზე, რომელთა ადგილებს აღწერს კიდევ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ იგი გვესაუბრება სიდანზე, სადაც დაყუდებული ყოფილან ისაკ, ბასილი და რომანოზი (ოს-ბაყათარის „ქმები“) და გვაწვდის ოს-ბაყათარზე შეთხზული ლექსის ხალხურ ვარიანტსაც. მაგრამ სანამ ამ ვარიანტს გავიცნობდეთ, დავიმოწმოთ ჯერ ლექსის ქართული ტექსტი:

1. ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი  
ჩარჯოლიძე-ჭარხილანი:  
ოს-ბაყათარ, დავით სოსლან —  
ოთხ სამეფოთ მებრძოლანი;  
ფიდაროზ, ჯადაროზ, სოყურ და გიორგი<sup>26</sup> —

<sup>26</sup> აქ დარღვეულია 16-მარცვლოვანი ლექსის საზომი: „და გიორგი“ აწვევს მიტმარცვლიანობას.

მტერთა რისხვით შემხედვარნი;  
ჩვენნი ძმანი, სამნი ბერნი —  
ისაკ, რომანოზ და ბასილ  
იქმნეს ქრისტეს კარგნი ყმანი.

2. ჩვენ ვევიჭირავს მიმოვალთა  
ოთხის კუთხივ ვიწრო ვზანი.  
კასარაზედ სიმაგრე მაქვს და საბაჟო<sup>27</sup>.  
აქ მიჭირავს ზილი-კარი<sup>28</sup>.

საიქიოს მოიმედე,  
სააქაოს კარვად მდგარი...  
ოქროსა და ვერხცლის მიწა  
ამდენი მაქვს, ვითა წყალი.

3. კავკასიონი დავიპყარ,  
ოთხ სამეფოთ გავუმკლავდი;  
ქართველს ბატონს<sup>29</sup> და მოესტაცე.  
არ დავავდე ჩემი გვარი.  
მამწედა, ფიცით მილალატა.  
მან დაიღვა ჩემი ბრალი.  
ბაყათარი წყალს მიეცა,  
ალიხოცა ოსთა ჯარი.  
ეინც ეს ლექსი იხილოთა  
მეტირე ბრძანეთ შენდობანი<sup>30</sup>.

ამ ლექსს შინაარსობრივად მჭიდრო კავშირი აქვს ნუზა-  
ლის ფრესკულ მხატვრობასთან. მისი წყალობით შესაძლებელი

27 ამ ტაეპშიც დარღვეულია 16-მარცვლოვანი ლექსის საზომი.

28 ზილის კარი.

29 ზოგიერთ გამოცემაშია — მეფეს.

30 A1111, ფ. 249r (გადაწერილია 1817 წელს სფირიდონ იაშვილის მიერ); S3668, ფ. 64v (მიწერილია აშიაზე დ. ჩუბინაშვილის მიერ ვახუშტის „ისტორიაში“ იქ, სადაც ლაპარაკია ოს-ბაყათარზე). ტექსტი პირველად გამოაქვეყნა მ. ბ რ ო ს ე მ 1830 წელს (Journal Asiatique, ტ.) VI, 1830, გვ. 305 და შემდეგ). მას განიხილავენ ქართველი და უცხოური მკვლევარები. მოგზაურები და არქეოლოგები. იგი ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა საგანგებოდ შ. ო ნ ი ა ნ შ ა, რომელსაც გამზადებული აქვს დასაბეჭდად ნარკვევი. ვრცელი (თუმცა არასრული) ბიბლიოგრაფია იხ. ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს წიგნში „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“ (I, 1961, გვ. 54—55, 184—186). რუსული თარგმანი იხ. В. П ф а ф, Материалы..., ССКГ, V, გვ. 60; მოსე ჯანაშვილის ისტორიული ნარკვევები. СМОНПК, XXII, 1897, გვ. 43—44; XXXV, 1905, გვ. 181—182; Истор.:я Осетии в документах и материалах. Составил Г. Тогошвили и И. Цховребов. I. 1962, Цхинвалли, გვ. 81.

ხდება გავშიფროთ ზოგიერთი უცნობი „კტიტორის“ ვინაობა შეადარეთ:

ნუზალის ფრესკული წარწერები: [დავით], [ათ]ონ, სოსლან. ფ[ილ]აროს, ელია (sic), X, სოკურ, X, ბასილი და რომანოზ.

ცხრა ძმის სახელები: ოს-ბაყათარ, დავით სოსლან, ფიდაროზ, ჯადაროზ, სოკურ, გიორგი. ისაკ, რომანოზ და ბასილი.

ამათი შედარების საფუძველზე იშიფრება „სო“... წარწერა, X და X პორტრეტების სახელები: რაკი „ერთი მეცნიერი კავკასიოლოგის“ ცნობით ფრესკის რომელიღაც „კტიტორთან“ წერებულა სახელი „ჯადაროს“. ეს უნდა ყოფილიყო უეჭველად მეექვსე (სოკურის წინა) X „კტიტორის“ პორტრეტი, რომელიც ახლა ფრესკიდან მთლადაა აფხეკილი წარწერიანად, ხოლო სოკურის მომდევნო X, რომელიც იესო ქრისტეს ფრესკის ქვეშაა დახატული წმინდანის გვირგვინით, არის ისაკის პორტრეტი, რადგანაც ისაკ, რომანოზ და ბასილი ითვლებოდნენ „ბერებად“ და „ქრისტეს კარგ ყმებად“. ამრიგად, ნუზალის ეკლესიის „კტიტორთა“ შორის ერთმანეთის გვერდი-გვერდ გამოხატულია „ნუზალა საყდარზე დაწერილ ლექსში“ მოხსენიებული შვიდი ძმა — სოსლანი, ფიდაროზ, ჯადაროზ, სოკურ, ისაკ, რომანოზ და ბასილი. ეს დასტურდება დოკუმენტურად ნუზალის ფრესკული წარწერებისა და ცხრა ძმათა სახელების ურთიერთშედარების საფუძველზე.

ე. პჩელინა და მამუკაევი გეთავაზობენ ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისს. რომელიც აიხსნება არსებული მასალის ტენდენციური ინტერპრეტაციითა და ქართული ენის უცოდინრობით. მათ არ აწყობთ ლექსში მოხსენებული „ცხრა ძმა“ და ცდილობენ ამ რაოდენობის შემცირებას სამი ძმის „ვაუქმების“ ხარჯზე. თ. მამუკაევი წერს:

„ე. გ. პჩელინას აზრით, რომელსაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით (sic), ისინი ცხრანი ძმანი კი არ იყვნენ, არამედ—სულ ექვსნი. ფოლკლორული ლექს-წარწერის შესწავლიდან ჩანს, რომ პირველ ძმათაგანს — დავით სოსლანს ეკუთვნის სიტყვე-

ბი: «ოს-ბაყათარ დავით სოსლან ოთხ სამეფოთ მებრძოლან» (Ос-багатар Давид Сослан, с четырьмя царствами драровшии). ოსური ფოლკლორი დავითს უწოდებს ბაყათარს (ოსურად — «ვაბედულს»). სახელები ფიდაროს და ჯადაროს, რომლებიც მოსდევნენ «დავით სოსლანს», მოგვიხსენებენ გავაერთიანოთ (sic), რადგანაც ფიდაროს არის დამახინჯება ოსური სიტყვისა «ფიდარ» (Фидар), რაც ნიშნავს— მაგარს, ძლიერს. ის უნდა მივაკუთვნოთ სახელს ჯადაროსს, რომელსაც ოსურ ფოლკლორში უწოდებენ ჯადა ბაყათარს — მხედართმთავარ ჯადას, დავით სოსლანის მამად მიჩნეულს შემდეგი მომდევნო სახელებიც — სოკურ და გიორგი ასევე ერთმანეთს უნდა დავუკავშიროთ (sic). სოკურ «со-хыур» ოსურად ნიშნავს ცალთვალას, ელამს, რაც წარმოადგენს დავით სოსლანის ძის, ლაშა-გიორგის, ოსურ ზედწოდებას, და, როგორც ცნობილია ქართული მათიანეს მიხედვით, მას მართლაც ერთი თვალი დაზიანებული ჰქონდა“ (გვ. 109).

აი, რისთვის სჭირდებათ ე. პჩელინასა და თ. მამუკაევს „ცხრა ძმის“ შეცვლა „ექვსი ძმით“: თუ „ოს-ბაყათარს“ მივიჩნევთ დავით სოსლანის ეპითეტად, ხოლო „სოკურს“ — ლაშა-გიორგის ზედწოდებად, მაშინ იქმნება ტრადიცია, რომ ნუზალში (თუ მის ახლოს) უცხოვრია დავით სოსლანს და, მაშასადამე, ოსური ჩვეულების მიხედვით მას უეჭველად თავის საშობლოში დასაფლავებდნენ.

არა, ამგვარი ნაძალადევი ეტიმოლოგია არავც არ სჭირდება: არც ოსებს და არც ქართველებს. ლექსი „ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი“ უდავოდ ცხრა ძმას ეხება. შეთხზულია ოს-ბაყათარის სადიდებლად. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად და წარმოდგენს საფლავის ეპიტაფიას, რომელშიც ასახულია ოსური ხალხური გადმოცემა, რომ ნუზალის საძვალე (თუ სამარხი) არის ოს-ბაყათარის — არდონის ხეობის მფლობელთა დიდი წინაპრის განსასვენებელი.

ამ ტრადიციას მხარს უჭერს ერთი ძველის-ძველი ლეგენდა. რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დასახლდა ალაგირის ხეობა მოსახლეობით. ეს ლეგენდა გამოქვეყნებულია ფ. ლეონ-



ტოვიჩის წიგნში „Адаты кавказских горцев“ (ტ. II, ნაკვ. II, ოდესა, 1883). მისი შინაარსი ასეთია:

უძველეს დროში სამხრეთიდან კავკასიაში მოვიდა სამი ქმა — ოსი, ქართლოსი და ლეკოსი. ოსმა დაიპყრო კავკასიის მთიანი მხარე და იქ დაასახლა თავისი ჩამომავლები. ქართლოსმა სამეფო თბილისის ახლოს დააარსა და ქართველებით დაასახლა, ხოლო ლეკოსი წავიდა კავკასიის აღმოსავლეთ მთიანეთში. ოსს თავს დაესხა სპარსეთის შაჰი ხელა. მან მოკლა ოსი და მისი ჯარიც გაანადგურა, ხოლო შვილები — ოს-ბაყათარი და ოს-ჩელატირი გაიქცნენ. მათ თავიანთი თანმხლებელი მომხრეებითურთ გადალახეს კავკასიონის ქედი და დასახლდნენ ალაგირის ხეობაში. აქ ოსის შვილიშვილებმა — სიდამონმა, ცარაზონმა, აგუზონმა და კუსაგონმა თავდაცვისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ააშენეს 9 არშინი სიმაღლისა და 3 არშინი სიგანის კედელი, რომლითაც თავიანთი ახალი საცხოვრისი გაამაგრეს (გვ. 18—19).

ამ კედლის ნანგრევებს იხსენიებენ კასარის ხეობაში გამკლელი მოგზაურებიც. მაგ., კ. განი ამბობს: ეს კედელი იმდენად განიერია, რომ ზედ ურემი გაივლისო, ხოლო ვ. მარკოვიჩი მას მთელ აბზაცს უთმობს: „აი, ჩვენ ვუახლოვდებით კასარის ხეობაში ყველაზე საინტერესო ადგილს, რომელსაც ეწოდება გალფანდაგ (ხარის გზა)... უწინ ურმით მოსვლა მხოლოდ ამ ადგილამდე შეიძლებოდა, შემდეგ მთებში მიდიოდა წვირილი დაკლაკნილი ბილიკი, რომელზედაც მხოლოდ ვირით შეიძლებოდა მგზავრობა. ეს ადგილი იმითაა მნიშვნელოვანი. რომ გზას აქ ჰკვეთავს მაღალი და კაპიტალურად აშენებული (რამდენიმე საყენი სიგანის) კედელი, რომელსაც ოსები რატომღაც ჩინურს ეწოდებენ და მას დიდი ჩინური კედლის გაგრძელებად სთვლიან. ახლა ამ კედლისა და ციხე-სიმაგრის ნანგრევებიც მოჩანს, ხოლო ზევით, გზის მაღლაც, შეინიშნება კოშკის ნანგრევები. ამ კედლის ჩინური წარმოშობა, ცხადია, ფანტაზიის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ; მაგრამ ის რომ ძალიან ძველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს, მასზე ხალხის მოგონებებშიც კი არაფერი არ დარჩენილა. ეს ნაგებობა ზილინ-ძუარზე უფრო ძველია... მისი კოლოსალურობა მაცვიფრებს განსაკუთრებით“ (გვ. 78). ოსი ხალხი ამ „ჩინური

კედლის“ აშენებასაც ოს-ბაყათარის ჩამომავლებს უკავშირებს.

ჩვენს საკითხს პირდაპირ ეხმაურება ხალხში დარჩენილი „თქმულება ოს-ბაყათარზე“. მას როსტომ სიკოვეის მონათხრობის მიხედვით იმოწმებს ვ. მარკოვიჩი ზემოდასახელებულ წიგნში. თქმულების შინაარსი ასეთია:

ცარაზონ ზახილობს, ოს-ბაყათარად წოდებულს, ჰყავდა რვა ძმა. მათგან ისაკი, ბასილი და რომანოზი ბერები იყვნენ. ცხოვრობდნენ სიდანში, წმ. ნიკოლოზის ზღვარის ახლოს (იქ კიდევ დარჩენილა მათი სენაკები). თვითონ ოს-ბაყათარი ცხოვრობდა ნუზალში, სადაც მან ააშენა საგვარეულო ეკლესია. ოს მეფეთა კურთხევა ხდებოდა რეკომში, რაფიელ მთავარანგელოზის ეკლესიაში. ზრამაგის კარიც, სადაც ბაეს ახდევინებდნენ, ოს-ბაყათარმა ააგო. მან ქართველ მეფეს ვახტანგ გორგასალს მოსტაცა დაჲ თამარი (sic) და 3 წელი კასარის კარის კოშკში ჰყავდა დამწყვდეული, რის გამოც ამ კოშკს ეწოდა ახსინ-ბადენ (ქალბატონის კოშკი). ნუზალის. ნაზიჯინის, ბადისა და კორას მოსახლეებს უწოდებენ ცარაზონებს და წარმოშობილი არიან უშუალოდ ოს-ბაყათარისგან (გვ. 183—184).

ეს გადმოცემები საყურადღებოა იმით, რომ კასარის ხეობის სიმაგრეთა მფლობელ გვართა წინაპრად აღიარებენ ოს-ბაყათარს — „კავკასიონის დამპყრობს“ და „ოთხ სამეფოსთან მებრძოლ გმირს“. პირველ თქმულებაში მკრთალად, ხოლო მეორეში აშკარად შემონახულია ვახტანგ გორგასალისა და ოს-ბაყათარის ბრძოლის ანარეკლი. აბა, გავიხსენოთ ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქცხ., I, გვ. 145. 150—157):

„მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, — წერს ჯუანშერი, — გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხვნი და მოტყვევენეს ქართლი თავითგან მტკვრისათ ვიდრე ხუნანადმდე, და მოაოხრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს თვინიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყვე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი... განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“... ვახტანგმა ხუთი წელი იგლოვა დაკარგული დაჲ.

აძობდა: „სიბრალო დისა ჩემისა განლევს გულსა ჩემსა, ვითარცა მახვილი ცეცხლისა“-ო. ბოლოს შეკრიბა დიდძალი ლაშქარი, დარიალის კარი განვლო, მტერს თერგის ხეობაში შეებრძოლა. ვახტანგმა მოკლა ოვსთა ბუმბერაზი თარხანი. საბრძოლველად გამოვიდა მეორე ბუმბერაზი — ბაყათარი, მოდგა მდინარის პირას და ვახტანგი გაიწვია. მაშინ ვახტანგი ..აღჭდა ტაიქსა შექურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი, და ჩავლო ვვერდი და მიდგა მახლობლად მდინარისა. კმა უყო ბაყათარს და ჰრქვა: «არა გამოვალ მე მდინარესა, რამეთუ მეფე ვარ... ხოლო შენ მონა ხარ და... გამოვედ მდინარესა ჩემ კერძო»... გამოვლო მდინარე ბაყათარ და უწყო სროლად ისრითა“, ხოლო ვახტანგი სხარტად ირიდებდა ისარს. ბოლოს ბაყათარმა მას ისრით ცხენი მოუკლა, მაგრამ, ვიდრე ცხენი ძირს დაეცემოდა, ვახტანგი ბაყათარს მოულოდნელად „მიუჭდა ზედა და უხეთქა კრძალი მჭარსა..., ჩაჰკვეთა ვიდრე გულამდე“ და მოკლა; სწრაფად შეჯდა ბაყათარის ცხენზე და თავისი სპისაყენ გამოემართა. ქართველებმა ოსები დაამარცხეს, მრავალი ტყვე და ნადავლი იგდეს ხელთ. იქიდან გაილაშქრეს პაჭანიკეთსა და ჯიქეთზე.

აი, სწორედ ეს ისტორიული ამბავია არეკლილი ზემოთ-დამოწმებულ თქმულებებში. ნუზალის ლექსის ბოლო სტროფშიც ვახტანგისა და ოს-ბაყათარის ორთაბრძოლაა ნაგარაუღვეი:

კავკასიონი დავიპარ, ოთხ სამეფოთ გაუმკლავდი;  
ქართველს ბატონს და მოესტაცე, არ დაეაგდე ჩემი გვარი.  
მამწვდა, ფიცით მილაღატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი.  
ბაყათარი წკალს მიეცა, აღიხოცა ოვსთა ჯარი.

ცხადია, ამის ავტორს წაკითხული ჰქონია ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, რომელშიც აღწერილია „ვახტანგისა და ბაყათარ ოვსის ომი და მოკვლა ბაყათარისი ვახტანგისგან“. მას ხალხისგან მოუსმენია ამავე ბრძოლის ხალხური ვარიანტიც, რომელშიც ნათქვამი ყოფილა, თითქოს ვახტანგს ოს-ბაყათარი ღალატით მოეკლას მცხეთის ახლოს არაგვზე გადმოსვლისას, როცა ის მასთან სტუმრად მოდიოდა. და ტრადიციული გადმოცემაც, რომ ნუზალის ეკვდერი

წარმოადგენს ოს-ბაყათარის განსასვენებელს<sup>31</sup>. ამის შედეგად პოეტს შეუთხზავს საფლავის ეპიტაფია სტერეოტიპულ დაბოლოებით: „ვინც ეს ლექსი იხილოთა, მცირე ბრძანეთ შენდობანი“, — და იგი ნუზალის ეკლესიის ფრესკებს შორის, მოუთავსებია, რათა ხალხურ ტრადიციას ჰქონოდა ერთგვაროვანი საყრდენი.

• • •

ისმას კითხვა: თუ „კტიტორთა“ პორტრეტები არიან ცხრანი ძმანი, რომელნიც „ნუზალა საყდარზედ დაწერილ ლექსში“ იხსენიებიან, რატომ მათ შორის არ არის ოს-ბაყათარის პორტრეტი? ეს ერთი შეხედვით დამაფიქრებელი გარემოებაა, მაგრამ თუ საფუძვლიანად გავსინჯავთ მარცხენა ედლის მხატვრობას, დავრწმუნდებით, რომ ოს-ბაყათარის ფრესკა არის სწორედ ის, რომელიც დღეს ევსტათი პლაკიდის სასწაულადაა აღიარებული.

ევსტათი პლაკიდი (Placidus) იყო რომაელი დიდებული, სარწმუნოებით წარმართი. ერთხელ ნადირობის დროს მას გამოეცხადა რქებზე ჯვარგამოხატული ირემი. როგორც კი მან მისი მოკვლა გადაწყვიტა, მოზიდულ მშვილდზე ისარი გაიღუნა და ველარ ისროლა. ირემი უვნებელი დარჩა. ამის შემდეგ ევსტათი ღვთის ბრძანებით ოჯახითურთ გაქრისტიანდა და მისიონერულ მოღვაწეობას შეუდგა. აწამეს 118 წელს.

ამ სასწაულის სიუჟეტური სურათი დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში აღმოჩნდა. იგი ამოკვეთილია ქვაზე და გ. ჩუბინაშვილი ათარიღებს მას VI—VII საუკუნეებით<sup>32</sup>. ფრესკის დამახასიათებელი მოტივია ის,

<sup>31</sup> ერთი გადმოცემა ვახტანგ მეფისა და ბაყათარის შესახებ ჩაწერილია ეპისკოპოს კირიონის ინიციატივით 1904 წელს (ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, 1959, გვ. 15—20; შტრ. „Московский ведомость“, 1896, № 25, 34, 40). ვ. პუფი ამ ლექსს არ უკავშირებს ვახტანგისა და ოს-ბაყათარის ორთაბრძოლას (გვ. 4). ჩანს, მას მხედველობიდან გამოორჩენია, რომ ოსებმა ვახტანგს დაე მოსტაცეს. სამაგიეროდ, ის მოგვითხრობს ოს-ბაყათარის დალატით მოკვლის სხვა ამბავს, რომელიც მოუსმენია მას როგორც ოსეთში, ისე მცხეთაში (გვ. 59—60).

<sup>32</sup> Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, 1948. გვ. 31—32 (აგრეთვე ტაბულა 7 და 37).

რომ ისარი იღუნება, როცა მხედარი მის სატყორცნელად მშვილდს მოზიდავს, ხოლო ირმის რქებზე ჭვარია გამოსახული, რათა მონადირემ იგრძნოს ღვთის მიერ მოვლენილი სასწაულის ძალა. თუ ეს მოტივი სურათზე არ შეიმჩნევა, მაშინ იქ ევსტათი პლაკიდის სასწაულზე ლაპარაკი ზედმეტია. ნუზალის ეკლესიის ფრესკას ამ სასწაულისთვის დამახასიათებელი მოტივი არა აქვს. აქ დიდებულის ტანისამოსით გამოწყობილი მხედარი ზის ცხენზე, მოუზიდნია მშვილდი და ისარს უმიზნებს ვიწრო ხეობაში მყოფ ორ ირემს, რომელთაც კისრები მხედრისკენ მოულერებიათ და მოწყალებას ითხოვენ. მასზე არც ჭვარგამოხატული ირემია და არც მონადირის გაღუნული ისარი<sup>33</sup>. ცხადია, ნუზალის ფრესკა ამ მოტივების გარეშე შეუძლებელია ვცნოთ ევსტათი პლაკიდის სასწაულად.

მაშ, ვინ არის ფრესკაზე გამოხატული მონადირე?

ფეიქრობ, იგი არის ოს-ბაყათარი, საისტორიო წყაროებითა და ოსური ხალხური გადმოცემებით ცნობილი შეუღარებელი მოისარი. ჭუანშერის თქმით, მას ჰქონდა ყველაზე დიდი და გრძელი მშვილდ-ისარი: „რამეთუ იყო სიგრძე მშვილდისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი — ექვსი მტკაველი“ (გვ. 154). ისრის ძლიერი ტყორცნა იცოდა: ერთხელ მან „ჰკრა ისარი ცხენსა ვახტანგისსა და გააგდო შიგა“ და მოკლა (გვ. 155). ნუზალის ფრესკაზე გამოხატული მხედარი, რომელსაც მოუზიდნია სატყორცნელად დიდი და გრძელი მშვილდ-ისარი, პირდაპირ ესატყვისება ჭუანშერის მიერ ოს-ბაყათარის ამ დახასიათებას.

საერთოდ, ქართული წყაროების მიხედვით, ოვსნი ითვლებოდნენ ჩინებულ მოისრეებად და სწორედ ამისი გამოძახილია, ჭუანშერი რომ წერს: „ხოლო ოვსნი წარმოდგეს კარავსა ზედა და დაასხეს ისარი, ვითარცა წვიმა მძლავრი“ (გვ. 156). ამითვე აიხსნება, რომ თამარის მეხოტბე ჩახრუხაძე დავით სოსლანს უწოდებს „ეფრემის ძირთა ისართა მთელს“ (X, 21). რაკი ოსეთში წმიდა გიორგის კულტია გაბატონებუ-

<sup>33</sup> Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа о древнейших времен до 1867 года (ИСОНИИ, т. XI, 1947), гв. 118.

ლი, ხოლო ნუზალის ეკლესია ითვლება ოს-ბაყათარის საძვალედ, სწორედ ამიტომ ეკლესიაში შესვლისთანავე მარჯვნივ ჰხედავთ თეთრ ცხენზე ამხედრებულ წმინდა გიორგის, რომელიც შუბით ჰკლავს ურჩხულს, ხოლო მარცხნივ — დიდი და გრძელი მშვილდ-ისრით ცხენზე ამხედრებულ ოს-ბაყათარს, არდონის ხეობის მფლობელთა წინაპარს, რომელიც ირმებზე ნადირობს მიუვალ მთებში.

ამრიგად, ნუზალის ფრესკები წარწერებებით და ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფია („ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი“) ასახვენ ცხრა ძმათა საქმიანობისა (თუ გმირობის) მწიგნობრულსა და ფოლკლორულ ტრადიციას. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ქრონოლოგიურად, ერთმანეთს შინაარსობრივად ავსებენ და შესაძლებლობას გვაძლევენ, რომ ფარდა ავხადოთ ნუზალის ეკლესიის საიდუმლოებას ნაწილობრივ მაინც.

ამიტომაც საეკვოა ვ. პუფის კატეგორიული განცხადება, თითქოს ნუზალის ეკლესიაში არასოდეს არ იყო წარწერილი ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფია. მის ნარკვევში ვკითხულობთ:

„კითხვაზე, თუ რა ადგილას იყო ეს წარწერა, მაჩვენებს ზემოაღნიშნულ პორტრეტთაგან მეორესა (ათონსა, ი. ლ.) და მესამეს (სოსლანს, ი. ლ.) შორის არსებული ვიწრო ზოლი და კიდევ სხვა ადგილი მოპირდაპირე მხარეს. ამასთან მაცნობებს, რომ ეს წარწერა განზრახ მოსპოვიდაც მღვდელმა, სახელად ნიკოლოზ სამარგანოვმა... იმ ადგილას, რომელზედაც მე მიმითითეს, არავითარი წარწერა არ არის და გაჯიც კედლიდან კი არ მოუნგრევიათ, არამედ თავისით ჩამონგრეულა: თუ იქ რაიმე წარწერა იყო, ეს უნდა შესამჩნევი ყოფილიყო, რადგანაც გაჯი ზოგან დარჩენილა, მაგრამ მასზე ასოების მცირეოდენი კვალიც კი არ შეიმჩნევა. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წარწერა მოთავსებული იყო ან იატაკზე ან ქერზე“ (გვ. 32).

ცოტა ქვევით კვლავ იუწყება:

„ასეთი ფართო წარწერა ვერ მოთავსდებოდა კედლის ისეთ ვიწრო ზოლზე, რომელიც აქ მიჩვენეს, მით უფრო იმიტომ, რომ ასოები, რომლებითაც თითქოს ამ წარწერის მოჩვენებითი ნარჩენებია დაწერილი, საკმაოდ დიდი ზომისაა. ყველა აქედან გამომდინარე ვასკვნივთ, რომ ნუზალის წარწერა არასდროს არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულებო. რადგანაც მისი შინაარსი ეწინააღმდეგება ყველა ისტორიულ მონაცემს“ (გვ. 61).

ვ. პუაფის ეს მოსაზრება გაიზიარა გრ. უვაროვამ და თავის მხრივ დასძინა: „წარწერის შემთხვევებს, ალბათ, არ უნახავთ ეკლესია, თორემ იქ ერთხელ ნამყოფთაც კი არ შეიძლება არ შეემჩნიათ, რომ მასში შეუძლებელია ფიზიკურად მოთავსდეს ისეთი დიდი წარწერა, რომელსაც ისინი მას მიაწერენ“ (გვ. 43).

მთლად არც ისეა საქმე, როგორც ვ. პუაფი და გრ. უვაროვა სახავენ. მათ რომ სცოდნოდათ ის შინაარსობრივი სიანხლოვე ფრესკებსა და ლექს-წარწერას შორის, რომელზედაც ზევით მქონდა საუბარი, ისინი ასეთ ნილილისტურ პოზიციას არ დაიპყრდნენ. 1817 წლის ხელნაწერის მიხედვით, ამ ლექსს აქვს ზედწარწერა „ნარას სოფელს ნუზალა საყდარზედ დაწერილნი ლექსნი“, რომელიც მ. ბროსეს პუბლიკაციაზე 13 წლით ადრინდელია, და მის ნამდვილობაში ეკვის შეტანა სარისკოა. თუ ტრადიციას დავუჯერებთ, ტექსტი წარწერილი უნდა ყოფილიყო ნუზალის ეკვდერში, მაგრამ არა იქ, სადაც ვ. პუაფს უჩვენებდნენ, არამედ — რომანოვის პორტრეტის მარჯვნივ, წმინდა გიორგის სიუჟეტურ სურათს ქვეშ, იქ, სადაც ახლა ხელოვნურადაა მოკვეთილი გაჯის მთელი მასივი. ამ მონაკვეთში თავისუფლად დაეტეოდა ეს ლექს-ეპიტაფია, რაც, ცხადია, შინაარსობრივი გააზრება იქნებოდა იმ საისტორიო ფრესკული მხატვრობისა, რომელიც ასე დეფექტურადაა დაცული ნუზალის ეკლესიაში.

• • •

ახლა საკითხავია: ბაყათარის ლექს-ეპიტაფია ასახავს თუ არა იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომელიც ცნობილია ქარ-

თული წერილობითი ძეგლებითა და ოსურ-ქართული ხალხური საისტორიო ეპოსით?

ვ. ჭვავი მის ნამდვილობას უარყოფდა, წერდა: ლექსის შინაარსი ეწინააღმდეგება ყველა საისტორიო მონაცემს, მისი შემთხვეული არ იცავს ქრონოლოგიას (გვ. 61—62). ამავე მოსაზრების იყო გრ. უვაროვა, ხოლო ე. პჩელინა 1946 წელს წერდა: „ნუხალის წარწერის ნამდვილობა, ჩემი შეხედულებით, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მისთვის ეკვდერის კედელზე არ აღმოჩნდა ადგილი, არამედ იმაში, რომ ქრონოლოგიურად არ თავსდება დაპირისპირებული სახელები, რომლებიც ოსეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის“ (გვ. 7—8). შემდეგ ის ამ შეუთავსებლობასაც აღნიშნავდა: ოს-ბაყათარი (V ს.) როგორ იქნებოდა დავით სოსლანის (XII—XIII სს.) ძმა, ან ეს უკანასკნელი — მისი მამის, ჯადარონის, ძმა? ჩარჯოლიძენი ცარაზონთა ჩამომავლები არიან, ხოლო ჭარხილანთა ვინაობა ოს-ბაყათარის წარმოშობაშია არეული (გვ. 8).

მართლაც, ამ ლექსში ქრონოლოგიურად ბევრი რამაა შეუთავსებელი. მასში მოხსენიებულ პირებს ვერ დავსახავთ ვერც ძმებად და ვერც ერთმანეთის თანამედროვეებად. ისინი სხვადასხვა გვარის ჩამომავალნი და სხვადასხვა ეპოქის მოღვაწენი არიან. თუ ისაკს, რომანოზს და ბასილს ეწოდებათ ძმები, იმიტომ რომ ისინი ბერები არიან. ამასთან ზოგის (ოს-ბაყათარის, დავით სოსლანის, ჯადარონის) ვინაობა ვიცით, დანარჩენებისა კი არა, მაგრამ ყოველივე ეს არ უშლის ხელს. რომ ლექს-ეპიტაფია ნამდვილად ყოფილიყო წარწერილი ნუხალის ეკვდერში. თუ ეს ასე არ არის და გამოთქმას „ნუხალა საყდარზე დაწერილს“ გავიგებთ არა როგორც ნუხალის ეკვდერის კედელზე წარწერილს, არამედ — ამ ეკვდერის თაობაზე მისგან დამოუკიდებლად შეთხზულს, მაინც ერთი რამ უდავოდ უნდა ვცნოთ: რა პრეტენზიასაც ამ ლექსის მიმართ ვამბობთ, იგივე უნდა გავიმეოროთ ნუხალის საისტორიო ფრესკულ მხატვრობაზეც, რადგანაც ეს მხატვრობა წარმოადგენს ლექსში მოხსენიებული ცხრა ძმის პორტრეტთა გალერეას, და ამ შემთხვევაში ხომ აშკარა ფაქტია, რომ სხვადასხვა გვარის ჩამომავალი და სხვადასხვა ეპოქის მოღვაწე პი-



რები დახატული არიან ერთმანეთის გვერდი-გვერდ და იმავე თანმიმდევრობით, როგორადაც ისინი წარმოდგენილი არიან ლექსში?! რით ავხსნათ ეს გარემოება? — ან იმით, რომ ლექს-ეპიტაფია ფრესკული მხატვრობის საფუძველზე შეითხზა მოგვიანებით, ანდა — პირიქით: ჯერ დაიწერა ლექსი და მერმე მის შედეგად შეიქმნა ფრესკული მხატვრობა. პირველ შესაძლებლობას გამოვიციხავთ, რადგანაც ეს ლექს-ეპიტაფია ეკლესიის მოხატულობის ერთ-ერთი კომპონენტია: იგი ხომ ფრესკებთან ერთად ყოფილა წარწერილი? თუ ჩვენ ტრადიციას დავუჯერებთ (და ამის უარყოფის უფლება არც გვაქვს), უნდა ვირწმუნოთ, რომ როდესაც ეკლესია არსებულ ი სახით მოიხატა, მაშინვე დაიწერა კედელზე ლექს-ეპიტაფიაც. ამას ტრადიციის გარდა ადასტურებს ისიც, რომ ფრესკული მხატვრობა იცავს ე. წ. „კტიტორთა“ განლაგების იმ თანმიმდევრობას, რომელიც დაცულია ლექსში, ხოლო ლექსი ასახავს ფრესკული მხატვრობის იმ შინაარსსა და კასარის ხეობის ქვაბნაშენთან დაკავშირებულ იმ ფოლკლორულ ტრადიციას, რომლებიც ერთი მთლიანობითაა გამოვლენილი ნუზალის ეკლესიის რაობასა და მის საიდუმლოებით მოცულ ისტორიაში. ამიტომ ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფიისაგან დამოუკიდებლად ნუზალის წარმართული სამარხის ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთების დროს დადგენა არ იქნებოდა მართებული. მაშ, განვიხილოთ კომპლექსურად მათი ქრონოლოგიური საკითხებიც.

## ოს-ბაყათარის ღუძს-ეპიგრაფიის ღანეის თაჩილინათვის.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ლექსი „ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი“ შექმნილია „ალორძინების“ ხანაზე ადრე, დაახლოებით XII—XIV საუკუნეებში. ზოგიერთი მის ავტორსაც კი ასახელებს. მაგ., ზ. კიკინაძე წერს: „ლექსი «ჩვენ ვიყავით» დაწერილი არის XII საუკ. დავით სოსლანი-საგან. მართალია, ამ ლექსში ოს-ბაყათარი მოიხსენიება და სხვაც ასეთნი, მაგრამ ეს არ გვაფიქრებინებს, რომ ვითომც იგი ძველის-ძველია... ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ თუმცა ამის დაწერას დავით სოსლანს ვაკუთვნებთ, მაგრამ შეიძლება ეს ასე არ გახლდესთ და იგი სხვისი იყოს... მაგრამ რაკი ოსეთში ოსთაგან მწერლობის კალმის მწერლად დავით სოსლანზედ მეტს სხვას არავის ვიცნობთ, ამიტომაც სხვაზედ არ ვფიქრობთ ამას“<sup>34</sup>... თ. ყორდანიას იგი 1324 წლის ახლო ხანში დაწერილად მიაჩნდა. ქართული მატრიანეების მიხედვით ეს ისტორიკოსი იძლევა XIV საუკუნის დასაწყისის ისტორიულ მიმოხილვას და დასძენს: „ამ გარემოებათა სრულიად ეთანხმება ქვემო მოყვანილი წარწერა (ე. ი. „ნარს სოფელს, ნუზალა საყდარზედ დაწერილი ლექსი“, ი. ლ.), რომელიც უსათუოდ «ქართველ ბატონად» გიორგი მეფეს („ბრწყინვალეს“, ი. ლ.) უნდა გულისხმობდეს“<sup>35</sup>. მის სიძველეზე ლაპა-

34 ზ. კიკინაძე, ოსეთის ისტორია, 1913, გვ. 207.

35 თ. ყორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 177—178.

რაკობენ სხვა მკვლევრებიც, მათ შორის ს. კაკაბაძე და ბ. ალბოროვი<sup>36</sup>.

ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმულია საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, სახელდობრ, ის, რომ ეს ლექს-ეპიტაფია დაწერილია XIX საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 20-იან წლებში. ეკვი მის სიახლეზე პირველად გამოთქვა კ. კეკელიძემ: „ჩვენს პოემასა („აღლუზიანსა“, ი. ლ.) და ნუზალის ეკლესიის ლეგენდას შორის რაღაც იდუმალი კავშირია, საფიქრებელია—ქრონოლოგიურიც“<sup>37</sup>. მას მიემხრო ე. ჰეღლინა, რომელმაც დაიმოწმა აღნიშნული მოსაზრება და თანაც დასძინა: შეიძლება ეს ლექსი მართლაც შეთხზული იყოს XIX საუკუნის დასაწყისში და მერმე გადაცემული მ. ბროსესადმი გამოსაქვეყნებლად<sup>38</sup>. უკანასკნელ ხანს მისი დათარიღება სცადა შ. ონიანმა. მან დამაჯერებლად დაასაბუთა კ. კეკელიძისა და ე. ჰეღლინას ვარაუდი და ისიც დაუმატა, რომ ლექსის ავტორი უნდა იყოს იოანე იაღლუზიძე<sup>39</sup>. ჩვენ ამ მეორე ჯგუფის მკვლევართ ვეთანხმებით არსებითად.

ლექს-ეპიტაფია, როგორც სამართლიანად შენიშნავს ქს. სიხარულიძე, „წმინდა ფოლკლორული არ არის. იგი შექმნილია «ქართლის ცხოვრების» ცნობებისა და ქართული და ჩრდილო-კავკასიური ხალხური ეპოსის საფუძველზე“ (გვ. 184). მისი პოეტური ფაქტურა არ სტოვებს სიძველის შთაბეჭდილებას. კლასიკური და „აღორძინების“ ხანის პოეზიაში მკაცრად დაცული პოეტური საზომი და რითმების კლავუზულა, მაგრამ ჩვენს ლექსში ეს მხარე მოისუსტებს. თავისი აღნაგობით კი 16-მარცვლოვანი შაირითაა შეთხზული, მაგრამ ზოგან ეს საზომი დარღვეულია. მასში სამი სტროფია, რომელსაც ერთვის ერთი 16-მარცვლოვანი ტაეპი (ე. წ. ბოლო-

36 Б. А. Алборов, История осетинской литературы (Период письменности) (იხ. ზევით დასახ. ხელნაწერი); ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, 1959, გვ. 17.

37 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924; გვ. 201.

38 ციტ. ხელნაწერი, გვ. 8—9.

39 მისი ხელნაწერი შრომა „ნუზალის ეკლესიის ეპიტაფიისათვის“ (იბეჭდება).

მინაწერი) „ვინც ეს ლექსი იხილოთა, მცირე ბრძანეთ შენ-  
დობანი“, მაგრამ მათს საზომს არღვევს „და გიორგი“ (1,3),  
„ჩვენი ძმანი სამნი ბერნი“ (1,4), „და საბაჟო“ (2,2). შეიძ-  
ლება მარცვალმეტრობის გამომწვევი სიტყვები ამოგვეყარა  
და ლექსი პოეტურად გაგვეჩაღხნა, როგორც ეს მოახდინა  
მ. ჭანაშვილმა, ასე მაგ.:

ფიდაროზ, ჯადაროზ, საყურ —  
მტერთა რისხვით შემხედვარნი;  
გიორგი, ისაკ, რომანოზ<sup>40</sup> —  
იქმნენ ქრისტეს კარგნი ყმანი.  
ჩვენ გვიჭირავს მიმოვალთა  
ოთხივ კუთხის იწრო გზანი.  
კასრს სიმაგრე მაქვს, საბაჟო,  
აქ მიჭირავს ხილის-კარი<sup>41</sup>.

მაგრამ ასეთი „გაჩაღხული“ ლექსი აღარ იქნებოდა ორიგინალი, რომელიც სინამდვილეში შეიქმნა. მ. ჭანაშვილის რედაქცია არ არის პირველადი ტექსტი. ამის ცხადსაყოფად საქმარისია აღვნიშნოთ ის, რომ მასში ცხრა ძმის მაგიერ რვა ძმაა დასახელებული (გამორჩენილია „ბასილი“). გარდა ამისა, საერთოდ ლექსში მოიკოკლებს რითმაც: 1. ჭარხილანი, მებრძოლანი, შემხედვარნი, კარგნი ყმანი; 2. გზანი, კარი, მდგარი, წყალი; 3. გაუმკლავდი, ჩემი გვარი, ჩემი ბრალი, ოსთა ჯარი. დარღვეული საზომი და აკრელებული კლაუზულა უცხოა რუსთაველის ეპოქისა და „აღორძინების“ ხანის პოეზიისათვის. მისი სიძველის აღიარებას ეწინააღმდეგება ენობრივი მხარეც (მაგ., სიტყვა „ბატონი“ ახალია) და ხელნაწერთა ტრადიციაც, თავი რომ დავენებოთ იმ ქრონოლოგიურ აღრეულობას, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი. ლექსის დაწერის არაუგვიანესი თარიღია 1817 წელი, რადგანაც ამ წელს

40 ან: „ისაკ, რომანოზ და ბასილ“.

41 მ. ჭანაშვილი, საქართველოს ისტორია, I, 1906, გვ. 208—209; მისივე, ქართველთა მატრიანე, მოამბე, 1904, № 4, გვ. 62—63. აქ ლექსი დასათაურებულია ასე: „ვახტანგ გორგასალი და ოსთა მეფე“. მისი პირველადი ტექსტი გამოაქვეყნა მან 1895 წელს (მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, გვ. 39). იგივე თარგმნა რუსულადაც (СМОНПРК, XXII, 1897, გვ. 43—44; XXXV, 1905, გვ. 181—182).

გადაწერილ ვახუშტის „ისტორიაში“ (A 1111) იგი უკვე ჩართულია<sup>42</sup>. XIX საუკუნის მწიგნობრებს კარგად სცოდნიათ, რომ მისი შინაარსი დაკავშირებულია ვახტანგ გორგასალისა და ოს-ბაყათარის ბრძოლის ისტორიასთან და, ალბათ, ამიტომაც გაჩენილა იგი ვახუშტის თხზულების სწორედ იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია ამბავი დასახელებული ორი ისტორიული პირისა (S 3668, ფ. 64). მაგრამ ამ ლექსს არ იცნობს თვით ვახუშტი, რომელმაც პირველად მოგვანოდა ცნობა, რომ „მცირე ეკლესია არს კასრის ხევსა შინა, სადაცა დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა ჯადარონ, ძე ჯადარონისა დავით სოსლან, რომელი იყო ქმარი თამარისა“<sup>43</sup>. ვახუშტიმ თავისი „ისტორია“ გადაწერა თეთრად 1755 წელს. მაშასადამე, ამ დროისათვის ეს ლექს-ეპიტაფია ჯერ კიდევ დაწერილი არ ყოფილა, თორემ ვახუშტის, რომელსაც საგანგებოდ შეუსწავლია დავით სოსლანის შთამომავლობის ისტორია და სცოდნია იმ ეკლესიის ფრესკული მხატვრობაც, სადაც დახატული ყოფილან დავითი და მისი წინაპარნი, მხედველობიდან არ გამორჩებოდა ეს ლექს-ეპიტაფიაც, რომელსაც ტრადიცია ნუზალის ეკლესიას უკავშირებს<sup>44</sup>. მაშასადამე, 1755 წელი უნდა ვცნოთ მისი დაწერის არაუად-

42 იხ. აქვე სქოლიო № 30.

43 საქართველოს სახ. ცენტრარქივის ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექცია (შემოკლებით ცა), № 103 (ვახუშტის ავტოგრაფი), გვ. 59. შტრ.: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, დ. ბაქრაძის რედაქციით, 1885, გვ. 202, სქ. 2. ამაზე დაწერილებით გვექნება საუბარი ქვევით.

44 საგანგებოდ შევამოწმე ვახუშტის „ისტორიის“ ყველა ხელნაწერი, რომლებიც კი შემოუნახავთ ჩვენ სიძველეთსაცავეებს (H 301, 934, 1011, 1063, 1381, 1735; A 1106; S 186, 281, 330, 1467, 1470; Q 954; ცა 33, 104, 240), მაგრამ ეს ლექსი ამ ხელნაწერებში არ მოიპოვება არც იმ ადგილას, სადაც ვახუშტი ოს-ბაყათარის მოკელის ამბავს მოგვითხრობს, და არც იქ, სადაც დავით სოსლანის წინაპრებზე, კასარის ხევის ეკლესიის ფრესკულ მხატვრობასა და წარწერებზე ლაპარაკობს.

რეს თარიღად, ხოლო რაკი ლექსის კვალი ვახუშტის „ისტორიის“ ხელნაწერებში ჩნდება 1817 წლიდან, მაშასადამე, იგი შეთხზულია დაახლოებით XVIII საუკუნის მიწურულს, თუ XIX საუკუნის დასაწყისში, 1817 წლამდე.

რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა იოანე იაღლეზიძე ამ ლექს-ეპიტაფიის ავტორი, მას ღიად ვტოვებ. აღნიშნული მოსაზრების გასაზიარებლად ჭერჯერობით არ მოიძებნება მყარი, დამაჯერებელი საბუთი მიუხედავად იმისა, რომ იაღლეზიძის ავტორობის სასარგებლოდ რამდენიმე საყურადღებო წანამძღვარი არსებობს.

## ნუზალის ეკვლიის ეპიკის დრო და იმ დაკრძალული პირის ვინაობა

ამ საკითხზეც მკვლევარნი სხვადასხვა მოსაზრებას გამოსთქვამენ. ვ. პუფი წერდა, რომ წარწერები XII საუკუნისააო (გვ. 35). გრ. უეაროვა შენიშნავდა: „ეკლესიის აგების დრო უცნობიაო“ (გვ. 42), ხოლო ვ. მარკოვიჩის მიერ გამოქვეყნებულ სურათს (№ 6) აქვს ასეთი წარწერა: „ნუზალის ეკვლერი, გადმოცემის მიხედვით აშენებულია მეფე ოს-ბაყათარის მიერ მე-5 საუკუნეში“<sup>45</sup>. ზოგი მკვლევარი მის აგებას უკავშირებს XIII—XIV საუკუნეებში მცხოვრებ ოს-ბაყათარს, რომელიც გადმოცემით ნუზალის ქვაბნაშენში ცხოვრობდა და იბრძოდა ოსეთის დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნისათვის. მართლაც, ეს ოს-ბაყათარი რამდენჯერმე იხსენიება „ოსთა მთავრის“ სახელწოდებით ჟამთააღმწერლის საისტორიო თხზულებაში<sup>46</sup>. იგი ხშირად აოხრებდა ქართლს, ჰხოცდა მოსახლეობას და ოსეთში მიჰქონდა ნადავლი. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, როდესაც მან გაპრეკელ კახას ძეს ძამის ციხე წაართვა, მას თავს დაესხა ბექა ათაბაგი (1285—1306 წწ.). „იქმნა ომი ფიცხელი და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ და შევიდა ციხესა. მოვიდა ბექა და მოადგა ძლიერად ციხესა. და ვითარ განძლიერდა, ითხოვეს ოვსთა ზენაარი და აღუთქვეს არა წყენა. და ესრეთ მოვიდა ბექას წინაშე გაუშავებელი. და უკანას მოკვდა ბაყათარ“ (გვ. 317). ზ. ვანევი ფიქრობს, რომ სწორედ ეს ოს-ბაყათარია დაკრძალული ნუზალში და ეკვლე-

45 В. Маркович, В верхсвьях Ардона и Риона, 1906.

46 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 305, 316.

რიც მისი დაკრძალვის შემდეგ, XIV საუკუნის დასაწყისში უნდა აეშენებინათ<sup>47</sup>.

ერთ-ერთ საგაზეთო წერილში, რომელიც გამოქვეყნდა ოსეთში 1937 წელს, აღნიშნულია, რომ ნუზალის ეკლესია „построена более 400 лет тому назад“<sup>48</sup>.

თვით ამ ეკლესიას აქვს სიძველეთა დაცვის კომიტეტისაგან წარწერა რუსულად: „ნუზალის ეკლესია თარიღდება XII—XIII საუკუნეებით. ძველი ასახავს ქართული კულტურის გავლენას ოსების კულტურულ განვითარებაზე, აგრეთვე ოსეთის ურთიერთობას ძველ რუსეთთან. ფრესკულ მოხატულობაში შეხამებულია ადგილობრივ ფორმებთან ქართული საეკლესიო მხატვრობის კანონიკური ფორმები. ფრესკების სტილისტურ თავისებურებებში შეიმჩნევა XII საუკუნის ძველი რუსული ხელოვნების გავლენაც. ნუზალის ეკლესიის არქიტექტურას საფუძვლად უდევს ძველი ოსური მიწისზედა აკლდამების (ზაპადზის) ტრადიციული ფორმები“<sup>49</sup>.

დაბოლოს, როცა ე. პჩელინამ გამოსთქვა მოსაზრება, რომ ნუზალში დაკრძალულია დავით სოსლანი, მანვე შეიმუშავა ახალი ჰიპოთეზიც: „ნუზალ-არგუანის თავდაპირველი ნაგებობა «ზაპადზის» სახით მიეკუთვნება 1208—1209 წლებს, დავით სოსლანის გარდაცვალების სავარაუდო დროს. ალბათ, «ზაპადზი» აგებულ იქნა მისთვის და ვილაც მეორესთვისაც, რომელსაც არ ჰქონდა მისჯილი იქ წოლა... დავით სოსლანის «ზაპადზი» ქრისტიანულ ეკვდერად შეიძლება გადაკეთებულიყო მხოლოდ ულუ-დავითის და მისი მამიდაშვილის ნარინ-დავითის (1247—1269) დინასტიური დავის დროს“. XIII საუკუნეში გაუკეთეს მას კარი, გამოკვეთეს საარკმლები, გაღეს კედლები და დახატეს ფრესკები წარწერებითურთ<sup>50</sup>. „ფრესკები მოახატვინა დავით სოსლანის პატივსაცემად მისმა შვილიშვილმა

47 З. Н. Ванеев, Народное предание о происхождении осетин, Сталинск, 1956, გვ. 17—18.

48 Музей в Нузале, «Пролетарий Осетии», 1937, № 92 (21-IV).

49 ეს აზრია განვითარებული წიგნში — Н. Тсалликикий, Н. Чагаев, Памятники материальной культуры Сев. Осетии, 1963, Орджоникидзе, გვ. 12—14.

50 ე. პ ჩ ე ლ ი ნ ა, ციტ. ხელნაწერი შრომა, გვ. 41 და შემდეგ.



ულუ-დავითმა, რომელმაც ქართულ სამეფო ტახტზე მოიპოვა უფლება, როგორც თამარ მეფისა და დავით სოსლანის ჩამომავალმაო<sup>51</sup>. დღეს ამ აზრს იცავს თ. მამუკაევი<sup>52</sup>.

რა გვეთქმის ამ შეხედულებათა შესახებ?

— უპირველესად ის, რომ ნუზალის ეკვდერის დასათარიღებლად ძეგლს არ სწავლობენ კომპლექსურად არქეოლოგიური, ისტორიული, პალეოგრაფიული და ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით. მეტიც: ზოგი მკვლევარი ფოლკლორულ გადმოცემებს ემყარება და მათ პერიფრაზს იძლევა, ზოგიც ამ ძეგლთან წინასწარშემუშავებული შეხედულებით მიდის, მასალას „იკვლევს“ ტენდენციურად და მკითხველს თავზე ახვევს ვარაუდებს, რომელთაც მეცნიერული საფუძველი არ მოეპოვებათ. მაგრამ ერთი დებულება მაინც ყველასთვის უდავოა: ნუზალის ეკლესია თავდაპირველად აგებულ იქნა როგორც მიწისზედა წარმართული სამარხი („ზაპადზი“), რომელიც შემდეგში ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთდა. სწორად შენიშნავენ ი. ტებლიცკი და ნ. ცაგაევი, რომ ამისი დამადასტურებელია „შენობის ორიენტირება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და არა დასავლეთიდან აღმოსავლეთით, როგორც ეს სავალდებულოა ქრისტიანული ეკლესიისათვის“<sup>53</sup>. ჩვენ დავუმატებდით: საქართველოში ვერ ნახავთ ვერც ერთ ეკლესიას, რომ ის ჰგავდეს აკლდამას. თვით ნაგებობის არქიტექტურული ფორმა მოწმობს, რომ ნუზალში ძველი სამარხი გადაუკეთებიათ ეკლესიად.

• • •

ოსურ სამარხთაგან ზოგი ადრეფეოდალური ხანისაა, ზოგიც შუა საუკუნეების განვითარებული პატრონყმობისა თუ გვიანფეოდალიზმის ხანით თარიღდება. თვითელი ნაგებობა ამა თუ იმ საგვარეულოს საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა. მას შიგნით უკეთებენ თაროებს, გარედან საძრომს,

51 А. Новикова, Гробница Давида Сослана, «Социалистическая Осетия», 1946, № 115.

52 Т. Мамукаев, Тайна Нузальской Часовни, 1969, зб. 115.

53 И. Теплицкий, Н. Цагаев, стб. ნაშრომი, გვ. 13.

რომლიდანაც შიგ შეაცურებენ მიცვალებულს. დაკრძალვის შემდეგ საძრომს ხის დარაბით ჰხურავენ. ნუზალის ეკვდერი თავდაპირველად აშენებულა, როგორც „ზაპადზი“, და, ალბათ, იგი დიდხანს საძვალის როლსაც ასრულებდა.

ერთნი ფიქრობენ, რომ იგი თავისი არქიტექტურული ფორმით XII—XIII საუკუნეებს განეკუთვნება, მეორენი მას X—XI საუკუნეებით ათარიღებენ, ზოგიც — V საუკუნით. მის როდინდელობაზე არაფერს არ ამბობს ლ. სემონოვი, არქეოლოგი და ოსურ სიძველეთა ცნობილი მკვლევარი, ხოლო ისტორიკოსი ბ. სკიტსკი, რომელიც 1946 წელს ნუზალის არქეოლოგიურ გათხრას ესწრებოდა, ძეგლს ეხება XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ოსური კულტურის მიმოხილვისას. მაგრამ ამ მოსაზრებათაგან არც ერთის გადაქრით მტკიცება არ შეიძლება.

როგორც აღვნიშნეთ, ხალხი ნუზალს ცარაზონების საგვარეულო ცენტრად სთვლის და ეკვდერის აგებას ოს-ბაყათარის სახელს უკავშირებს, მაგრამ მეცნიერები მას სამართლიანად გვიანი პერიოდით ათარიღებენ, თუმცა საერთო შედეგებს ვერ აღწევენ. ვფიქრობ, პრობლემის დასმისა და განხილვის თვალსაზრისით სწორ პოზიციაზე დგას გ. კოკიევი, რომელმაც მთიელ ოსთა სამარხები სამ ჯგუფად დაყო და მათი კომპლექსური შესწავლის გზით სცადა დათარიღება, თუ მიწისზედა სამარხები ოსეთის ისტორიის რა პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ<sup>54</sup>. იგი ნუზალის ეკლესიას უდარებს ძივგისის (№ 2), დალაგყაუსა (№ 8) და ლაცის (№ 10) მიწისზედა სამარხებს და მათ შორის დიდ მსგავსებას ჰხედავს, თან ამ სამარხებსა და ოსურ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის გენეტიკურ კავშირსაც აღგენს და დასძენს: „მთიან ოსეთში ძველი ქვის ეკლესიათა კულტურა საქართველოდან შემოვიდა, ხოლო ღრთა განმავლობაში ამ კულტურამ და მისმა არქიტექტურულმა ფორმებმა თავიანთი გამოსახულება პოვეს ოსეთის აკლდამურ ნაგებობებში“ (გვ. 57).

---

<sup>54</sup> Г. Кокиев, Склеповые сооружения горной Осетии, Владикавказ, 1928 გვ 31—67; შდრ. А. Семенов, Археологические разыскания..., გვ. 66—71.

ქართულ-ოსურ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ამიტომაც ძნელია განსაზღვრა, თუ მთიან ოსეთში ნუზალის ეკვდერი და მისი მსგავსი საძვალეები ზუსტად რა დროიდან ჩნდებიან. თუ მისაღებია ვარაუდი, რომ ე. პჩელინას მიერ აღმოჩენილ ნეშტთან დამარხებული ხმალი XIII საუკუნის ჰედურ ხელოვნებას ეკუთვნის (რაც მე საეჭვოდ მიმაჩნია), მაშინ ნუზალის ეკვდერის აშენების არა უადრეს დროდ შეიძლება დავდოთ XIII საუკუნე. ამ საუკუნის მიწურულს მონგოლთაგან შევიწროებული ოსები, რომელნიც ადრე იმიერკავკასიის ველებზე სახლობდნენ, კავკასიის მთიან მხარეში ილტვოდნენ და საცხოვრებლად იქ იკიდებდნენ ფეხს. ვახუშტი წერს: „ბათო ყაენმან მოსრნა ოესეთი და მოაოხრნა, ხოლო ოესნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა და იწოდნენ სახელითა მათითა ხეობანი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარნი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოესნი, და გვარნი ოესთანი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქეზიძე, თაგაური. ქურთაული, სიდამონი და ჭახალიძე“<sup>55</sup>.

მთებში შეხიზნულ ოსებს უკვე XIV საუკუნის დასაწყისში ეკირათ იმიერკავკასიის ხეობები და ქართლში გადმოსასვლელი გზები და ბილიკები. კერძოდ, არდონის ხეობა იყო ძველთაგანვე ერთ-ერთი ფართოდ დასახლებული მხარე, საიდანაც გზა კასარზე ამოვლით საქართველოში გადმოდებდა. ამ გზას საქართველოში ოსთა ჩამოსახლების დროს აკონტროლებდნენ ქართველები. მათ კასარის ხეობის სიმაგრეში ყარაულები ჰყავდათ ჩაყენებული და გამვლელ-გამომვლელს ამოწმებდნენ<sup>56</sup>.

ბუნებრივია, არდონელ მოხევეებს ციხე-სიმაგრეებთან ერთად ექნებოდათ საგვარეულო სასაფლაოებიც მიწისზედა თუ სხვა სახის სამარხებით, რომელთაც ისინი იქ მისვლისთანავე ააგებდნენ. არ შეეცდებით, თუ ნუზალის ეკვდერის აგებას დაუუკავშირებთ სწორედ იმ პერიოდს, როდესაც მონგოლთაგან შევიწროებული ველად მობინადრე ოსები მთებში შეიხიზ-

<sup>55</sup> ვახუშტი, საქართველოს სამეფოს აღწერა, 1941, გვ. 107.

<sup>56</sup> დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, 1962, გვ. 272—277. შტრ.: გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 191—197, 246.

ნენ და იქ შკვიდრად მოიკიდეს ფეხი. ეს კი, ისტორიკოსთა მოსაზრებით, მოხდა XIV საუკუნეში.

ამ დროს კასარის ხეობის მფლობელი იყო „ოსთა მთავარი“ ოს-ბაყათარი, რომელიც XIII ს-ის 90-იან წლებში აზრებდა ქართლს. თუ დადგინდა, რომ ნუზალში დაკრძალული ნეშტი ეკუთვნის სწორედ ამ ოს-ბაყათარს როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, მაშინ ნუზალის ეკვდერს ექმნება მყარი ისტორიული საყრდენი, მაგრამ მეცნიერებას საამისო საბუთები არ მოეპოვება. მართალია, ტრადიცია ეკვდერის აგებას ოს-ბაყათარის სახელს უკავშირებს, მაგრამ ეს ისეთივე ამბავია, როგორც ის, რომ ოსეთში ყველა ეკლესიისა (თუ ციხე-სიმაგრის) აგებას თამარს მიაწერენ. ამასთან ხალხს V საუკუნის ოს-ბაყათარი, რომელმაც დაჰ მოსტაცა ვახტანგ გორგასალს, და XIII—XIV საუკუნეების ოს-ბაყათარი, რომელიც კასარის სიმაგრეში იღვა და მგზავრებს ბაეს ახდევინებდა, ერთმანეთში ერევა. ეს აღრევა შეიმჩნევა ნუზალის ლექს-წარწერაშიც, რომლის კვალი აშკარად ატყვია როსტომ სიკოვეის ნაამბობს. ამიტომ მტკიცება იმისა, რომ ნუზალის ეკვდერში დაკრძალულია ოს-ბაყათარი, ძლიერ სარისკოა, რის გამოც ეს საკითხი თავისთავად იხსნება.

რაც შეეხება დავით სოსლანს, მას არავითარი კავშირი არა აქვს ნუზალთან, ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი დღესდღეობით არ არის დოკუმენტურად დადგენილი. ნეშტი, რომელიც ე. პჩელინამ აღმოაჩინა, ვისია, კაცმა არ იცის. მისი ვინაობის გარკვევა არ ხერხდება — არც წერილობითი წყაროებით, არც ფრესკული წარწერებით, რომლებიც უდავოდ გვიანდელი წარმოშობისაა, და არც ანთროპოლოგიური ძიების გზით. არქეოლოგიური გათხრის შედეგად ცხადი გახდა, რომ ნუზალის ეკლესიაში დაკრძალული პირი ყოფილა ვიღაც შუა ხნის კაცი. ცხედარი ჩაუსვენებიათ ქვის კუბოში, ზევიდან დაუფარებიათ ქვისავე ფილები და ისე დაუმარხავთ მიწაში, შემდეგ იქვე აუგიათ ქვიტკირისგან ჩარდახისებრი მიწისზედა საძვალე. რაკი ეს კაცი

ასეთი პატივით დაუკრძალავთ, ალბათ, ის იყო კასარის ხეობაში მცხოვრები ერთ-ერთი გვარის სახელოვანი წარმომადგენელი.

ნუზალში ცხოვრობდნენ და ახლაც ცხოვრობენ მზოკოვები, რომლებიც ცარაზონების ჩამომავლები არიან<sup>57</sup>. მათ ძველიდანვე დიდი საოჯახო თემი ჰქონდათ და ეწეოდნენ მეცხვარეობას. ბ. კალოევის თქმით, XX საუკუნის დასაწყისშიც კი ალაგირის ხეობაში (სოფ. ნუზალი) ცნობილი იყო მზოკოვების საოჯახო თემი, რომელიც რევოლუციის წინ დაიშალა. ეს თემი შედგებოდა 48 კაცისგან, მათ შორის იყო 17 მოზრდილი მამაკაცი. ოჯახი აწარმოებდა მსხვილ მეურნეობას, ჰყავდა 1000 სული ცხვარი, 140 მეწველი თხა, 12 ხარი, 6 ცხენი და ა. შ.<sup>58</sup>. განა არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნუზალის ეკვდერში დაკრძალული პირი იყო შორეული წინაპარი მზოკოვების გვარიდან? ამ ჰიპოთეზს რა უშლის ხელს? არაფერი!

ოსური ჩვეულების თანახმად, თვითეულ საგვარეულო აკლდამაში მიცვალებულს ასვენებდნენ ტანისამოსით. „მასთან ერთად მარხავდნენ აუცილებელ საყოფაცხოვრებო საგნებს; მაგ., მამაკაცებთან — საპირისწამლეს, პატარა დანას, ხანჯალს, ტალ-კვესს, აბედს, ჩიბუხს და ხისა და თიხის ქურქელს; ქალებთან — ნემსებს, მაკრატლებს, პატარა სარკეს, მძივებს, საყურეებს. ზოგიერთი სამარხის ინვენტარი განსხვავდება თავისი სიმდიდრით: გვხვდება აბრეშუმის ან ფარჩის ხალათები, ხავერდის ქუდები, ნალიანი ჩექმები და სხვა, რაც არ არის სხვა სამარხებში“...<sup>59</sup>

თუ გავითვალისწინებთ დავით სოსლანად ნავარაუდევ ნეშტთან დამარხულ ნივთებს (ხმალს, დანას, რკინის რგოლებს, ტალ-კვესსა და ორ ალჩუ-კოქს), აშკარა გახდება, რომ ესენი

---

57 ე. პ ჩ ე ლ ი ნ ა ს მ ო ს ა ზ რ ა ბ ი თ, ნუზალში «род Царазонта исчез к 17 веку во времена холеры, оставив ветвь Купета, М з о к т а, Ч е л ь д ы т а» («Социалистическая Осетия», 1965, № 235. Статя У. Харанова, «Поиски ученого»).

58 Б. А. Калоев, Осетины, 1967, გვ. 178.

59 Б. Скитский, ციტ. ნაშრომი, გვ. 124.

მთიელისათვის სახმარი ნივთებია; ალჩუ-კოჭი კი იმაზე მეტ-  
ყველებს, რომ დაკრძალული პირის სამეურნეო საქმიანობა  
მესაქონლეობა (კერძოდ, მეცხვარეობა) ყოფილა. აქედან ის  
უნდა ვივარაუდოთ, რომ ნუზალის ეკვდერში, სანამ ის ეკლე-  
სიად გადაკეთდებოდა, დაუსაფლავებიათ არა ვილაც დიდებუ-  
ლი — ძლიერი გვარის მამამთავარი, თუ მეფე, არამედ ჩვენ-  
თვის უცნობი პირი, რომელსაც თან ჩაატანეს ყოველდღი-  
ურად სახმარებელი და პროფესიის აღმნიშვნელი ნივთები.  
სწორად შენიშნავს ს. ჯანაშია, რომ „დამარხული ინვენტარის  
სიღარიბე არ უკერს მხარს იმ ვარაუდს, რომ აქ ჩვენ საქმე  
გვქონდეს მეფე დავით სოსლანის დაკრძალვასთან; პირიქით,  
შეიძლება ეს მხოლოდ ამ ვარაუდის საწინააღმდეგოს მეტყვე-  
ლებდეს“, რადგანაც არც საქართველოში და არც  
ოსეთში დიდებულსა და მითუმეტეს მეფეს  
ისე ღარიბულად არ მარხავდნენ, როგორც  
ნუზალში დაკრძალული პირი ჩანს. ვფიქრობთ,  
ნუზალის „ზაპადში“ იქ დაკრძალული პირის ჩამომავლებს ემ-  
სახურებოდა მანამდე, სანამ მას ქრისტიანულ ეკლესიად არ  
გადააკეთებდნენ. ეს კი, ალბათ, მოხდა მაშინ, როდესაც საქარ-  
თველოში განსწავლულმა ოსებმა თავიანთს სამშობლოში  
ქრისტიანული მისიონერული მოღვაწეობა დაიწყეს.

## ნუზადის ეკლესიის

### ქრისტიანულ ეკლესიურ გეოგრაფიულ რკო

ერთ-ერთი ურთულესი საკითხია იმის დადგენა, თუ ნუზადის ეკლესიის (უკეთ: წარმართული „ზაპადზი“) როდის გადაკეთდა ქრისტიანულ ეკლესიად და როდის მოიხატა იგი ფრესკებით. ვ. პუფი და დ. ბაქრაძე წერენ: ეს ეკლესია ხშირად იხსენიება საქართველოს ისტორიის წყაროებში<sup>60</sup>, მაგრამ ქართულ წყაროებში ვახუშტიმდე მასზედ არაფერია ნათქვამი. კედლის წარწერები ცოტა რამეს გვეუბნებიან, რადგანაც ზოგი მათგანი ფრაგმენტული ხასიათისაა და საერთოდ კი ყველა წარწერა უთარილოა; ფრესკებში ძველი ქართული ელემენტი ნაწილობრივ XIX საუკუნის დასაწყისის რუსულ-ქართული ფრესკული ფერწერის გავლენითაა წარმოცილი და ეკლესიაში მყოფი ვერა გრძნობს ძველი ქართული ხელოვნების სურნელეობას.

კასარის ხეობაში ოს-ბაგრატიონთა პორტრეტებით მოხატული ქრისტიანული ეკლესიის არსებობაზე პირველ ცნობას გვაძლევს ვახუშტი ბაგრატიონი. იგი წერს: დავით სოსლანის წინაპართა ვინაობის „მოწმე არს მისი მცირე ეკლესია კასარის ხევსა შინა, სადაცა დახატული არიან და დაწერილნი ზედ: დ ი მ ი ტ რ ი და ძ ე მისი და ვ ი თ, ძ ე დავითისა — ა თ ო ნ, ძ ე ათონისა — ჯ ა დ ა რ ო ნ, ძ ე ჯადარონისა — ს ო ს ლ ა ნ და ვ ი თ, რომელი იყო ქმარი თამარისა“ (გვ. 59)<sup>61</sup>.

<sup>60</sup> В. П. Ф а ф, Путешествие... (ССК, I, 1871), გვ. 137; Д. Б а к р а д з е, Кавказ в древних памятниках христианства, 1875, გვ. 117.

<sup>61</sup> ესარგებლობ ცენტრარქივის ხელნაწერით № 103. ეს ცნობა ავტორგრაფში მოთავსებულია აშიაზე. ჩანს, ვახუშტის იგი მერმე მიუწერია,

ისმის კითხვა: ეს ცნობა ნუზალის ეკვლერს ეხება, თუ კასარის ხეობის სხვა რომელსამე ეკლესიას? ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ ჩემთვის ზოგიერთი რამ გაურკვეველია, უპირველესად აი რა:

ვახუშტის ცნობით, კასარის ხევის „მცირე ეკლესიაში“ დახატული და დაწერილი ყოფილან დიმიტრი, დავითი, ათონი, ჯადარონი და სოსლანი; ნ უ ზ ა ლ ი ს ფ რ ე ს კ ა ზ ე კ ი ა რ ა ჩ ა ნ ს დ ი მ ი ტ რ ი, თ ა ნ პ ო რ ტ რ ე ტ თ ა გ ა ნ ლ ა გ ე ბ ო ს ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი რ ი გ ი დ ა რ ღ ვ ე უ ლ ი ა. სოსლანი ქრონოლოგიის მიხედვით არის მეხუთე პირი, ფრესკაზე მას მესამე ადგილი უჭირავს; ჯადარონი (სოსლანის მამა), რომელსაც მესამე ადგილი უნდა ეკავოს, მეექვსეზეა მოთავსებული (თუ მას ჯადაროსად ვცნობთ), ხოლო დიმიტრისათვის ადგილი აღარ რჩება. ფაქტია, რომ ვ ა ხ უ შ ტ ი ს ც ნ ო ბ ი ს ა და ნ უ ზ ა ლ ი ს პ ო რ ტ რ ე ტ თ ა რ ი გ ი და წ ა რ წ ე რ ე ბ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს ა რ ე მ თ ხ ვ ე ვ ი ა ნ.

არის სხვა გაუგებრობაც:

ვახუშტი როცა აღწერს კასარის ხევს, ამბობს: „და არს ხეობა კასრისა, კასრის-კარიდამ ჩერქეზის მთამდე, შენობიან-დაბნებიანი. ხოლო კასრის-კარი არს ქვემო-ზრამაგას ქვეით, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა, და გლოლისა და ამის შორის კავკასიის ჩამოსულის კლდითა. და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი. და არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუალი. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, რომელსა სწურვენ ივინივე. კვალად არს გოგირდი ფრიად კარგი. არს ლითონიცა ვერცხლისა, არამედ არა უწყიან გამოღება. კვალად კლდის ნოტიობისაგან აკეთებენ გვარჯილასაცა“<sup>62</sup>.

შემდეგ ის აღწერს ჟღელის ხევს და განაგრძობს:

„ხოლო ქვემო-ზრამაგა არს კასრისა და ჟღელის-წყლების შესართავს შუა და ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყვიან აღშე-

ხოლო გადამწერს ამის შემდეგ ძირითად ტექსტში შეუტანია: S291 (გვ. 95v—96v), H44 (გვ. 68r-v), 1011 (გვ. 144r—145v), 1381 (გვ. 60r-v).

<sup>62</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს სამეფოს აღწერა, გვ. 113—114.



ნებულსა თამარ მეფისაგან, და დაბა-კოშკოვანი. ხოლო ქვემო-ზრამაგას ზეით ერთვის ნარის-ხეობის წყალი. გამოსდის ხოხის კავკასსა, დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. და აქვს ხეობას აღმოსავლეთით ხოხის კავკასი; სამხრით — ხოხიდან ჩამოსული მთა მაღალი, ამასა და ზროგოს შორისი; დასავლეთ — ზრამაგის-ხევი და ჩრდილოთ — ხოხისავე კავკასი. ამ ხევში არს დაბა მ მოსახლენი. ხოლო ამის შესართავს ზეით არს ზემო-ზრამაგა, დაბა კოშკოვანი და ეკლესია მცირე. აქ მოერთვის ხევი ზეკარიდამ მომდინარე და მოერთვის დასავლეთიდამ. და ამ ორთ ხევთ შორის არს ზრამაგა“ (გვ. 114).

თუ ამ აღწერილობას დაკვირვებით მივაქცევთ ყურადღებას, ერთი გარემოება აშკარად შესამჩნევი გახდება: კასარის ხეობაში ყოფილა „შენობიან-დაბნებიანი“ ადგილები, „კარი, კლდისაგან და ქვიტყირით ქმნული“, ქვემო-ზრამაგასთან — „ციხე დიდი, ფრიად მაგარი“ და „დაბა-კოშკოვანი“, ხოლო ერთადერთი „მცირე ეკლესია“ არსებულა ზემოთ, ზრამაგასა და სოფ. ნარასთან ახლოს. პირდაპირ განსაცვიფრებელია, რომ ვახუშტი კასარის ხეობის აღწერისას არ ასახელებს იმ „მცირე ეკლესიას“, რომელშიც დახატული და დაწერილი ყოფილან დავით სოსლანი და მისი წინაპარნი, ხოლო ცოტა ქვევით, როცა ის ნარას ხეობას აღწერს, იქვე მიუთითებს რომელიღაც „მცირე ეკლესიის“ ადგილსამყოფელს, რომელიც, ცხადია, არ არის ნუზალი. თვით ლექს-წარწერასაც უცნაური სათაური აქვს: „ნარს სოფელს ნუზალა საყდარზედ დაწერილნი ლექსნი“. მ. ბროსე შენიშნავს: ოსბაყათარის „თავგადასავალს იხსენიებს წარწერა ნარის ეკლესიისა კასარის ხეობაში ოსეთში“, ხოლო დ. ბაქრაძე უმატებს: „ნარის ეკლესია ჩვენ თვითონ გვინახავს; ეკლესია არის პატარა, მხატვრობიანი, და, თუნცა, როგორც ჩანს, ძველთაგანია, მაგრამ არავითარი წარწერა, იმგვარი, რომელსაც უჩვენებენ, არა ჩანს სრულებით“<sup>63</sup>. გაურკვევე-

<sup>63</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 91. ეს ეკლესია დ. ბაქრაძეს 1875 წელს ნანახი არა ჰქონდა: „Церковь эта. — წერს იგი. — как можно судить по рисунку Пфафа. есть простая“ (ЗОЛКА, ტ. I, 1875, გვ. 117).

ლია: ნუზალის ეკლესიას რატომ უწოდებენ ნარის ეკლესიას? ნუზალი და ნარი ხომ ერთმანეთისგან შორი-შორს არიან?! ნუთუ ვახუშტიმ და ბროსე-ბაქრაძემ არ იცოდნენ, რომ ოსი ბაგრატიონების ფრესკებით მოხატული ეკლესია ნუზალშია და მას ნუზალის ეკლესიას უწოდებენ? ჩანს. ვახუშტის არ უნახავს იგი და სხვის ცნობას იმეორებს. ამ ექვს ის აძლიერებს, რომ მინაწერი ვახუშტის ავტოგრაფში კიდებუა დაცული. მაგრამ ერთი უცნაურობა მაინც იპყრობს ყურადღებას: თუ ოს ბაგრატიონებს XI—XIII საუკუნეებში, გაცხოველებული ქართულ-ოსური კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის დროს, განზრახული ჰქონდათ მთიან ოსეთში, კასარის ხეობაში, აეშენებინათ ქრისტიანული ეკლესია, საქართველოდან მოეწვიათ „პირველი კლასის მხატვრები“ და მოეხატათ ის ბიბლიური პერსონაჟებითა და ოს-ბაგრატიონთა პორტრეტებით, რატომ გადააკეთეს მაინცდამაინც წარმართული ტიპის „ზაპადზი“, ვიწრო კარიანი, უსინათლო და ჩარდახისებრი, რომელიც თავისი არქიტექტურული ფორმით არაფრით არ ჰგავს ქრისტიანულ ეკლესიას, და საგანგებოდ არ ააგეს ისეთი ტიპიური „მცირე ეკლესია“, რომელიც თავისი არქიტექტურული ფორმით ქართული ხელოვნების დონის გამომხატველი იქნებოდა?

ეს გარემოებანი კაცს აფიქრებინებს, რომ ვახუშტის მიერ ნახსენები „კასარის ხევის მცირე ეკლესია“, სადაც დახატული ყოფილან ოსი ბაგრატიონები, იქნებ არ არის ნუზალის ეკლესია და მისი ადგილსამყოფელი სხვაგანაა საძიებელი: ან თვით ნუზალის ახლოს, ან ზევით, ნარას მხარეს?

\* \* \*

ზრუგოს ხეობაში, მდ. არდონის სათავეებთან, ზრამაგიდან 14 კილომეტრის მოცილებით მდებარეობს ერთი, ფრესკებით მოხატული „მცირე ეკლესია“, რომელსაც ოსები უწოდებენ „ხოზიტა მაირამს“. მის შესახებ მეცნიერებაში იმდენად მცირე ცნობები მოიპოვება, რომ ერთხანს ჩრდილო ოსეთში ფრესკებით დამშვენებულ ქართულ საეკლესიო ძეგლად მხოლოდ ნუზალის ეკვდერი ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვ. მარკოვიჩმა (1906 წ.) და ლ. სემიონოვმა (1948 წ.) ზრუ-

გოს ტაძარს საგანგებო ყურადღება მიაქციეს და აღწერეს, ახლა ისიც, როგორც ერთ-ერთი ადრინდელი ქრისტიანული ძეგლი, არქეოლოგ-ისტორიკოსთა კვლევა-ძიების ობიექტად გახდა<sup>64</sup>.

რას წარმოადგენს ზრუგოს ტაძარი?

იგი ძლიერ დაზიანებულია: არა აქვს სახურავი და ერთი კედელი. „ადგილობრივი მაცხოვრებლები, — წერდა 1906 წელს ვ. მარკოვიჩი, — ამ სამი კედლით შენახულ ნანგრევებს სთვლიან წმიდათა-წმიდად. შიგ შესვლა აკრძალულია. არიან მოსახლეები, რომლებიც მართალია მის გვერდით სოფელში ცხოვრობენ, მაგრამ თავის დღეში არც ერთხელ არ ყოფილან შიგ. გადმოცემა იუწყება, რომ თუ ვინმე ეკლესიაში შევა, დაბრმავდებაო. ასეთი საშინელი გაფრთხილების მიუხედავად, ჩვენ მაინც შიგ შევედით და ყველაფერი დაწვრილებით დავათვალიერეთ. მდინარე ზრუგ-დონის მხარეს მეოთხე კედელი ჩამონგრეულია. საწინააღმდეგო მხარეს აქვს ხის კარი, რომელიც რკინითაა მოჭედული და სიძველის გამო 1/4-ით მიწაშია ჩაფლული. ეკლესია აგებულია გოთური გემოვნებით მშვენიერი მაგარი პოროვანი კირქვისაგან, ე. ი. ისეთი ჯიშისგან, რომელიც ზრუგოს ხეობაში არსად არა გვხვდება. ვარაუდობენ, რომ სწორად გათლილი ქვები საქართველოდან მოიტანესო. სარკმლები ვიწროა, აქვს ქართული გემოვნებით გაკეთებული ნახევარწრიული თალები. ნაგებია კირით... ტაძრის შიგნით კედლებზე კიდევ შენახულა კარგად შესრულებული მხატვრობა. მთელ კედელზე მოჩანს ქრისტეს ჯვარცმა და 12 მოციქული. პორტრეტები დახატულია წითელი საღებავით კონტურების სახით, მაგრამ ძლიერ ოსტატურად. კუთხეებში ოთხი სენაკია. ერთ სენაკში ვიპოვეთ შანდალი... ეს ნანგრევები წარ-

---

<sup>64</sup> В. П ф а ф, Путешествие... (ССК, I, 1871), გვ. 150—151; В. Маркович, В верховьях Ардона и Риона, 1906, გვ. 191—192; (სურ. 35, 36 და 37); Л. Семенов, Археологические разыскания в Сев. Осетии, გვ. 108; И. Теплицкий и Н. Цагаев, Памятники материальной культуры Сев. Осетии, 1963, გვ. 10—12; ვ. დოლიძე, ხოზიტა მაირამ. — საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 2, 1954, გვ. 119—126).

მოადგენს ოსეთის ერთ-ერთ შესანიშნავ და ძველ ძეგლთაგანს. ადგილობრივ მაცხოვრებლებს მასზე არაერთგვაროვანი გადმოცემა არ შეუენახავთ, შემოღობილია ქვის გალავნით, რომ საქონელი არ შევიდეს შიგნით. ამ ტაძრის ახლოს ყოველწლიურად იმართება ღლეობა... კარგი იქნებოდა, რომ მეოთხე კედელი აღედგინათ (მისი ქვები იქვე ყრია) და თავზეც დაედგათ სახურავი, რადგანაც სალოცავი ყოველწლიურად უფრო და უფრო ინგრევა ქარის, წვიმისა და თოვლისგან“ (გვ. 191—192). ვ. დოლიძის ცნობით, იგი ახლა უფრო დანგრეულია (გვ. 120).

ნაგებობის გარეთა ზომა, 1934 წლის აღწერილობის მიხედვით, ყოფილა 13×7,8 მ., ხოლო იატაკის ფართობი — 60,2 კვ. მ. (ვრცელი აღწერილობა იხ. ვ. დოლიძის წერილში). ჯვარცმისა და 12 მოციქულის ფრესკებს გარდა სხვა მკვლევარებს აქვე შეუნიშნავთ წინა პლანზე წამოწეული მემორიული ფართი ხელში, ბიბლიური სიუჟეტების ფრაგმენტები და ევსტათი პლაკიდის სასწაულის ნაწილიც. ვ. დოლიძე ფიქრობს, რომ ეს ეკლესია აგებულია XI საუკუნის დასაწყისში (გვ. 126). ი. ტეპლიცკი და ნ. ცაგაევი ასე აფასებენ მას: „ზრუგოს ტაძარი წარმოადგენს მთიანი ოსეთის უძველეს არქიტექტურულ ძეგლს. მისი მშენებლობა თარიღდება X—XI საუკუნეებით და დაკავშირებულია ალან-ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელებასთან. ამაზე მეტყველებენ ტაძრის არქიტექტურულ-მხატვრული ფორმები, რომლებიც ემთხვევიან X—XII საუკუნეების ქართულ ეკლესიათა ფორმებს“. არ შეგვცდებით, თუ მის აშენებას დავუკავშირებთ ოსეთში ქართველ ბაგრატიონთა გვერდითი შტოს (დიმიტრის ჩამომავალთა) დამკვიდრებას, რომელიც ქრონოლოგიურად ემთხვევა XI—XII საუკუნეებს, ე. ი. დროს, როდესაც უნდა აშენებულიყო დაახლოებით ზრუგოს ტაძარი.

\* \* \*

ეს პატარა ექსკურსი იმისთვის დამკვირდა, რომ მკითხველს ვაჩვენო, თუ რა უზუსტობანი უშლიან ხელს ოს-ბაგრატიონების პორტრეტებით მოხატული „მცირე ეკლესიის“ ლოკალიზაციას. მაგრამ ამ ხელისშემშლელ გაუგებრობათა მიუხედავად ჯერჯერობით არ არსებობს მყარი საფუძველი, რომ ზრუგოს

ტადარი ან კასარის ხეობის სხვა რომელიმე ეკლესია (თუ ეკვდერი) ვიგულისხმობთ იმ „მცირე ეკლესიად“, რომელიც მოხატული ყოფილა ოს ბაგრატიონთა პორტრეტებით. ამიტომ ვახუშტის მიერ „საქართველოს ისტორიაში“ მოხსენებულ „კასარის ხევის მცირე ეკლესიად“ უნდა ვივარაუდოთ მხოლოდ ნუზალის ეკვდერი, რომელიც XVIII საუკუნის ნახევარში, 1755 წლისათვის, როცა ვახუშტის გადაუწერია თავისი „ისტორია“ (ცა 103), უკვე მოხატული ყოფილა ფრესკებითა და ქართული წარწერებით. საფიქრებელია, ამ დროისთვის იგი უკვე მოქმედი ეკლესიაც იყო და, მაშასადამე, მის კედლებს, ალბათ, ამშვენებდა იესო ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობლის, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა და წმ. გიორგის ფრესკები. ამჟამად იქ არსებული ფერწერა განახლებულ რესტავირებულია, სიძველის კვალი ნაწილობრივ წარხოცილია და ფრესკათა აღრინდელი ფენის როდინდელიობის შესახებ საბოლოო სიტყვა ხელოვნებათმცოდნემ უნდა თქვას.

ნუზალის ეკვდერის რეკონსტრუქცია (ქარ-სარკმლების გამოჭრა და ფრესკებით მოხატვა), თუ ზოგადი ისტორიული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა მომხდარიყო დაახლოებით XIV საუკუნის პირველი ნახევრიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, უფრო კი მაშინ, როდესაც ოსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შედეგად ოსეთში მაჰმადიანობის გავლენა შესუსტდა და ქრისტიანობის აღორძინება დაიწყო. ამ დროს რეკომი ერთ-ერთ ძლიერ საქრისტიანო ცენტრს წარმოადგენდა ოსეთში და მისი გავლენა ხალხში დიდი იყო. ცნობილია ისიც, რომ საქართველოს მეფემ გიორგი XI-მ 1683 წელს ძივგისის წმ. გიორგის ეკლესიას შესწირა ზარი ქართული წარწერით<sup>65</sup>. 1680—1682 წლებში ოჯახითურთ დვალეთში ცხოვრობდა არჩილ მეფე. აქ მიიღო მან რუსთა

65 Л. Семенов, Археологические разыскания..., გვ. 107. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., 1969, გვ. 230—231; И. З. Теплицкий, Н. Д. Цагаев, ციტ. ნაშრომი, გვ. 31—33.

ელჩი სვიმონ დმიტრიევი, რომელმაც ვრცლად აღწერა დვალეთი და არჩილის ყოფა-ცხოვრება<sup>66</sup>. საერთოდ ოსებთან მკვიდრო კონტაქტი ჰქონდათ რუსეთში მიმავალ ქართველებს, რომელნიც მამისონის უღელტეხილზე გადავლით გზად ოსეთში ჩერდებოდნენ. ცნობილია, რა დიდი დახმარება გაუწიეს მათ მდ. არღონის სათავეებთან ვახტანგ მეექვსესა და მის მრავალრიცხოვან ამაღას, როცა ლტოლვილნი რუსეთს მიემგზავრებოდნენ 1724 წელს<sup>67</sup>. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ამ ხანებში ქართველებსა და ოსებს შორის არსებობდა არა მარტო პოლიტიკური ურთიერთობა, არამედ სარწმუნოებრივი ერთიანობაც და ეს კონტაქტი დიდად უწყობდა ხელს ოსეთში ქრისტიანული ცენტრების გაძლიერებასა და განმტკიცებას.

წყვედიადითაა მოცული ნუზალის ეკლესიის მხატვარ-რეკონსტრუქტორთა ვინაობაც. ე. პჩელინა ფიქრობს, რომ აკლდამა ეკლესიად გადააკეთა ულუ-დავითმა (1247—1269) დავით სოსლანის (პაპამისის) პატივსაცემად: მაშინ გამოქრეს კარ-სარკმლები და კედლებიც მოხატესო. ეს ვარაუდი არ არის დასაბუთებული. ულუ-დავითს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ოსებთან. მისი მეორე ცოლი იყო „ა ლ თ უ ნ, ნათესავით ოსი“, მასთან ეყოლა ორი შვილი — გიორგი და თამარ, შემდეგ ის მიატოვა და ცოლად შეირთო ავაგის ცოლყოფილი გვანცა (II, გვ. 236—237). მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ამ დავითს ოსეთში ეკლესია აეშენებინოს თავისი ბაგრატიონობის დასამტკიცებლად.

ტრადიციული გადმოცემით, ნუზალის ქვაბნაშენში (თუ მის ახლოს — სიდანში) დაყუდებულნი ყოფილან თითქოს ოსბაყათარის (XIII—XIV სს.) ძმები. „ქრისტეს კარგნი ყმანი“ — ისაკ, რომანოზ და ბასილი, რომელთაც, ა. გატუევის ცნობით, საქართველოში უსწავლიათ და მერმე სამშობლოში დაბრუნებულან სამოღვაწეოდ. ვინ არიან ეს ბერები, ან როდის ცხოვ-

66 ა. ბარამიძე. ნარკვევები ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 166.

67 იხ. პოემა „ვახტანგისანი“ (ლიტერატურული ძიებანი, IV).

რობდნენ, არაფერი არ ვიცი: ოღონდ უნდა ითქვას, რომ რაკი მათი პორტრეტები ნუზალის ეკლესიაში მოუთავსებიათ, საფიქრებელია, ისინი იყვნენ ეკლესიის კტიტორებიც, რომელთაც უზრუნიათ ეკვდერის ეკლესიად გადაკეთებისათვის. ალბათ, მათ მოახატვინეს კედლები და პირველი მწირველნიც ისინი იყვნენ. სამწუხაროდ, მასალების სიმცირე და თვით შესასწავლი ძეგლის სირთულე არ გვაძლევს გადაჭრითი დასკვნების გამოტანის უფლებას. ნუზალის ეკლესიის პირველადი მხატვრობის ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით შეუძლებელი ხდება. ამიტომაც იძულებული ვართ მხოლოდ ვარაუდების სფეროში ვიტრიალოთ.

## ნაკნაია „სოსლან“ და ეკლესიის მოხაზვა ოს-ბაგრატიონთა შრესკებით

თუ რას მეტყველებს წარწერა „სოსლან“ და ეკლესია რატომ მოხატეს ბაგრატიონთა ფრესკებით, — ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება დავით სოსლანის ვინაობასა და ოსეთში ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრების ისტორიას. ზევით აღვნიშნეთ, რომ, თუ სამარხში აღმოჩენილი ნივთების მიხედვით ვიმჯელებთ, ნუზალის ეკვდერი შეუძლებელია ვცნოთ მეფის აკლდამად. დავით სოსლანს და არც ერთ რომელიმე ოს-ბაგრატიონს არ ექნებოდა ასეთი ღარიბული სამარხი. ამასთან, როგორც მ. დუმბაძე წერს, თამარ მეფე არ დაუშვებდა, რომ ის თავისი ქმრის „მუღმივი სავანისგან“ განშორებული ყოფილიყო. უბრალოდ, ქრისტიანული წესი მოითხოვდა, ცოლ-ქმარნი ერთად ყოფილიყვნენ დაკრძალულნი. მაშასადამე, სადაც თამარია დაკრძალული, იქ უნდა ვეძიოთ დავითის საფლავიც.

რაც შეეხება კედლის წარწერას „სოსლან“, რომელიც მოთავსებულია ნუზალის ეკლესიაში, მას ისეთივე საბუთის ძალა აქვს, როგორც სხვა ოს-ბაგრატიონთა პორტრეტებსა და წარწერებს. ვახუშტის ცნობით, იქ დახატული და დაწერილი იყო ხუთი ბაგრატიონი: დიმიტრი, დავითი, ათონი, ჯადარონი და სოსლანი. 1946 წლის არქეოლოგიური გათხრის შედეგად აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ნეშტი. რატომ მაინცდამაინც ეს ნეშტი დავითს ეკუთვნის და არა სხვა რომელიმე ოს-ბაგრატიონს, თუ ნუზალის ეკვდერი მართლაც ბაგრატიონთა სამარხს წარმოადგენს? კედლებზე ახლა დახატულია ცხრა ისტორიული პირი და ამ ცხრიდან როგორ გავიგოთ, ვინ არის იქ დაკრძალული? რა ლოგიკითაც ე. პჩელინა და თ. მამუკაევი მსჯე-



ლობენ და „ამტიციებენ“, რომ ნუზალშია სოსლანის საფლავიო, იმავე ღოგოკით შეიძლება ვამტიცოთ, რომ იქ დაუკრძალავთ ათონი (ან ჯადარონი, ან ფიდაროსი და ა. შ.). ამიტომ წარწერა „სოსლან“ არ გამოდგება საბუთად, რომ ნუზალის ეკლესია სოსლანის აკლდამად გამოვაცხადოთ.

მაშ, რატომ მოიხატა ეს ეკლესია ოს-ბაგრატიონთა პორტრეტებით?

ამ კითხვას ასეთი პასუხი გასცა ვ. პფაფმა: იგი ააშენა და ბაგრატიონთა პორტრეტებით მოაზატენა ლაშა-გიორგის ძემ— ულუ-დავითმა. მაშინ საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს ამ დავითის ბაგრატიონობა იმის გამო, თითქოს დავით სოსლანი არ იყო ბაგრატიონი: ამიტომ აუცილებელი გახდა, ულუ-დავითს დაესაბუთებინა კანონიერი უფლება სამეფო ტახტზე და ბაგრატიონთა საგვარეულო სიგელებისა და დიდებულთა საბჭოს აქტების ნამდვილობა. ან კიდევ: „ლაშა-გიორგის შვილის დავითის დროს ამ დავამ (ე. ი. იყო თუ არა დავით სოსლანი ბაგრატიონი, ი. ლ.), როგორც ცნობილია, მიიღო ფრიად საყურადღებო დინასტიური მნიშვნელობა: მისი მამიდაშვილი და მეტოქე დავით რუსუდანის ძე ყველა საშუალებით ცდილობდა დაემტიციებინა, რომ დავით გიორგის ძე ბაგრატიონია, როგორც თვითონ, მხოლოდ ქალის ხაზით და არა მამის მხრიდან“... ამიტომ ულუ-დავითმა ნუზალში ააშენა ეკლესია, რათა მის ბაგრატიონობას დამატებითი დამადასტურებელი საბუთი მისცემოდა (გვ. 32, 35).

გაუგებარია: ვ. პფაფმა რა საფუძველზე შეთხზა ეს მცდარი ამბავი? ძველ საქართველოში არავის ეჭვი არ გამოუთქვამს დავით სოსლანისა და მისი შვილიშვილის — ულუ-დავითის ბაგრატიონობაზე. ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე სრულიად გარკვევით წერს: „თამარის ქმარი დავითი იყო ოვსთ მეფე, რომელი ბაგრატიონთა“ (ქცხ. I, გვ. 369). ბაგრატიონები იყვნენ დედითაც და მამითაც ლაშა-გიორგი და რუსუდანი; ულუ-დავითი იყო მამით ბაგრატიონი, ნარინ-დავითი — დედით. როდესაც რუსუდანის სიკვდილის შემდეგ ქართველ დიდებულთა წინაშე დადგა საკითხი — ორი დავითიდან რომელი გაემეფებინათ, ულუ-დავითის მომხრემ, სარგის თმოგ-

ველმა, ნარინ-დავითის მეფობის მომხრეებს განუცხადა: „არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან (ე. ი. რუსუდანის ძემ) დაიპყრას მეფობა და არა ძემან თვითმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან“, ხოლო მოწინააღმდეგეებმა მას უპასუხეს: „დაღათუ ნარინ-დავით დედაკაცისა ნაშობი იყო, არამედ მეფევე იყო გვირგვინოსანი რუსუდან, ძმისა მისისა გიორგისგან დატეგებული, და მეფისავე ძე არს ნარინ-დავით“ (ქცხ., II, გვ. 224—225). ამ უკანასკნელთ ულუ-დავითის წინააღმდეგ ის მოტივიც ჰქონდათ წამოყენებული, რომ იგი იყო ლაშა-გიორგის უკანონო შვილი (ხარკის ნაშობი) და ამიტომ მას მეფობის უფლებაც არა ჰქონდაო. მაგრამ ეს ცილობა მშვიდლობიანად დამთავრდა, რადგანაც 1247 წელს „დასხდეს ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს დავით და დავით ორნივე“ (II, გვ. 226).

ამ შემთხვევაში ფეოდალთა შორის დავა ჩამოვარდა არა იმაზე, არის თუ არა ულუ-დავითი ბაგრატიონი, არამედ იმაზე, თუ რომელი ბაგრატიონისთვის მიეცათ უპირატესობა. ლაშა-გიორგიმ სიკვდილის წინ დატოვა ანდერძი: „...დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქვენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით, ხოლო რაჟამს ეძლოს მეფობა და მხედრობა, რომელ დავით მეფე ყოს, და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკვიდრედ მეფობისა ჩემისა“ (II, გვ. 167). რუსუდანი გამეფდა, დაქორწინდა ტორილის შვილზე, ეყოლა ქალი თამარი და ვაჟი დავითი. დედამ თავის ვაჟიშვილზე დაიწყო ზრუნვა, ძმისწული კი დაივიწყა. დაარღვია ძმის ანდერძი და სიცოცხლეშივე თავისი შვილი დავითი თანამოსაყდრედ გაიხადა; ხოლო როცა რუსუდანი გარდაიცვალა, სამეფო ტახტი საცილობელი გახდა ორ დავითს შორის. მაგრამ ეს ცილობა არ შეჰხებია მათ ბაგრატიონობის საკითხს. პირიქით, საქმე მოიგო ულუ-დავითმა, როგორც მამით ბაგრატიონმა, და როდესაც ორივე დავითი გამეფდა, ნარინ-დავითთან შედარებით „უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძეს დავითს ეპყრა ლაშას-ძეობისათვის, დაღაცათუ უხუცესობისათვის“ (II, გვ. 227). სამეფო საქმეს ორივენი ერთად აწარმოებდნენ, სიგლების თავზე ასე აწერდნენ: „მეფენი ბაგრატიონნი“

და „ნებითა ღმრთისაჲთა დავით და დავით“ (იქვე). ხოლო ჟამთააღმწერლობის იმ თავს, რომელშიც მოთხრობილია ორივე დავითის მეფობა, აქვს სათაური: „მესამეოცდარე მეფენი დავით, ძე მეფის ლაშა-გიორგისა, და დავით, ძე მეფის რუსუდანისა, ბ ა გ რ ა ტ ო ა ნ ნ ი“. ასე რომ, ა რ ც უ ლ უ-და ვ ი თ ს და ა რ ც ნ ა რ ი ნ-და ვ ი თ ს ა რ ს კ ი რ დ ე ბ ო და თ მ ტ კ ი ც ე ბ ა, რ ო მ ი ს ი ნ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ე ბ ი ი ყ ვ ე ნ, და, ცხადია, ულუ-დავითი ამ მიზნით არც მოისურვებდა, ოსეთის რომელიმე ხეობაში აეშენებინა პატარა ეკლესია, მოხატული ოს-ბაგრატიონთა პორტრეტებით. ვ. პუაფის ჰიპოთეზს სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. სამწუხაროა, რომ მას მიმდევრები გამოუჩნდნენ მაშინ, როდესაც უკვე გარკვეულია, თუ დავა ულუ-დავითისა და ნარინ-დავითის მომხრეთა შორის რა ნიადაგზე წარმოიშვა<sup>68</sup>.

აი, რას წერს ე. პჩელინა: „დავა დავით სოსლანის ბაგრატიონებთან დინასტიური მიკუთვნების შესახებ მთელი თავისი სიმწვავეთ აღმოცენდა მეცამეტე საუკუნის მესამე მეოთხედში, ლაშა-გიორგის მხრიდან თამარ მეფისა და დავით სოსლანის შვილიშვილის დავითის (1247—1269) მეფობაში. იმ ხანად დინასტიური შინათაშლილობის შედეგად განსაკუთრებით ცხარე პაექრობას იწვევდა საკითხი — შეწყდა თუ არა თამარის დროს ბაგრატიონთა მამრობითი ჩამომავლობა“ (გვ. 37).

საქართველოში ასეთი დინასტიური დავა XIII საუკუნეში, ულუ-დავითის დროს არ წამოჭრილა. ე. პჩელინა იზიარებს ვ. პუაფის მცდარ მოსაზრებას და მის საფუძველზე ცდილობს, საყრდენი მოუძებნოს თვალსაზრისს, რომ დავით სოსლანი არ ეკუთვნოდა ბაგრატიონების შტოს, იყო ცარაზონთა გვარის წარმომადგენელი და, მაშასადამე, მას უეჭველად დაკრძალავდნენ ცარაზონთა საგვარეულო სოფელ ნუზალში.

\* \* \*

როგორც ზევით ითქვა, ლაშა-გიორგისდროინდელი მემკვიდრე დავით სოსლანს სთელის ტომით ბაგრატიონად. ეს ავტო-

---

<sup>68</sup> მათი გამეფების გარშემო ატეხილ დავაზე იხ. ი. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 128—137, 170—173.

რი ამას ამბობს „დიდისა მეფეთ-მეფისა თამარის ცხოვრება-ში“ (I, გვ. 368—369), რომელიც შემოგვინახა „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულმა ვარიანტმა, გადაწერილმა XV საუკუნეში<sup>69</sup>. თვით მათიანე, ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, დაწერილია უცნობი ქართველი მწერლის მიერ რუსუდან მეფის სიცოცხლეში, 1222—1223 წლებში<sup>70</sup>.

ე. პჩელინა არაფერს არ ამბობს ლაშა-გიორგისდროინდელი მათიანეს სიძველეზე. ის ზოგადად ასახელებს „ანა დედოფლისეულ ხელნაწერს“ და მას უწოდებს: „Г р у з и н с к и й л е т о п и с н ы й с в о д X V I I I в е к а.“ (გვ. 40); შემდეგ მკითხველის ყურადღება გადააქვს ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაზე“, თითქოს სოსლანის ბაგრატიონობა პირველად აქ იყოს აღნიშნული. მას ანასეული „ქართლის ცხოვრება“ და „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია, რომელიც შეიმუშავა „სწავლულ კაცთა კომისიამ“, ერთმანეთში ერევა. მოვუსმინოთ ე. პჩელინას (სიზუსტისათვის ციტატი მომყავს რუსულად): „Родословная Давида Сослана как Багратида имеется в грузинском летописном своде «Картлис цховреба», составленном грузинским царем Вахтангом VI (1709—1723) около 1703 г. в бытность его еще наместником Грузии при царе Георгии XI“ (გვ. 31). „Современники царицы Тамары и Давида Сослана об этом или умалчивали или говорили другое“ (გვ. 35). აქ შენიღბულადაა შეპარებული გასულ საუკუნეშივე უარყოფილი ყალბი თვალსაზრისი, თითქოს „ქართლის ცხოვრება“ შეადგინა XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-მ, და ამის ფონზეა გაშუქებული სოსლანის ჩამომავლობის საკითხი. ამიტომაც ე. პჩელინა ჯეროვნად ვერ აფასებს ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანეს ცნობათა მეცნიერულ მნიშვნელობას და ყოველ ფეხის ნაბიჯზე უშვებს შეცდომას.

<sup>69</sup> ი. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 303—307.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 244—245.

შას არ ჩამორჩება ი. გაგლოვეი<sup>71</sup>. ესეც ტენდენციურად განიხილავს თამარის პირველ და მეორე ისტორიკოსთა თხზულებებს და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ეს თხზულებები არ იძლევიან რაიმე საფუძველს, რათა დავით სოსლანი ვცნოთ ბაგრატიონად როგორც დედის, ისე მამის მხრიდან, ან მივაკუთვნოთ იგი დიმიტრის (ბარტაგ IV-ის ძმის) ჩამომავლობას და თვით ეს დიმიტრი კი გამოვაცხადოთ ოსი ბაგრატიონების დინასტიის სათავის დამდებად (გვ. 124—126). იგი შენიშნავს: ლაშა-გიორგისდროინდელი „მემატიანეს ცნობა, დავით სოსლანის ბაგრატიონად მიკუთვნების შესახებ ნაკარნახევი იყო წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით, სახელდობრ ლაშა-გიორგის დინასტიური ინტერესებით“ (გვ. 123).

ლაშა-გიორგი თორმეტი (თუ ცამეტი) წლის იყო, როცა თამარმა დაადგა სამეფო გვირგვინი, და, მაშასადამე, ამით უკვე მან განამტკიცა შვილის დინასტიური უფლებები და ინტერესები. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ლაშა მაშინვე აკურთხეს მეფედ და მის სიცოცხლეში არც მისი და არც მამამისის ბაგრატიონობა საკამათოდ არავის გაუხდია. მაშ, რატომ არ დავიჭვროთ, რომ მემატიანემ თქვა სიმართლე: დავით სოსლანი იყო ტომით ბაგრატიონი? ეს ხომ XIII საუკუნის დასაწყისის ცნობაა და მის ნამდვილობას ადასტურებენ სხვა ძველი ქართველი ისტორიკოსები, რომელნიც კი დავითის ვინაობას ეხებოიან? აბა, განვიხილოთ ეს სხვა ცნობებიც.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი იუწყება: „იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისსა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. ესე დედოფალსა რუსუდანს, ვინათგან თვის ეყვოდა მამის დისა მისისა, დავითის ასულისა, ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზითა, მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა... მოყმე იყო ფერ-ნაკეთად კარგი, ბექ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გვართაგანსა კელმწიფო“ (II, გვ. 47).

მაშასადამე, დავით სოსლანი ყოფილა ეფრემიანი, დედითაცა და მამითაცა სამეფო ჩამომავლობის; აღუზრდია თამარის

<sup>71</sup> Ю. Гаглонти, *Уч. наშრომი*, Литературная Осетия, 33, 1969, გვ. 123.

მამიდას, რუსუდან დედოფალს, რომელიც თავის აღზრდილს. ენათესავებოდა კიდევ, რაკი დავით აღმაშენებლის ასული, ამ: რუსუდანის მამიდა, ოსეთში ყოფილა გათხოვილი.

დიღხანს ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმა „ეფრემის ძეთა-განი“ მცდარად ესმოდათ. ეფრემს ვარაუდობდნენ ოსთა მეფედ, მაგრამ კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ იგი არის იოსებ-მშვენიერის ძე, იაკობის შვილიშვილი — ბიბლიური პატრიარქი, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში იხსენიება ოს-ბაგრატიონთა წინაპრად ისევე, როგორც დავით წინასწარმეტყველი — ქართველ ბაგრატიონთა წინაპრად<sup>72</sup>. კლასიკური ხანის ქართულ მწერლობაში ტერმინებს „დავითიანსა“ და „ეფრემიანს“ ჰქონდა წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა: „დავითიანად“ იწოდებოდნენ მხოლოდ ქართველი ბაგრატიონები, რომელთაც საქართველოს სამეფო ტახტი ეჭირათ, „ეფრემიანად“ კი — ოსი ბაგრატიონები, რომელნიც დავითიან-ბაგრატიონთა გვერდით შტოს ეკუთვნოდნენ და არ ჰქონდათ საქართველოში მეფობის უფლება, რადგანაც ღმერთმა სამეფოდ „თესლი ეფრემისი არა გამოარჩია, არამედ გამოარჩია მან თესლი იუდასი“, რომლისაგანაც წარმოიშვა დავით წინასწარმეტყველი — ვითომდა ქართველ ბაგრატიონთა წინაპარი. ქართველმა დიდებულებმა დავით სოსლანის მიმართ დაუშვეს გამო-ნაკლისი: რაკი სამეფო ტახტზე დაჯდა მეფედ ქალი, „პოვეს-ღონე განგებითა ღმრთისაჲთა“ და დავითიანთა წარმომადგენელს მეუღლედ და თანამეფედ დაუსვეს ეფრემიანი — ოს-ბაგრატიონთა ჩამომავალი, რომელსაც დავითიანთა დინასტიური უფლება მიანიჭეს. ამიტომაც თამარ-დავითის ქორწინების აღწერისას „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი იმეორებს.

---

<sup>72</sup> კ. კეკელიძე, ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში, ეტიუდები, I, 1956, გვ. 312—318.


ფსალმუნიდან ერთ ფრაზას: „უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა და უმრწემეს სახლსა მამისა ჩემისასა, ხოლო თავადმან უფალმან აღმიღო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისისაჲთა“ (151,1-4). ასე რომ, ტერმინები „ეფრემიანი“ და „ეფრემის ძეობა“ დავით სოსლანის ბაგრატიონობას კი არ გამოორიცხავენ, არამედ ადასტურებენ. ამ ტიტულის მქონე პირიც ისევე ბაგრატიონია, როგორც რომელიმე დავითიანი. რაკი სოსლანს თამარის პირველი ისტორიკოსი უწოდებს „ეფრემის ძეთაგანს“, „ეფრემის ძებრ მოისარს“, ხოლო ჩახრუხაძე — „ეფრემის ძირთა აღმორჩებულს“. „ეფრემის თვისსა“ და „ეფრემის ძირთა ისართა მთლელს“<sup>73</sup>, მაშასადამე, იგი ჩამომავლობით ბაგრატიონია და ეკუთვნის დავითიან ბაგრატიონთა გვერდითს შტოს.

ეფრემი არ იყო „родоначальник всех осетин“, როგორც ამას ი. გაგლოევი იუწყება (გვ. 122). არამედ მას ქართველი მწერლები სახავენ მხოლოდ ოს-ბაგრატიონთა წინაპრად ისევე, როგორც დავით წინასწარმეტყველს — ქართველ ბაგრატიონთა წინაპრად. ამით მათ სურთ აჩვენონ მკითხველს, რომ ქართველ და ოს ბაგრატიონებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. ისტორიულად გიორგი I (1014—1027 წწ.), ხოლო ბიბლიური გენეალოგიით — იაკობი (იუდასა და იოსების მამა). მკითხველმა რომ ნათლად წარმოიდგინოს ბიბლიურ და ისტორიულ გენეალოგიათა პარალელური დამთხვევა, აქვე მოვიყვანთ სქემას, რომელიც შეიძლება ასე დასათაურდეს: „ქართველ და ოს ბაგრატიონთა ბიბლიურ-ისტორიული გენეალოგია“<sup>74</sup>.


<sup>73</sup> ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957 (ტაბელები: I, 19; V, 26; X, 21).

<sup>74</sup> ამ პირთა სხვა შვილები, ძმები და მეუღლეები მხედველობაში არ არის მიღებული.

## I. ბიზლიური



## II. ისტორიული



ოს ბაგრატიონთა დინასტიას სათავე დაუდო დემეტრე გიორგის ძე ბაგრატიონმა (ბაგრატ IV-ის ნახევარ-ძმამ). მისი დედა იყო „ოვსთა მეფის ასული“, სახელით ალდე, რომელიც ანაკოფიაში ცხოვრობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ძმებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება: 1032 წელს დემეტრე განუდგა ბაგრატს, საბერძნეთში წავიდა და ბერძნებს გადასცა ციხე ანაკოფია: „მაშინ, — წერს XI საუკუნის ბიზანტიელი ქრონოგრაფოსი გიორგი კედრენე, — გიორგი აფხაზის მეუღლე ალდე, ტომით ალანი, მიემხრო მეფეს (ბიზანტიის კეისარს, ი. ლ.) და გადასცა მას უმტკიცესი ციხე ანაკოფე. მის ვაჟს დემეტრეს მეფემ უბოძა მაგისტრობის პატივი“<sup>75</sup>. იქიდან ამ დემეტრემ

<sup>75</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, V, 1963, გვ. 58.



ლიპარიტ ორბელიანის შეგულიანებით ძმის წინააღმდეგ ორჯერ გაილაშქრა, მიიმხრო ბაგრატის მეფობით უკმაყოფილო ფეოდალები, მაგრამ 1047 წლის ახლოს მოულოდნელად გარდაიცვალა და მისმა ბრძოლებმაც უშედეგოდ ჩაიარა<sup>76</sup>.

მეამბოხე ძმას ანაკოფიაში დარჩა ძე — დავითი. იგი ბებინასთან (აღდესთან) ერთად გაიქცა ოსეთში. „მუნ შვილებულმან იქორწინა ოვსთ მეფის ასულსა ზედა და ძე მისი ათონ, ოვსეთს მყოფი იგი, მამულით იწოდა მეფედ ოვსთა“. ათონს შეეძინა ჯადარონ, ხოლო ჯადარონს — დავით სოსლანი (თამარის ქმარი)<sup>77</sup>.

ყოველივე ეს ასე დაწყობილად მოთხრობილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონს, რომელსაც, ჩანს, საფუძვლიანად შეუსწავლია ძველი ქართული საისტორიო წყაროები და ისე შეუდგენია ოს ბაგრატიონთა ისტორია. მცდარია ვ. პფაფის მოსაზრება, თითქოს ვახუშტი ამ შემთხვევაში „онишьно запутывает дело“ (გვ. 32). საგულისხმოა, რომ XVIII საუკუნის მიწურულს (თუ XIX საუკუნის დასაწყისში) არსებულა „ოლთისელი გიორგი ხუცის აღწერილი“ თხზულება, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა დემეტრეს დედის აღდესა და მისი ძის დავითის გაქცევა ოსეთში და იქ დამკვიდრების ისტორია<sup>78</sup>. კ. კეკელიძის გონებამახვილური დაკვირვებით, ეს ავტორი უნდა იყოს ბერი გიორგი ოლთისარი, რომელიც 1065—1075 წლებში წინამძღვრობდა ათონის ივერიის მონასტერს. მას დემეტრე ბაგრატიონის ცხოვრება კარგად ეცოდინებოდა ლიპარიტ ორბელიანის მეშვეობით, რომელიც იმ ხანად ათონის ივერიის მონასტერში იყო დაყუდებული ბერად ანტონის სახელით. ასე რომ, ოს ბაგრატიონთა დინასტიის ისტორია შედგენი-

76 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 295—301. შდრ. ი. ჯაფარიძის შილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 140—145. შდრ.: გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 130—135.

77 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 202. ოსეთში ბაგრატიონთა დამკვიდრებაზე ცნობას გვაწვდის აგრეთვე ანტონ კაპალიკოსი (იხ. ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 38—39).

78 კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 314.

ლია სანდო საისტორიო წყაროების მიხედვით. მის ნამდვილობას ადასტურებს ნუზალის ფრესკული მხატვრობაც. ოსეთის ისტორიკოსმა ყოველივე ამას ნდობის თვალთ უნდა შეხედოს, თუ კი სურს თავისი სამშობლოს წარსული ობიექტურად ასახოს.

ერთადერთი, რაც ჩემში გაუგებრობას იწვევს, არის საკითხი — რა ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ თამარსა და დავითს დედის მხრიდან? ვახუშტის ცნობით, დავითი თამარს მესამე ნათესავად მოჰხვდებოდა, რაკი ბურღუხან ოვსთა მეფის ქალი იყო. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ცნობით კი, იგი რუსუდან დედოფლის ნათესავი ყოფილა მისი მამიდის, დავით აღმაშენებლის ასულის, ოსეთში გათხოვების გამო. კ. კეკელიძე დავით აღმაშენებლის ამ ასულს უწოდებს რუსუდანს და ფიქრობს, რომ იგი მეუღლე უნდა ყოფილიყო ვილაც დავით II-ისა, რომელიც ოს ბაგრატიონთა გენეალოგიაში არა ჩანს<sup>79</sup>. ეს ფიქტიური დავითი გაჩნდა მკვლევრის მიერ შედგენილ გენეალოგიურ ტაბულაში, რომელსაც საფუძვლად დაედო ვახუშტის „ისტორიის“ ნაბეჭდი გამოცემა (I, 1885, გვ. 202). ხოლო მის ავტოგრაფში ვკითხულობთ (ცა 103, გვ. 59):

„ესე დავით (სოსლანი, ი. ლ.) იყო მეფის გიორგის ძის დიმიტრისაგან... რამეთუ დიმიტრის აფხაზეთს ანაკოფიას დაშთა ძე (დავითი, ი. ლ.) და ივლტოდა ბებით (იგულისხმება ალდე, ი. ლ.) ოვსეთს. მუნ შევილებულმან იქორწინა ოვსთ მეფის ასულსა ზედა და ძე მისი (ათონ, ი. ლ.), ოვსეთს მყოფი იგი, მამულით იწოდა მეფედ ოვსთა და ძის ძის ძე დიმიტრისა (ჭადარონ, ი. ლ.) და ამ დავითის (სოსლანის, ი. ლ.) მამა<sup>80</sup> (იგივე

<sup>79</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 1—7.

<sup>80</sup> გამოცემაში დაშვებულია კორექტურული შეცდომა, იკითხება: „ძის-ძე დიმიტრისა და ამ დავითის მამა“ (გვ. 202), მაგრამ დიმიტრის ძის-რე იყო ათონი, რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო დავით სოსლანის მამა. ამიტომაც კ. კეკელიძემ ტექსტი ასე შეასწორა: „ძის ძე დიმიტრისა და ამ დავითის ძე“ (ეტიუდები, IV, გვ. 2). ვახუშტის ავტოგრაფში სრულიად გარკვევით სწერია „ძის ძის ძე დიმიტრისა და ამ დავითის მამა“ და ეს ტექსტი გასწორებას არ საჭიროებს.

ჯადარონ, 0. ლ.) შერთეს რუსუდანს, რომელმან შეიყვარა ქალწულება 80 წლის-დღეთა. ხოლო ესე ნუ გიკვირნ, რამეთუ ორნი ესე რუსუდან დანი იყვნენ.თამარის აღმზრდელი ხვარასნის სულტნის ცოლი იყო და დაჲ მისი რუსუდანვე, შემყვარე ქალწულებისა, ოვსთ მეფის სძალი იყო. ორნივე დანი იმყოფებოდნენ სახლსა თვისსა. ხოლო ქმარსა ამისსა სხვა ცოლთან ესვა ძე დავითი, რომელი წამოიყვანა ამან რუსუდან და აღზარდა თვისად ძედ“...

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ ქალწულების შემყვარე (ე. ი. მონასტერში მოლოზნად შემდგარი) რუსუდანი არის ჯადაროსის მეუღლე, დავით სოსლანის დედინაცვალი და რუსუდან დედოფლის დაჲ. მაშასადამე, ვახუშტის მიხედვით, თამარს ჰყოლია ორი მამიდა, სახელით რუსუდანი: ერთი — მისი აღმზრდელი და ხვარასნის სულტნის ცოლყოფილი, მეორე — დავითის აღმზრდელი და ოს მეფეთა სძალი. მაგრამ ეს სწორი არ არის, უპირისპირდება იგი თამარის ისტორიკოსთა ცნობებს. ოსეთში გათხოვილი იყო დავით აღმაშენებლის ასული და დავითი რუსუდან დედოფალს მისი მეოხებით ენათესაებოდა. ხოლო მეორე ისტორიკოსის ცნობით, ის რუსუდანი, რომელმაც 80 წლის ასაკში შეიყვარა ქალწულება, არის თამარის დაჲ და, იყო თუ არა იგი ოს მეფეთა სძალი, ამაზე არსად არაფერია ნათქვამი.

სულ სხვა ცნობას გვაწვდის ანტონ ბაგრატიონი: „...მისცა დაჲ თვისი რუსუდან ცოლად მეფემან გიორგი, მამამან თამარისმან, მთავარსა ოვსთასა, ბაგრატიონსა. ხოლო ეჟამსა სიკვამულისასა დაქვრივდა ქალი იგი და მოიქცა ძმისავე თვისისა საქართველოდ და მოიყვანა თვისთა თანა ძე მ ა ზ ლ ი ს ა თ ვ ი ს ი ს ა ყ რ მ ა დ ა ვ ი თ, ქმარი თამარისი, და აღზარდა იგი, ხოლო გიორგი ასულიცა თვისი თამარ მისცა აღზრდად დასა მას თვისსა რუსუდანს“ (H1082, ფ. 5r)<sup>81</sup>. ამის მიხედვით გამოდის, რომ დავითი ყოფილა რუსუდანის მაზლიშვილი.

ასე რომ, ჭერჭერობით არ ირკვევა, რა ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა თამარს დავითთან დედის მხრიდან. არსაიდან

<sup>81</sup> ი. ლ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 39.

ჩანს, თამარის დედა ბურდუხან, ოვსთ მეფის ხუდღანის ასული, როგორ ენათესაებოდა დავით სოსლანს. რაკი ეს დავითი ყოფილა „ორთავე ქერძოთა გვართაგანსა ქელმწიფო“ კაცო, მაშასადამე, იგი დედათაც და მამითაც ბაგრატიონების ჩამომავალია. ალბათ, ამით აიხსნება, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი მას უწოდებს ხან „მოყმესა ეფრემის ძეთაგანს“ (II, გვ. 46), ხანაც — „მოყმესა დავითიანს“ (II, გვ. 48).

რაც შეეხება საკითხს, ეკუთვნის თუ არა სოსლანი ცარაზონთა გვარს, ამაზე ე. პჩელინა დადებით პასუხს იძლევა: ოსური გადმოცემების თანახმად, სოსლანი წარმოიშვა ცარაზონების ძლიერი და გავლენიანი გვარისაგან, რომელიც ცხოვრობდა ალაგირის ხეობაში, მდ. არღონის სათავეში. სოფ. ნაზიჯინი უნდა იყოს მისი დაბადების ადგილი<sup>82</sup>. დღეს ამ მოსაზრებას იზიარებს ყველა ის პირი, ვინც ნუზალის ეკლესიას აცხადებს დავით სოსლანის აკლდამად. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ცდილობს იმის დასაბუთებას, თუ რატომ ეკუთვნის სოსლანი ცარაზონთა გვარს. ყველა ზოგადად ამბობს: „ოსური გადმოცემების თანახმადო“, ან „ამას ოსური თქმულებები აზუსტებენო“, კონკრეტულად კი არც ერთი არ უთითებს ძველ წყაროს, რომ მკვლევარმა თვითონ შეამოწმოს, თუ რამდენად სანდოა მათ მიერ ნავარაუდები გადმოცემები და თქმულებები. და ეს ხდება მაშინ, როდესაც XIII საუკუნის დასაწყისის ქართულ საისტორიო წყაროებში სრულიად გარკვევით წერია, რომ დავით სოსლანი გვარად ბაგრატიონია.

„ცარაზონ“-სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია. იგი საკუთარი სახელია და ოსების ერთ-ერთი გვარის ფუძემდებელს ეწოდება. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, გადმოცემით ოსების გვართა წინაპარნი იყვნენ ხუთნი ძმანი: აგუზონი, სიღამონი, ცარაზონი, კუსაგონი და ცახილონი... პოემა „იალღუზიანის“ მიხედვით, „აგუზონს“ შეესატყვისება „აღღუზონი“, „ცარაზონს“ — „სარაგონი“ და „ცახილონს“ — „ქარხილონი“. ზ. ვა-

<sup>82</sup> ამასვე იმეორებს თ. მაჟუაევი (გვ. 15). შტრ.: Материалы по истории Осетии, III, под ред. Д. Дзагурова, Дзауджикау, 1950, გვ. 334.

ნეევი „ჩარჯოლიძე-პარხილან“-ცნებაში ცარაზონსა და ცახი-  
ლონის სახელებსა ჰხედავს, ხოლო ი. მეგრელიძე ფიქრობს,  
რომ „ცარაზონოვი“ არის დავით სოსლანის გვარი და ოსურად  
ნიშნავს „ბატონიშვილს“, Царевич-სო<sup>83</sup>.

არც ერთი ძველი საისტორიო წყარო სოსლანის ვინაობას  
ცარაზონთა გვარს არ უკავშირებს; მაშასადამე, სოსლანის  
გამოცხადება ცარაზონად არსაიდან არ დას-  
ტურდება დოკუმენტურად და, მაშასადამე,  
იგი მიუღებელიცაა. არც მისი ეტიმოლოგიაა დასაბუ-  
თებული. საყურადღებო მოსაზრებას გამოსთქვამს ზ. ვანეევი.  
იგი წერს: ოს-ბაყათარის ჩამომავლები — აგუზონები, სიღამო-  
ნები, ცარაზონები, კუსაგონები და ცახილონები ისტორიულად  
კეთილშობილ გვართა (უაზდან-ის) რეპუტაციით სარგებლობ-  
დნენ. მათ გენეალოგიური თუ ნათესაური კავშირი ჰქონდათ  
ძველი ოსური სამეფოს არისტოკრატიულ გვართან და თვით  
ოს ბაგრატიონთა დინასტიასთან (გვ. 25). თუ ეს ვარაუდი  
სწორია, მაშინ XIII—XIV საუკუნეების ოს-ბაყათარი, კასა-  
რის ხეობის მფლობელი, რომელთანაც დაკავშირებულია ცა-  
რაზონთა გვარის აღზევება, შეიძლება ოს ბაგრატიონთა ჩამო-  
მავალი იყოს. ოსეთში ბაგრატიონების დინასტიას სათავე და-  
ედო XI საუკუნეში და, ცხადია, იგი არ დამთავრებულა XII  
საუკუნეში ჯადარონის მეფობით. ამ დინასტიას თავისი უფლე-  
ბები შენარჩუნებული ექნებოდა XIII—XIV საუკუნეებშიც,  
როდესაც ოსები სამუდამოდ დამკვიდრდნენ კავკასიის მთიან  
მხარეში. და ოს ბაგრატიონთა პატივისცემის ტრადიცია, რომე-  
ლიც განმტკიცებულა კასარის ხეობის მაცხოვრებელთა შორის,  
ანარეკლი უნდა იყოს ბაგრატიონთა და ცარაზონთა შორეული  
ნათესაური ურთიერთობისა. ვფიქრობ, ეს ტრადიცია უნდა  
დასდებოდა საფუძვლად იმ ფაქტს, რომ მოგვიანებით ნუზა-  
ლის ეკლესია მოხატეს ოს-ბაგრატიონთა პორტრეტებით.

---

<sup>83</sup> Юго-осетинский фольклор, Сталингр, 1940, გვ. 2:6. З. В а-  
н е е в. ციტ. ნაშრომი, გვ. 18—19. М. Д у м б а д з е. ციტ. წერილი  
(„Вечерний Тбилиси“, 1966, № 304).

## ნუზაღის ეპისკოპოსის ჩესკავკასიაში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსეთში განსაკუთრებით გაცხოველდა ქრისტიანობის აგიტაცია. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც ევალებოდა ოსების გაქრისტიანება და ეკლესიების მოვლა-მოწესრიგება<sup>84</sup>. მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოსეთსა და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ქართველი საეკლესიო მოღვაწენი. XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ დაიწყო ოსეთის ზოგიერთ ხეობაში არსებული დანგრეული ეკლესიების ნაცვლად ახლების აგება, ხოლო ზოგიერთი მათგანის — განახლება-რესტავრაცია<sup>85</sup>. ამ საქმეში მან ჩააბა მის ქვეშევრდომობაში მყოფი ბლალოჩინები, მღვდლები და მათ შორის საქართველოში განსწავლული ოსი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე იოანე იალღუზიძე (1775—1830 წ.), რომელიც 1821 წელს გააგზავნა სამხრეთ ოსეთში — როკის, კოშკის, მსხლების, ჯავის, ქეშელთისა და სხვა ხეობებში ახლადმოქცეულ ოსთა შორის ეკლესიების ასაშენებლად საჭირო მასალების საშოვნელად. იოანემ

<sup>84</sup> Г. Кокнев, Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926, გვ. 91—96, გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., 1969, გვ. 233—252.

<sup>85</sup> შეუქმნიათ სპეციალური საქმეც: „Дело по постройке в Осетии церквей“. ამ მხრივ საყურადღებო მასალებს შეიცავს 1823 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებული „Дело о посылке проповедника Осетинской духовной комиссии протоиерея Николая Самарганова в Кавказские горы для обозрения осетинских церквей и приходов (ცა-ს ფ. 489, საქმე № 957) და მისი ქართულ ვარიანტი (იმავე ფონდის საქმე № 985).

დაამზადა ქემელთის ხევში ხის მასალა, სხვა ხევეებში კი — სააღმშენებლო ქვა, ადგილებიც მონიშნა მშენებლობისათვის, მაგრამ ძველი სალოცავების მოშლასა და ახალთა აგებაზე ოსებს მისთვის წინააღმდეგობა გაუწევიათ<sup>86</sup>. მასვე ოსურად უთარგმნია ქართულიდან ჯერ სამწუხრო და საცისკრო ლოცვანი, საქრისტიანო კატეხიზმო მოკლისა ზნეობითისა სწავლითურთ და საღმრთო ლიტურდია, მერმე — სახარებაც. ეგზარხოსის განკარგულებით ზოგიერთი თარგმანი პარალელური (ქართულ-ოსური) ტექსტებით დაუბეჭდავთ და დაუგზავნიათ ოსეთის სამრევლოებისათვის. აი, რას წერს თეოფილაქტე: „Нельзя описать удивления и радости осетин. когда в первый раз услышали они чтение молитв на природном их языке: «Это для них (собственно их словами изъясняюсь) такой подарок, какого лучше придумать нельзя»“. ხოლო იქვე იოანე იალღუზიძეზე იუწყება: „Бог послал мне случай найти в дворянине Иван Ялгузидзе способного человека к предложению книг с грузинского на осетинский язык“, ან: «Дворянин Ялгузидзе, определенный мною в нынешнем [1820] году в Тифлисскую семинарию учителем по классу грузинского и осетинского языков, по совершенному и грамматическому знанию того и другого, может всем отношениям быть назван единственным человеком»<sup>87</sup>.

იოანემ ხელი მოჰკიდა ოსეთის წარსულის შესწავლასაც და ენერგიული და ნაყოფიერი მოღვაწეობით მალე სათავეში მოექცა XIX საუკუნის დასაწყისის ოსურ კულტურულ და სამწერლო საქმიანობას<sup>88</sup>. დაწერა მან საგმირო-საისტორიო პოემა „აღღუზიანი“ — აღღუზონ (აგუსონ) გმირის და მეფის ამბავი, რომლის ერთი ხელნაწერი, ფერადი ილუსტრაციებით მო-

86 Г. Бочоридзе, Иоани Ялгузидзе, ИЮОИИИ, вып. III, 1936. გვ. 279—287.

87 ცა, ფონდი 488, საქმე 448, ფ. 5v—3v.

88 გ. თ. გ. შ. ი. ლ. ი, ციტ. ნაშრომი, გვ. 252—256. აქვე იხ. ბიბლიოგრაფია იოანე იალღუზიძის შესახებ. იოანეს ავტობიოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე დაცულია ცა-ს № 483 ფონდში, საქმე 448, ფ. 109r—112r (ვამოაქვეყნა დ. გუქაევმა).

ხატული, შესანახად დადო ნუზალის ეკლესიაში, რადგანაც თავისი გვარის (აგუსონების) შესახებ არსებული საისტორიო მასალების დაცვისათვის იოანეს ყველაზე მოსახერხებელ ადგილად მიაჩნდა ნუზალი („ოს მეფეთა სამეფო ხაზინა“). ამის თაობაზე თხზულების პირველი გამომცემელი ნ. გამრეკელი წერდა: „ეს პოემა არის ნაპოვნი მღვდელი იოანე რუსიევისაგან ნარ-ნუზალის ეკლესიაში და, როგორც შეგვიტყვია მისგან, ჰქონდა სათაური «ალუსტიან-ალლუზიან-რუსიან-სარაგონ-ქახილონი“, ხოლო მეორე გამომცემელი მ. ჯანაშვილი შენიშნავდა: ნუზალის ორიგინალი ოს მეფეთა პორტრეტებით იყო შემკული, თავფურცელი კი — ალლუზონის მდიდრული გამოსახულებით<sup>89</sup>. ოსები ამ ხელნაწერს, როგორც სალოცავს, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ და, როდესაც იგი ი. რუსიშვილმა მოიტაცა ნუზალიდან, ხალხი ამბობდა: „ჩვენი ისტორია სამუდამოდ დაიკარგაო“...<sup>90</sup> რა თქმა უნდა, ეს „ისტორია“ არ დაკარგულა, იგი საქართველოში ორჯერ გამოქვეყნდა და რუსულადაც ითარგმნა, მაგრამ ამ ფრაზას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ოსი ხალხი თავისი წარსულისადმი ყოველთვის დიდ სიყვარულს ავლენდა და ახლაც ავლენს.

იოანე იალლუზიძემ იცოდა ოსური ტრადიციული გადმოცემა, რომ აგუსონების საგვარეულო, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, ოს-ბაყათარისაგან იყო წარმოშობილი, და თავის თავსაც ოს მეფეთა, კერძოდ ალლუზონ გმირის, მემკვიდრედ სთვლიდა. ამიტომაც პოეტი „ალლუზიანში“ იძლევა ალლუზისა და მის ჩამომავალთა იდეალიზაციას: ჩვენ გამოსული ვართ „იესოვან-დავითიან გვართაგან“ და „პირველად დამსახმან ღმერთმან ცისა და ქვეყნისამ ინება კეთილ-დღეობა... განშვენება ჩვენის გვარის“, რათა „ვერა გვჯაბნოს ხმალმან სხვისამ“. იგი ერთ ადგილას თავის თავს ოს-ბაყათარის პირმშო ძედაც სახავს (ნამდვილად კი გვარად გაბარაევი იყო):

<sup>89</sup> პოემა ალლუზიანი, გამოცემული ნ. გამრეკელისაგან, 1885. გვ. III; СМОНПК, XXII, 1897, გვ. 194; ცნობის ფურცელი, 1898, № 555.

<sup>90</sup> Гаппо. Слава Нузала (რეც. მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემულ პოემა „ალლუზიანზე“). გაზ. Казбек, 1899. № 555 (12. IX). გამომხატურება: А. Шаханов-Джанхотоя, Этюды. Из музейной жизни, გაზ. Казбек, 1899, № 572, (12. X).



ოს მეფეს ძლიერს იტყოდენ ფრანგნი, ხაზარნი, ვლახელნი,  
სახელს უდებენ ბაყათრად, ვერ ვბოვეთ მგზავნის მნახველნი,  
შვენებით, ძალით, მხნეობით ყოველთ აკვირვა მნასველნი;  
ეს სწერა პირმშო მის ძემან, სოსლან აცდუნა სხვა მთქმელნი.

ბოლო ტაეპის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: „ეს (აზბაეი) დაწერა მის (=ოს-ბაყათარის) პირმშო ძემ (=იოანე იალღუზიძემ), ხოლო (დავით) სოსლანმა შეაცდინა სხვა მთქმელნი (=პოეტები ჩახრუხაძე და შავთელი, რომ მისი შესხმა-დიდება დაწერესო)“.

რაკი იოანე თავის თავს უწოდებს ოს-ბაყათარის პირმშო ძეს და თავისი გვარის დამწყებად სახავს ოს-ბაყათარის შვილს ალღუზონს, ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ „ალღუზიანის“ მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერი ნუზალის ეკლესიაში დაუდვია. ნუზალი ხომ ტრადიციულად ოს-ბაყათარის რეზიდენციასა და განსასვენებელ ადგილს წარმოადგენდა! ამის მიხედვით სავსებით გასაგებია კ. კეკელიძის დაკვირვება, რომ „ჩვენს პოემასა (ე. ი. „ალღუზიანსა“) და ნუზალის ეკლესიის ლეგენდას (ე. ი. ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფიას) შორის რაღაც იდუმალი კავშირია, საფიქრებელია — ქრონოლოგიურიც“. შენიშნულია, რომ პოემასა და ლექსს შორის არსებობს საკუთარ სახელთა დიდი მსგავსება: ორივეგან გვხვდებიან ოს-ბაყათარი, დავით სოსლანი, სოკური და ქარზილონი, ორივეგან მათი ქება-დიდებაა მოცემული და ორივეს მიზანია ოსურ ხალხურ გადმოცემათა შენახვა ლიტერატურული ფორმით და მათი განმტკიცება. მეტიც: შ. ონიანი ფიქრობს, ეს ორივე თხზულება დაწერილია ერთი ავტორის, იოანე იალღუზიძის, მიერ, რადგანაც მათში დაშვებულია ერთნაირი ქრონოლოგიური შეცდომებით. მართლაც, „ოს-ბაყათარის ლექსის“ გაჩენა ქართულ ხელნაწერებში შემთხვევა დროს, როდესაც იოანე ეწეოდა გაცხოველებულ სამწერლო საქმიანობას და ზრუნავდა ოსეთის ქრისტიანული ეკლესიების განახლება-რესტავრაციისა და აშენებისათვის. მაგრამ ამ გარემოებათა გამო ნუზალის ეკლესიის რესტავრაციას ვერ დავუკავშირებთ იოანე იალღუზიძის სახელს და მისი განახლების არაუგვიანეს დროდ ვერ დავდებთ

1817 წელს, როდესაც გადამწერმა სპირიდონ იაშვილმა A1111 ხელნაწერში ჩართო „ნუზლა საყდარზედ დაწერილი ლექსი“. აქაც ზოგადად უნდა ვთქვათ, რომ ნუზალის ეკლესიის აღდგენა პირველად უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის მიწურულს, ან XIX საუკუნის დასაწყისში:

თუ რა სამუშაოები შესრულდა ამ რესტავრაციის დროს, მათი ზუსტად განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ერთი რამ უდავოა: დაუნატავთ და განუახლებიათ ცხრა ძმის პორტრეტები და დაუწერიათ ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფია. ამას ადასტურებს ლექსის პერსონაჟთა და ფრესკაზე წარმოდგენილ პირთა სახელებისა და თანმიმდევრობის დამთხვევა; თანაც ეს დამთხვევა იმდენად ზუსტია, რომ ლექსის მიხედვით შესაძლებელია ფრესკული წარწერების აღდგენაც კი. რაც შეეხება ბიბლიურ პერსონაჟთა და წმინდანთა პორტრეტებს, ზოგი მათგანი ხელახლა უნდა იყოს დახატული, ზოგიც — განახლებული. მკვლევარნი ფიქრობენ, რომ ქართული წარწერები XIII საუკუნისაა, ხოლო ფრესკულ ფერწერაში შეიმჩნევა XII საუკუნის რუსული ხელოვნების გავლენაო, მაგრამ მე ამისი თქმა არ შემიძლია. ნუზალის ფრესკათა წარწერები შესრულებულია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საღებავებით. ზედა სარტყელში თეთრი წარწერებია, ქვედაში — მოყავისფრო-მოწითალო, თანაც ზოგი მათგანი განახლებულია რესტავრაციის შემდეგ და ამიტომაც წარწერათა შესრულების მანერა სხვადასხვანაირია (შდრ.: „სოსლან“, „ათონ“, „ბასილი“, „რომანოზ“, „გაბრიელ“ და „გიორგი“). ყველაზე ადრინდელი წარწერებია „დავითი“, „ნათონ“, „სოსლან“, „ელია“, მაგრამ მაინც არ სტოვებენ ისინი სიძველის შთაბეჭდილებას (მაგ., „სოსლან“ სიტყვაში „ნ“ მხედრულია). მთლად ახალია ჯვრის ირგვლივ მოხატული რუსული ორნამენტი, მაგრამ წარწერა „ჯვარი ქრისტესი“ ადრინდელია. ისტორიულ პირებს აცვიათ ოსური ნაციონალური ტანისამოსი და ხელები სავედრებლად აქვთ აღმართული ქრისტეს მიმართულებით მარცხნივ. დავითი და დავით სოსლანი არიან ყრმები, უწვეურულნი და ერთნაირი ჩოხა-ახალუხით ჩაცმულნი, ხოლო ათონი და ფიდაროსი — წვეროსანნი, რომელნიც ხნიერად გამოიყურებიან, მაგრამ ჩაცმულობით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რაც შეეხება ფიდაროსის მომდევ-

ნო პორტრეტს, რომელსაც მიწერილი აქვს „ელია“, გაუგებბარია, რატომღა ისტორიულ პირთა შორის გამოხატული. თუ იგი არის წინასწარმეტყველი (რაც მე მეეჭვება), მაშინ მისი ადგილი სარტყლის ზევით უნდა იყოს. მაგრამ რაკი ეს პორტრეტი მოთავსებულია სარტყელს ქვევით, ცხადია, ერთ-ერთი ცხრა ძმთაგანია, რომელსაც შეცდომით აწერია ელია წინასწარმეტყველის სახელი.

რესტავრაციის შემდეგ ნუზალის ეკლესია კასარის ხეობაში ერთ-ერთ ძირითად სამლოცველოდ ქცეულა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი არის მიქელ-გაბრიელის სახელობისა და ოსები ამ ანგელოზებს დიდ პატივსა სცემენ; მეორე, ნუზალი ცარაზონების სამეფო ცენტრად ითვლებოდა ისტორიულად და გეოგრაფიულად მოხერხებულ ადგილსაც მდებარეობდა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში ეს ეკლესია შედიოდა მაქსიმე გვერდწითელის საბლადოჩინოში, რომელიც ტერიტორიულად მდებარეობდა მიზურში. მისი სამრევლო სოფლები იყო თვით ნუზალი, ნაზიჯინი, კორი, ზემო-ნაზიჯინი, ამასინი და ბადისა და ჩიმის ხეობები, რომლებშიც ცხოვრობდა 145 კომლი 920 სულთ<sup>91</sup>. აქ მღვდლად იყო გამწესებული ვაქირელი იოსებ ტურაშვილი, მაგრამ მას სამრევლო უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული და მღვდელმსახურების მთელი სიმძიმე აწვა მედავითნე ბესარიონ ქოლიშვილს<sup>92</sup>. 1823 წლის 19 ივლისს ეგზარხოს იონას ეს იოსები გაუთავისუფლებია მღვდლობიდან და გადაუცია იოანე ბოდბელი მიტროპოლიტის განკარგულებაში, ხოლო 1824 წლის გაზაფხულის პირას ნუზალში მღვდლად გაუმწესებიათ თავისი სურვილისამებრ გიორგი შაბურიშვილი<sup>93</sup>, რომელსაც 1836 წლამდე იქ უპოვებდნენ.

ოსეთის სასულიერო კომისიას განუზრახავს, რომ, რაკი ნუზალის „მცირე ეკლესია“ ვერ აკმაყოფილებდა ხალხმრავალ მრევლს, ნუზალშივე აეშენებინათ ახალი ეკლესია მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობაზე და მშენებლობა მი-

<sup>91</sup> ცა, ფ. 488, საქმე 448, ფ. 60r.

<sup>92</sup> ცა, ფ. 488, საქმე 985, ფ. 61r.

<sup>93</sup> ცა, ფ. 488, საქმე 979, ფ. 1r—v. 42r—43r. გ. შაბუროვზე აღრე მაქსიმე გვერდწითელს ნუზალის სამრევლოს მღვდლად წარუდგენია იოსებ კლერჯიძე, მაგრამ, ჩანს, ეგზარხოსს იგი არ დაუშტკიცებია (იქვე, ფ. 44r).

უნდვიათ მაქსიმე გვერდწითელისათვის: მოუნიშნიათ ადგილი, ამოუყვანიათ ქვიტკირის კედლები, მაგრამ საქმე ბოლომდე ვეღარ მიუყვანიათ. ეგზარხოს თეოფილაქტეს ანგარიშში, რომელიც შედგენილია 1820 წელს, ნათქვამია, რომ ნუხალში შენდება ქვის ეკლესია მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელზეო (ფ. 61r), ხოლო 1823 წლის აგვისტოში, როდესაც მისი შემოწმება დაუვალეზიათ მღვდელ ნიკოლოზ სამარგანოვისათვის, იგი ჭერ კიდევ მშენებლობის პროცესში ყოფილა. ცენტრარქივის მასალებში დაცულია ასეთი ჩანაწერი:

„ე. [სამრევლო] ნუხალისა. ეკლესია შენდების სოფელსა შინა ნუხალას სახელსა ზედა მთავარ-ანგელოსთ მიხაილისა და გაბრიელისასა ქვიტკირისა. არცა კანკელი, არცა შესამოსელი და სამკაული არა მისცემია ჭრეთ. არის აქ მღვდლის ადგილი. პრიჩეტნიკი გაბრიელ გუბაშვილი.

ეკლესია ესე აღშენებულ არს პლანით უკიროთ მაქსიმეს თავდგომობით. ადლო ქართული: სიგანეა შიგნითი გული — ექვსი, სიგძე — ათი, სიმაღლე აკლია. მასალა შესრულებულია და წელს შესრულდება. აქ კირი არ იშობება, სხვაგნინდამ უნდა მოიტანონ, გასალესი კი არი. არცა ყავთ მღვდელი და არც სხვა საეკლესიო ნივთნი და შესამოსელნი.

ამას შიდ არის მოუნათლავი ოთხმოცი სული. ამისი ფული მიღებული აქვს ტურაშვილ იოსებ მღვდელსა და მაწუხებენ მონათვლისათვის. და იტყვიან ხალხნი: ორი წელიწადი არის მღვდელი არ გვინახავსო, თუმცა იყო გამწესებული იოსებ ტურაშვილი, მაგრამ არ იმყოფებოდა სამწყსოთა თანა და ამიტომ რჩებოდნენ განუმტკიცებლად ქრისტიანებრისა წესისა. პრიჩეტნიკი ესე ბესარიონ ქოლიშვილი იმსახურება კეთილის ქცევითა. ამ ეკლესიის განხილვაზედ არ იმყოფებოდა ბლალოჩინი. დეკანოზი ნიკოლოზ სამარგანოვი“<sup>94</sup>.

რაკი ნუხალში იყო ბიბლიური და ისტორიული პირების ფრესკებით მოხატული ძველი ეკლესია, იქაურ მრევლს აღარ მოუნდომებია ახალი ეკლესიის აგება. ამის გამო ეს მშენებლო-

<sup>94</sup> ცა, ფ. 483, საქმე 985, ფ. 60v—61r. ამავე ფონდის № 957 საქმეში დაცულია 1823 წლის 5 აგვისტოს თარიღით ქართული ჩანაწერის რუსული თარგმანი (38v—39r).

ზა არც 1823 და მის მომდევნო წლებში დამთავრებულა. ნ. სამარგანოვს, რომელსაც სააღმშენებლოდ 400 მან. გაუღია, ეს ამბავი არ სიამოვნებია, ჩასულა ნუზალში და, როგორც მნახველნი იუწყებიან, ძველი ეკლესიის ფრესკები და წარწერები დაუზიანებია: მოუსპია კედელზე წარწერილი „ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფია“ (იმ ადგილას ისე მოუკვეთია გაჯი, რომ წარწერის კვალი მთლად გამქრალა), აუფხეკია ისტორიულ პირთა სახეებიც, ნაწილობრივ — წარწერებიც და იქვე ადგილ-ადგილ გაჯიც მოუნგრევია, მაგრამ მას, როგორც სასულიერო პირს, უვნებლად დაუტოვებია ბიბლიურ პერსონაჟთა და წმინდანთა პორტრეტები. მასვე ნუზალიდან გაუტაცუნია რაღაც ძველი დოკუმენტები და ძვირფასი ნივთები<sup>95</sup>. ნ. სამარგანოვი გარდაიცვალა 1828 წლის 8 აპრილს<sup>96</sup> და ნუზალის ეკლესიის მშენებლობა დაევალა მღვდელ იოაკიმ კოლერაშვილს, მაგრამ ვერც მან მოაბა თავი ამ საქმეს. შემდეგ მისი ზედამხედველობა უთავებია შიო დვალიშვილს, მაგრამ ისიც ნუზალელთა დიდ წინააღმდეგობას შეჰხვედრია. ეს უკანასკნელი 1834 წლით დათარიღებულ რაპორტში ეგზარხოსს ატყობინებდა: „ხოლო ნუზალისა და მიზურის ეკლესიები არიან დაშთომილნი ჳერეთ სრულებით ზედმიუყოფელად მიზეზისა გამო ხალხის წინააღმდეგობისა მთავრობისადმი, რომელსაცა არა ჰყავს მზეველები; და არ ემორჩილებიან მთავრობასა და მისთვის ვერ ვენდე, რათა მიმეცა მათთვის თეთრი, და ეს ეკლესიები ამისთვის) აღარ აშენებულან“<sup>97</sup>. მართლაც, ნუზალში ახალი ეკლესია აღარ აშენებულა. მოსახლეობის წინააღმდეგობა იქამდე მისულა, რომ ადგილობრივი მღვდელი გიორგი შაბურიშვილი, რომელიც თორმეტ წელიწადზე მეტ ხანს ემსახურებოდა ნუზალის მრევლს, კინალამ არ მოუკლაეთ. 1833 წლის 17 აპრილს მას შიო დვალიშვილის დავალებით თავის სახლში შეუკრებია ნუზალელნი და მათგან უთხოვია ნება ახალი ეკლესიის აშენებისათვის, მაგრამ „ამა თქმაზედ იქ შეს-

<sup>95</sup> В. П ф а ф. Материалы..., ССКГ, V, გვ. 34.

<sup>96</sup> ცა, ფ. 488. საქმე 2061, ფ. 2r (საერთოდ ეს საქმე ძვირფას მასალებს შეიცავს).

<sup>97</sup> იქვე, ფ. 299r—v (მდრ.: იქვე, ფ. 229r—230r, 258r—v, 262r—v, 277v და სხვა).

წრებია ნუზალის მცხოვრებელი ნაფი მიზოგიშვილი, რომელსაც ხანჯლით შეუტევია მოსაკვლელად და კიდეც შეუგინებია მრავალი: «შენც არ გვინდობარ და აქ საყდარი გაგაკეთებინოთ?»», თან ისიც მიუყოლებია: „თუნდა ერთი ძალი მაამიკლავს, თუნდა მღვდელიო“. იქვე მდგარა სიხა გუბაშვილი და მას შეუპყრია გამხეცებული მოძალადე. მერმე ეს ბოროტმოქმედი ვლადიკავკაზის კომენდანტს დაუპატიმრებია, გიორგი მღვდელს კი ღვთისმსახურება ისევ ძველ ეკლესიაში გაუგრძელებია (ცა, ფ. 488, ს. 3423, ფ. 3—4).

1836 წლის ზაფხულში იქ მისულან ბლადოჩინი და ალაგირის უწყების მღვდელი გიორგი ბერძენიშვილი და მღვდელი ნიკოლოზ იმნაძე ნუზალის „სამლოცველო სახლის აღსარჩევად“. მათთვის შაბურიშვილს უთქვამს: ა რ ი ს შ უ ა ს ო ფ ე ლ შ ი ა დ რ ი ნ დ ე ლ ი ა ღ შ ე ნ ე ბ უ ლ ი პ ა ტ ა რ ა ს ა ყ დ ა რ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა ი ს ე ე ე ტ ყ ო ბ ა, და იქ ვლოცამ ხალხისთვისა კვირასა და დღესასწაულ დღეებშიო“, ხოლო იმავე წლის 24 დეკემბერს, როდესაც შაბურიშვილი ნუზალიდან წამოსულა, საქართველოს ეგზარხოზის კანცელარიაში ჩაუწერიათ ასეთი ჩვენება:

ა. [გიორგი შაბურიშვილს] ნუზალის სამრევლოში არა ჰქონია აღმორჩეული ღვთის სამსახურისთვის სახლი, ამისთვის რომ ბლადოჩინს არა გამოუცხადებია მისთვის, თუმცა შეეძლო მას ეგრეთის სახლის აღმორჩევა თავის სამრევლოში. ბ. ამა წელში ჩყლვ [1836]-სა მოუნათლავს მას თავის სამრევლოში ექვსი სული და რვა დაუმარხავს და ერთისთვის ჯვარი დაუწერია თამარ დედოფლისაგან აღშენებულს საყდარში, რომელიც რომ არის ახლაც იქა. გ. ქრისტიანებრივის წესის აღსასრულებლად ჰქონია მას შემდეგი წიგნი და შესამოსი, ესე იგი: ოლარი, კურთხევანი, უამნი, დავითნი და ლოცვაები. დ. შობითგან იგი არს ორმოცდა ათის წლისა“ (ფ. 488, საქმე 4502, ფ. 8r, 13r).

1837 წელს ნუზალში მღვდლად გაუმწესებიათ ზაქარია დაფქვიაშვილი. მას 1823 წლიდან უმუშავნია დალომის სამრევლოში, წარმოშობით ყოფილა რუისიდან, მაქსიმე გვერდ-წითელის დახასიათებით, „კარგად განსწავლული ვითარცა სა-

ეკლესიო წერილისა კითხვასა შინა, ეგრეთ წერასა და გალობა-სა შინაცა“, ამასთან ქართული ენის გარდა სცოდნია ოსურიც (იქვე, საქმე 979, ფ. 33, 45). რაკი ნუზალში ახალი ეკლესიის აშენება არ მოხერხებულა, ამ ზაქარიასა და გ. ბერძენიშვილს განუზრახავთ იქ არსებული ადრინდელი ეკლესიის აღდგენა. ამაზე საეგზარხოსო კანცელარიაში შეუქმნიათ ახალი საქმე — „Дело... о возобновлении древней маленькой церкви в Пузальском приходе“ (ფ. 488, ს. 4999). ამ საქმეში დაცულია გ. ბერძენიშვილის რაპორტები, რომლებიც ნათელ შექსა ჰფენენ ნუზალის ეკლესიის რესტავრაციის ისტორიას. როდესაც ეს რაპორტები გადავიკითხე, გამახსენდა 1967 წლის საუბარი პროფ. ბ. ალბოროვთან, რომელიც ნატრობდა, დანამდვილებით გაეგო, თუ ნუზალის ეკლესია როდის აღადგინეს. მეკითხებოდა: ამის შესახებ საქართველოში ხომ არაფერია დაცულიო. მაშინ მე მხრებს ვიჩეჩაედი, ახლა კი თამამად შემიძლია ოს კოლეგებს ვუთხრა ის, რაც განსვენებულ პროფესორს აწუხებდა: ნუზალის ეკლესია აღუდგენია გიორგი ბერძენიშვილს 1838—1841 წლებში. აი, ამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (საქმეში დაცულია ისინი ქართულ და რუსულ ნებზე):

1837 წლის 23 ოქტომბერს გ. ბერძენიშვილი უგზავნის რაპორტს საქართველოს ეგზარხოსს ევგენის, აცნობს მას ნუზალის ადრინდელი ეკლესიის მდგომარეობას და მისი აღდგენისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვას:

„რ ა პ ო რ ტ ი უპატივეცემულესის ბრძანებისა ძლით მაღალ-ყოვლად-უსამღვდელესობისა თქვენისა სეკდენბრის კ[20]-ს ამა წლის № 689-ით ნუზალის ადრინდელის პატარა ქვიტკირის საყდრის სმეტის შედგენისათვის.

საყდარი ესე თუვისგან აღშენებულ არს, არა ცნობილი არიან. სიგრძით იქნება ორი საყენი, ხოლო სიგანით — საყენი და ნახევარი არშინი, სიმაღლეც — მისივე შეფერებული. არს ადრინდელი დახატული, რომელიც დღესაც ცხადად ეტყობა წერილობა. აქვს წინა კედელი ვიდრე თავადმდე დაქცეული, ხოლო თავზედაც ადგილ-ადგილ

ქვები ამოცვივნული. განახლებისა მისისათვის შევადგინე წვლილადი სმეტა ზომიერის ფასისა, რითაც განახლების ჯეროვანის სახითა. უკეთუ მაღალ-მეუფება თქვენი ინებებს ამა ხსენებულის პატარა ქვიტკირის ეკლესიის განახლებასა, მებოძოს რვა თუმანი თეთრი მომავალის გაზაფხულისათვის ჩულჭ [1838]-ს წელსა, რომელ განვაახლო თვინიერ ყოვლისა დაყოვნებისა მაგრად და შესაბამად, ვითარცა ჯერ-არს მეცადინეობა ეკლესიისათვის, რომლისა სმეტასაც ამა რაპორტსა თანა ვგზავნი უპატივცემულესად მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოებისა თქვენისადმი“ (ფ. 59r).

ამ რაპორტთანავე დაცულია ხარჯთ-აღრიცხვა — „სმეტა, შედგენილი განახლებისათვის ნუხალის აღრიცხვის პატარა ქვიტკირის ეკლესიისა, რომელსაც უნდა წინა კედლის აშენება და ზევიდგან კირით და ქვით გადალესა. ჩულჭ [1837] წელსა, ოკტობრის კვ [23]“. მასში გათვალისწინებულია შემდეგი ხარჯები: „ა. საჭირო არს წინა თავამდენ კედლისათვის ქვა სამი საყენი, თითო საყენი მოტანითა ოთხ-ოთხ მანათად, ბ. კირი თხუთმეტი ჩეთვერთი, თითო ჩეთვერთზედ შვიდ-შვიდი აბაზი..., გ. მოტანისათვის მისისა საჭიროა ცხენები რვა, თითოზედ ქირა ექვს-ექვსი აბაზი, რომელიც უნდა მოიტანონ დღის სავალის საჭირო, აღმართ გზებზე..., დ. ქვიშა ოთხი ურემი, თითო ურემზედ ათ-ათი შაური..., ე. მუშა კეთებაზედ მოუნდება ოცდა ხუთი, თითოზედ ხუთ-ხუთი შაური თავისის სასმელ-საქმლითა..., ვ. საჭიროა ერთი კალატოზი თორმეტ დღესა ხელფასით და სასმელ-საქმლით“, აგრეთვე — ხის კანკელი (ხეების მოტანა, გათლა და დადგმა), ახალი კარი კარგის ხისა: რაზა, კოჭატი და კლიტე (ფ. 8 და 57).

ხარჯთ-აღრიცხვაში ჩამოთვლილი მასალისა და სამუშაოების შესრულებისათვის გიორგი ბერძენიშვილმა 1837 წლის 17 დეკემბერს მიიღო ვლადიკავკავის კომენდანტ შიროკოვისგან „რვა თუმანი თეთრი“ (ფ. 18r); ხოლო 1838 წლის 4 თებერვალს — „ზონრიანი რვეული ეკლესიის ხარჯების ჩასაწერად“ (ფ. 16r), მაგრამ იმ წელიწადს ეკლესიის განახლება ვერ შესძლო მთაში მომხდარი აღრეულობის გამო. 1838 წლის 9 დეკემბრის რაპორტში ნათქვამია: „ნუხალის პატარა ეკლესიასა ზედა რომლისათვისცა მივიღე ზ [8] თუმანი თეთრი, განსაახ-



ლებლად მისთვის მაშინვე მოვამზადე მასალა და იქმნებოდაცა აქამომდინ შესრულებულ, უკეთეს აღრეულობა აქაური ხალხისა არ მომხდარიყო. და მაშინ არცა ვინ ენდო ოსტატები მუნ წამოსასვლელად ნუზალში, რომლისა მიზეზითა დამშთა განახლება ეკლესიისა. გარნა მომავალს ზაფხულს იქმნება უთუოდ შესრულებული“ (96r). მართლაც, ხელოსნებმა ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები დაიწყეს 1839 წლის მაისიდან. ამაზე იმავე წლის 20 ივნისის რაპორტში ვკითხულობთ:

„ნუზალის ადრინდელი ქვიტკირის ეკლესიის განსაახლებლად გავგზავნე ოსტატები მაისის თვეში ამა წლისა ესრეთ. რომელ მათ უნდა განაახლონ ეკლესია ქვიტკირით და გალესონ გარედამ თეთრად კირით და შიგნიდამ არა, რადგანაც მხატვრობა ადრინდელი ეტყობა. და კიდევ ერთი ამ საყდრის ოდენი უნდა მოადგან წინადგან კარის ბქე ფიქვის ხითა და დახურონ ტესის ფიცარი დახერხილი (იგულისხმება ყავარი, ი. ლ.), შეაბან კარი და დასდგან კანკელი ხისა. და სულ ამაებში გავურიგდი ოსტატებს ე [5] თუმანს თეთრსა. და დაუდეთ პირობის წერილი, რომელთაც კიდევ მიყვეს ხელი და ნახევარი განაახლეს და ხეც მოამზადეს მოსამატებლად“ (ფ. 28r).

ეს სააღმშენებლო სამუშაო ძირითადად დასრულდა 1839 წლის ოქტომბერში. გ. ბერძენიშვილი ნოემბერს ევგენი ეგზარხოსს სწერდა:

„შევასრულე ეკლესია ნუზალისა სამრევლოში, პატარა, ადრინდელი. ქვიტკირისა, ყოვლისა განაახლებითა. გვერდის გამომშენებითა, წინადგან კედლის აშენებითა, ზევიდგან ქვიტკირის გადაგებითა, წინადამ კარისბქის მოდგმითა, რომელიც მოვადგი ფიქვის ხითა ერთი ეკლესიის ოდენი და დავახუროვინე დახერხილის მისივე ფიქვის ფიცრის ტესითა (ყავრითა, ი. ლ.), რკინის ლურსმნის გადაქედითა, კარის შებმითა, რომლისა გაკეთებისათვის მივეცი ნარდად ოსტატებს ხუთი თუმანი თეთრი, ხოლო ჩემთან დაშთა ამ ეკლესიის ფულითგან სამი თუმანი თეთრი. რომელსაც ახლა უნდა გამართვა ხას კანკლა-

სა. ხატების ყიდვა, რააცა შეეფერება ამის პატარა ეკლესიო-  
პასა. ჩითვის ყიდვა და სხვა წვრილადი რააცა ესაჭიროება,  
ვარდა წიგნებისა და შესამოსლისა და მოვამზადო ჭეროვნად“  
(ფ. 26r-v).

1840 წლის 11 აპრილის რაპორტიდან ვიგებთ, რომ გ. ბერ-  
ძენიშვილს დარჩენილი სამი თუმნიდან გაუკეთებია „იმვე ეკ-  
ლესიის ხის კანკელი, ეგრეთვე ტრაპეზი. და სამკვეთლო“,  
უყიდნია „სახპარი ხატები, რაოდენიც ესაჭიროებოდა, და ეგ-  
რეთვე ჩივები, რაოდენიც მოუნდებოდა“ (ფ. 32r), ხოლო 1841  
წლის 10 იანვრის რაპორტით მას მოუთხოვია „ნივთი ამა ეკ-  
ლესიისათვის: შესამოსელი ერთი. ხელი სრულად, ბარძიმ-  
ფეშხუმი, კამარა, კოვზი, საცეცხლური, ჩაიდანი, ლანბაქები,  
ლახვარი, საიაზმე, უსუპი, ზარი, წიგნი სახარება, სამოციქუ-  
ლო, ბარაკლიტონი და თორმეტი თვენის წიგნი“ (ფ. 54r). ეს  
ნივთები მიუღია კიდევ და ნუზალის სამრევლოს მღვდლის ზა-  
ქარია დაფქვიაშვილისათვის ჩაუბარებია (ფ. 49r).

დასასრულ, გ. ბერძენიშვილსავე 1841 წლის 14 სექტემ-  
ბერს ეს განახლებული ეკლესია უკურთხებია. 17 სექტემბრის  
რაპორტში იგი იუწყება: „ვაკურთხე ეკლესია ნუზალისა სა-  
ხელსა ზედა წმიდა მთავარანგელოზთ მიხაილ და გაბრიელისა  
14 სექტენბრისასა ამა წელს“ (ფ. 47r).

ამის შემდეგ ნუზალის ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღდგა.

ზაქარია დაფქვიაშვილი გარდაიცვალა 1842 წლის 2 ივ-  
ლისს და დაასაფლავეს იქვე ეკლესიის გვერდით (საქმე 8140  
და 8146). მას დაუტოვებია ანდერძი: „ამ ეკლესიის ნივთებს  
ღრობით მიეშველეთ. მანამ აიკლებდეს ვინმე“. ნების აღმსრუ-  
ლებულს ყველა ნივთი ჩაუბარებია. ჩაუწყვია სკივრში და ნუ-  
ზალელი საიმედო კაცისათვის მიუბარებია. ზ. დაფქვიაშვილს  
არა ჰქონია ქამნი და დავითნი. მხოლოდ ერთი ძველი ლოცვანი  
დებულა ეკლესიაში.

1843 წელს აქ მედავითნედ მისულა დიმიტრი ქიტიაშვი-  
ლი. ამაზე გ. ბერძენიშვილი ეგზარხოზსა სწერს: „გამოცხადდა  
ჩემთან პრიჩეტნიკად ნუზალის ეკლესიაზედ დანიშნული დი-  
მიტრი ქიტიაშვილი 6-ს ამა ივლისსა და შეყვანილ იქმნა თვისს  
ნუზალის სამრევლოსა შინა 15-ს ამა თვისასა, გავაცან იგი

გრეველთა და დაუდგინე მოვალეობად, რათამცა ისწავლოს მან საჩქაროდ ოსური, ადგილხმარებული ენა“... (საქმე 8619, ფ. 5r).

ამრიგად, ნუზალის ეკლესია ქრისტიანული სარწმუნოების სამსახურში ჩადგა, ხოლო წლების განმავლობაში მისადმი გამახვილებული ყურადღება, რომელსაც იჩენდა საქართველოს საეგზარხოსო კანცელარია, შენეღდა...

1854 წელს კავკასიის მთავარმართებელს მიხეილ ვორონ-ცოვსა და მის მეუღლეს ნუზალის ეკლესიისათვის შეუწირავთ ასალი კანკელი, ოთხი ხატი (ქრისტესი, მარიამ ღვთისმშობლის, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისა) და ხის მოოქროული ჭვარი. ეს კანკელი დაუდგამთ ახალ იატაკზე და ხატებზე მიუმაგრებიათ ალაგირის ვერცხლისა და ტყვიის ქარხნის უფროსის პოლკოვნიკ ა. ბ. ივანიცკის განკარგულებით; უკურთხებია იგი 1855 წლის 14 აპრილს ბესარიონ სამადალაშვილს<sup>98</sup>...

ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა 1930 წლამდე. შემდეგ ნუზალის კოლმეურნე გლეხობას მოუთხოვია ეკლესიის დახურვა და მუზეუმად გადაკეთება<sup>99</sup>. ამჟამად ძველს იცავს სახელმწიფო. კარი ღიაა ექსკურსანტებისა და მისი ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

---

<sup>98</sup> ცა. ფ. 488, საქმე 16556.

<sup>99</sup> Мухей в Нузале, ვაზ. «Пролетарии Осетии», 1937, № 37. (21.1V).

**დავით სოსლანისა და ნუზალი  
დაკაძაღლი პირის იდენტიფიკაციის  
საკითხი ოსუკ სამეცნიერო ღივებაჟუკაჟი**

ნარკვევის მეორე თავში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგინე დავით სოსლანის აკლდამის მაძიებელთა მოსაზრებანი ნუზალის ეკვდერში აღმოჩენილი ნეშტის შესახებ. მაგრამ მართო ამ მოსაზრებათა აღნუსხა არ კმარა, საჭიროა მათი კრიტიკული განხილვა და შეფასებაც. კვლევის პროცესში, როცა მკითხველს ვაცნობდი ნუზალის ეკლესიის ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, ნაწილობრივ ეს მოვახერხე კიდევ, ოღონდ ვერ შევძელ, ვრცლად გამეშუქებინა, თუ ე. პჩელინამ და თ. მამუკაევმა „მრავალმხრივი და კვალიფიციური გამოკვლევის წყალობით, ოცწლიანი ძიების საფუძველზე“ როგორ „გამოიციენს“ ნუზალის ეკლესიის საიდუმლოება. ახლა კი დროა ამასაც მივხედო და მკითხველს ვაჩვენო, თუ დასახელებული მკვლევარები რა გზებითა და საშუალებებით ცდილობენ დავით სოსლანისა და ნუზალის ეკვდერში დაკრძალული პირის იდენტიფიკაციას.

ამთავითვე წინასწარ უნდა განვაცხადო: ე. პჩელინა და თ. მამუკაევი კარგად არ იცნობენ საქართველოს ისტორიას, მის პირველ წყაროებს და არ შესწევთ ძალა, რომ ობიექტურად განიხილონ საქართველო-ოსეთის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, მისცენ სწორი კვალიფიკაცია მემათიანეთა ცნობებსა და ხალხურ გადმოცემებს და ზღვარი დაუდონ ჰიპოთეზებს. ამიტომაც ისინი ხშირად წინააღმდეგობაში ვარდებიან, წარა-მარა შეცდომებს უშვებენ და ზოგჯერაც სხვათა მცდარ მოსაზრებებს ავითარებენ. ამის ცხადსაყოფად აღარ გა-

ვიმეორებ ე. პჩელინას შეცდომებს, აღვნიშნავ მხოლოდ თ. მამუკაევის წიგნში არსებულ გაუგებრობებს (ციტატებს დავიმოწმებ რუსულად):

1. თ. მამუკაევი კარის ბრძოლებთან დაკავშირებით წერს: «Письменные источники, датируемые 1206 годом, сообщают, что грузинские войска под его (Давида Сослана, И. Л.) командованием взяли осажденный город и крепость Карс» (გვ. 7). წყაროდ ასახელებს ის თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებას („В. Дондуа. Басили—историк царицы Тамары. Памятники эпохи Руставели. Ленинград, 1938, стр. 70—71“). ეს მატიაზე დაწერილია 1236 წლის ახლოს, ხოლო 1206 წლით თამარის არც ერთი მატიაზე არ თარიღდება. თ. მამუკაევს ყურადღება მიუქცევია კარის ბრძოლების ბოლოს დართული ფრაზისათვის — „და ვისცა ათ ჩვიდ მეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარის განგემცრებიან“ (II, 144) — И тому этих дел, за семнадцать лишь лет выполненных, все еще мало“ და, რაკი თარგმანში თამარი არ არის დასახელებული, მკვლევარს 17 წლის საქმენი სოსლანისთვის მიუკუთვნებია; აქედან კი მიუღია თხზულების დაწერის თარიღი—1206 წელი (=1189+17). ცხადია, მისთვის უცნობია ის დიდი დავა, რომელიც წამოიჭრა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაწერის დროის დადგენასთან დაკავშირებით<sup>100</sup>.

2. თ. მამუკაევი წერს: „(გიორგი მეფემ) еще при своей жизни в 1184 году короновал свою дочь Тамару на престол“. მამას აღვლევებდა შვილის გათხოვების საკითხი და ისე გარდაიცვალა, რომ „не успел при жизни устроить судьбу своей дочери“ (გვ. 19). ასეთი რამ თამარის მატიაზეებში არა სწერია. გიორგიმ თამარი საქართველოს სამეფო ტახტზე დასვა 1178 წელს, მეორედ აკურთხეს მეფედ 1184 წელს (გიორგის გარდაცვალების უმალ), თამარის გათხოვების საკითხი

<sup>100</sup> ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 34—36 (ლიტერატურა დასახელებულია აქვე).

კი დადგა 1184 წლის შემდეგ, როდესაც მისი მშობლები გიორგი და ბურღუხან ცოცხლები აღარ იყვნენ.

3. იქვე ვკითხულობთ: „ბევრი რუსთველოლოგი ამტკიცებს, რომ სოსლანი და რუსთაველი ბავშვობიდანვე იყვნენ ახლო მეგობრები“ (გვ. 19). ამას „ამტკიცებს“ მხოლოდ დ. დანდუროვი — ავტორი წიგნისა „Шота Руставели“ (მოსკოვი, 1937). თ. მამუკაევი ასახელებს მას, როგორც ავტორიტეტულ რუსთველოლოგს! სოსლანისა და რუსთაველის მეგობრობაზე საისტორიო ცნობები არ მოგვეპოვება, დ. დანდუროვის მოსახრება კი ფანტაზიის საზღვრებს სცილდება.

4. ერთგან თ. მამუკაევი აცხადებს: „Современник Давида Сослана — поэт Чахрухадзе сравнивает его с Г е р к у л е с о м“ (გვ. 18). ჩახრუხადე ასახელებს არა ჰერკულესს, არამედ ჰერაკლეკეისარს (610—641), რომელიც სპარსთა წინააღმდეგ იბრძოდა<sup>101</sup>. შ. ნუცუბიძეს ჰერაკლე ჰერკულესში აერია და ტაეპი (V 22) —

ვამცრობს ე რ ა კ ლ ე: სპარსთა ერ აკლე,  
მოსრენ, მოსწყვიდენ ანათებარე —

თარგმნა არასწორად:

Не Г е р к у л е с т ы—больше—без лестии

Бросивши персов в жертву, вечности (65)<sup>102</sup>.

რაკი თ. მამუკაევს პრეტენზია ჰქონია, გაარკვიოს საქართველოს ისტორიის საკითხები და დაადგინოს დავით სოსლანის ვინაობა, მას უნდა „თამარიანის“ ორიგინალში ჩაეხედნა, რომ შეეცდომისაგან დაზღვეული ყოფილიყო.

5. თ. მამუკაევს ჰგონია, თითქოს ქართველ ღიდებულებს არ სურდათ თამარ-დავითის ქორწინება და დავითს სხვადასხვა ბრძოლებში აგზავნიდნენ, რომ იგი დაღუპულიყო. „Духовенство, — წერს იგი. — ... и знатная аристократическая верхушка Грузии не допускало и мысли о том,

<sup>101</sup> ТР, IV, 1902, რაზ; ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, გვ. 237.

<sup>102</sup> Чахрухадзе, Тамариани, пер. Ш. Нуцубилде, 1942.

чтобы царица вышла замуж за Давида Сослана. В ответ на требование духовной власти страны Тамара отвергла предложения всех претендентов на ее руку и дала им понять, что желала бы видеть своим супругом именно Давида Сослана. Тогда противники Тамары решили разлучить ее с Давидом Сосланом. Они все чаще посылали его в различные военные походы с расчетом на то, что в одном из сражений он погибнет, и царица вынуждена будет согласиться на брак по их желанию. Однако Давид Сослан «не возвращался ниоткуда, не победив»<sup>103</sup>. (გვ. 20). ამ მოსაზრების დასასაბუთებლად იგი იშველიებს მეორე ისტორიკოსის თხზულების რუსულ თარგმანს („Басили, стр. 57“) და ჰქმნის მკითხველში შთაბეჭდილებას, თითქოს ის, რაც მან თქვა, ამ ძეგლში იყოს დაწერილი. მაგრამ თ. მამუკაევი თავის მოსაზრებას საისტორიო წყაროების მიხედვით კი არ იმუშავებს, არამედ იმეორებს ა. ვოინოვას (დ. დანდუროვის მეუღლის) მიუღებელ შეხედულებებს, რომელთაც ავითარებს ის ისტორიულ რომანში „Тамара и Давид“<sup>103</sup>.

ქართულ მატრიანეებში ამისი საწინააღმდეგო რამ სწერია: თამარსა და დავითს ერთმანეთი შეუღლებამდე არა ჰყვარებიან<sup>104</sup>: სამეფო კარის დიდებულებმა მათ შეუღლებას კი არ შეუშალეს ხელი, არამედ შეუწყეს: დავით სოსლანი დაღუპვის მიზნით არავის არსად ბრძოლებში არ გაუგზავნია.

ქალიშვილობაში და პირველ ქმართან განშორების შემდეგ თამარს ბევრი ხელისმთხოვნელი ჰყვანდა, რადგანაც იგი იყო „სატრფო საპკრეტი დაბნედამდის და გაპრამდის ყოველთა გამცდელ-მხედთა“ (II, გვ. 32), მაგრამ ყველას ის თავიდან იცილებდა; პირველი ქორწინების კრაზი მას დიდად სტანჯავდა. ბოლოს თამარს სამეფო კარის დიდებულები და რუსუდან დედოფალი შეუჩნდნენ, რომ ის დავით სოსლანს გაჰყოლოდა ცოლად. მაშინ მამიდამისს უთხრა: „მოწამე არს ჩვენდა ღმერთი, არაოდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა, არცა პირველ (როცა გიორგი ბოგოლუბსკს მიათხოვეს, ი. ლ.).

<sup>103</sup> გამოქვეყნდა ცხინვალში 1965 წელს.

<sup>104</sup> ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ეტრულები, IV, გვ. 6—7.

არცა აწე (როცა დიდებულებმა დავით სოსლანზე შეაჩერეს არჩევანი, ი. ლ.), თუმცა არა მოსვლოდა უწაღმართობა ჩემი საყდარსა. რომელი რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემთაგან, აწცა ამისი ვარ მოაჯე“ (II, გვ. 47)<sup>105</sup>. თამარის თხოვნამ არ გასქრა, ხოლო „არმომშვებელთა ჰყადრეს დედოფალსა. და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი და წამოიყვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით, რჩეული ღმრთისა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული კელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა“ (II, გვ. 47).

ამასვე წერს მოკლედ მეორე ისტორიკოსი: „ამისი (=დავითისი, ი. ლ.) ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღმერთსა მიანდვის. თამარცა მიემორჩილა ნებასა მათსა მეცნიერებისათვის ყრმისა. არლარა ყოვნეს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს და შერთეს დავით თამარს“ (II, გვ. 122)<sup>106</sup>.

არც ერთ მატრიანეში არა სწერია, რომ სამეფო კარის დიდებულები დავითს განგებ სხვადასხვა ბრძოლაში აგზავნიდნენ იმ მიზნით, რომ ის იქ დაღუპულიყო და თამარი სხვაზე გაეთხოვებინათ. ყრმობისა და სიკაბუკის პერიოდში დავითი ჯერ ოსეთში იმყოფებოდა მამამისთან, მერმე რუსუდან დედოფალმა წამოიყვანა საქართველოში და ცხოვრობდა სამშვილდეში; ქორწინების შემდეგ სახელმწიფო ლაშქარს ედგა სათავეში და არც ერთი დიდი ბრძოლა არ მომხდარა უიმისოდ. იგი იყო მხედართმთავარი, თანამეფე და ყველა გამარჯვების ორგანიზატორი. მას იძულებით არსად არ აგზავნიდნენ. თ. მამუკაევი რომ უთითებს მეორე ისტორიკოსის თხზულების ადგილს და იმოწმებს ციტატას („не возвращался ниоткуда не победив“), საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს მის მოსაზრებას ეს ისტორიკოსი უჭერდეს მხარს. არა, აქ ის არ სწერია, რასაც თ. მამუკაევი იუწყება. მემატრიანე მოგვითხრობს მონაპირე ფეოდალთა ზრუნვას საზღვრების დაცვისათვის და შემდეგ ამბობს: „ესე

105 შტრ.: История и восхваление венценосцев, пер. К. Кекелидзе, Тбилиси, 1954, გვ. 46.

106 შტრ.: Памятники эпохи Руставели, 1938, გვ. 46.



ყოველი რა გესმოდეს, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თვინიერ თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანაც, არამედ ესრეთ განიგონე: მონაპირეთა მონახონ საქმე, ანუ ციხე ასაღებელი. ნუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი. მოახსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხოს. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი, თვით დავით მეფე წარვიდის, არა სადათ შემოქცეული ცუდად; უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დარბაისერნი თვისნი და, ვითარ შავარდენთა, მოისაქმიან“ (II, გვ. 130).

ცხადია, ამ ციტატიდან არ გამომდინარეობს დასკვნა, რასაც თ. მამუკაევი იუწყება. თუ იგი გულდასმით წაიკითხავდა თამარის ისტორიკოსთა თხზულებების თარგმანებს (რაკი მას დედნებზე ხელი არ უწვდებდა), დარწმუნდებოდა, რომ სოსლანს საქართველოში არავინ არ სდევნიდა. პირიქით, მისაღმი, როგორც სამეფო ტახტის ღირსეული სიძისაღმი, ქართველი ხალხი სიყვარულით იყო განწყობილი. მწერლები მას აქებდნენ, აღიღებდნენ, აღმერთებდნენ და ამისი არდანახვა ისტორიული სინამდვილის წინაშე თვალის მოხუჭვა იქნებოდა.

ერთხანს თ. მამუკაევი ფიქრობდა, რომ სოსლანი მოკლეს შიხნარე, მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი. ამ უნიადაგო ვარაუდმა ერთ-ერთ კორესპონდენტს ასეთი რამ აფიქრებინა: «Что стало причиной гибели грозного полководца? Было ли это делом рук врагов Грузии? Личных врагов Сослани? Или сама царица заподозрила его в желании отнять у нее власть? Или поводом послужила ревность? Неизвестно»<sup>107</sup>. კლდე კარგი, რომ წამოსცა მას „неизвестно“, თორემ ვინ იცის, თამარის უმწიკვლო სახელს როგორ შებლაღვდა. განა დ. დანდუროვმა თამარსა და დავითს დემნა ბაგრატიონის მკვლელობა არ დააბრალა იმიტომ, თითქოს იგი მათ

107 «Знание-сила», 1969, № 1, გვ. 5.

სიყვარულს გადაეღობა? ზემოთ ვთქვი და აქაც ვიმეორებ: თამარი და დავითი ქორწინებამდე ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ ერთმანეთი არ ჰყვარებიათ. თამარი ხომ თვითონ ამბობს: არც უწინ და არც ახლა არა ყოფილა გული ჩემა მოწადინე ქმროსნობისაო?! განა ეს სიტყვები სარწმუნო არ არის? მეუღლეობის პერიოდში, როცა თამარს შვილები შეეძინა, იგი დიდ სიყვარულს ავლენდა ქმრისა და შვილებისადმი. მეფე-ქალი დიდად ბედნიერად ჰგრძნობდა თავს. ისტორიკოსი ამბობს: „იშვებდეს, იხარებდეს, ნადიმობდეს და სუფევდეს ულუმპიანად და შვენიერად ბედიანნი და სვიანნი თამარ და დავით ორთა შვილთა თანა, ნათელ-მოსილთა და ბრწყინვალეთა“ (I. გვ. 75). ისიც ვიცით, თუ 1195 წელს შამქორის ბრძოლის წინ თამარი როგორ მივიდა ფესშიშველი მეტეხის ტაძარში და ღვთისმშობლის წინაშე როგორ ლოცულობდა დავითის გამარჯვებით დაბრუნებაზე (II, გვ. 126), ან 1203 წელს ბასიანის ომში წასული დავითი და მისი სპა როგორ შეავედრა ცრემლით ვარძიის ღვთისმშობელს (II, გვ. 95). ასეთი ფაქტების შემდეგ არ შეიძლება ვინმემ თქვას: თამარი ექვიანობდა, თანაც ეშინოდა, ვაი თუ დავითმა მიღალატოს ან ძალაუფლება წამართვასო? ამას იფიქრებს მხოლოდ ის, ვინც არ იცნობს თამარის ცხოვრებას, მის მოღვაწეობასა და უმწიკვლო პიროვნებას.

ყოველივე თქმული, ვფიქრობ, საკმარისია იმის ცხადსაყოფად, თუ როგორ სუსტად იციან და როგორ ტენდენციურად ესმით ჩვენი ძველი ისტორიის საკითხები დავით სოსლანის აკლდამის მაძიებლებს — ე. პჩელინასა და თ. მამუკაევს. დ• აი, საქართველოს ისტორიაში ასე სუსტად გაწაფული ორი მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ნუზალის ეკლესიაში აღმოჩენილი პირის ნეშტი ეკუთვნის დავით სოსლანს. ეს ცდა მისასაღმებელი იქნებოდა, რომ იგი დაფუძნებული იყოს ისტორიული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული ან ანატომიურ-ანთროპოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების ო ბ ი ე ქ ტ უ რ ანალიზზე, მაგრამ სავალალო ისაა, რომ მას საფუძვლად უდევს ნებსით თუ უნებლიეთ დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ უ ლ ი (ან შე ს წ ო რ ე ბ უ ლ ი) ფ ა ქ ტ ე ბ ი და წინასწარშემუშავებული თვალსაზრისი, რომელიც უპირისპირდება ძველ ქართულ

სანდო საისტორიო ძეგლებში დაცულ ცნობებსა და ფოლკლორულ გადმოცემებს.

\* \* \*

რა ვიცი და ვით სოსლანის სიკვდილისა და დაკრძალვის შესახებ? — ძალიან ცოტა რამ. ამ საკითხზე ისტორიკოსებს ძუნწი ცნობები მოეპოვებათ. როცა „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი აღწერს კარის აღებას, ბასიანის ომს, „კარნუ-ქალაქით და ეზინკით“ ხარაჯის მოღებასა და მტრებზე გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს, იქვე დასძენს: „ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარება“, — და მერმე განაგრძობს: „ამისთვის მოიწია მწუხარება, რამეთუ მიიცივალა სოსლან დავით, კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მკნე ვინმე გულოვანთაგანი, უხვი და მდაბალი და სიკეთე აღმატებული. და დაუტევნა ორნი ძენი: ყრმა ვიდრემდე ლაშა-გიორგი, ხოლო ასული რუსუდან. და იტირეს და იტყებდეს და დაუტევეს მწუხარება ყოველსა მკვიდროვანსა“ (II, გვ. 100). მემპტიანე არ აღნიშნავს, თუ ამბავი როდის მოხდა. თხრობის თანმიმდევრობას თუ მივაქცევთ ყურადღებას, იგი მომხდარა ბასიანის ომისა და კარის აღების შემდეგ. მართლაც, მეორე ისტორიკოსი როდესაც კარის ბრძოლებს აღწერს, იქვე იხსენიებს დავითს, როგორც ლაშქრობის მეთაურს: თამარმა „წარავლინა დავით ზემოთ ლაშქრითა. წაატანა ზაქარია და ივანე და უბრძანა, რათა დადგენ მუნ და ძლიერად ეომონ. და ხანგრძლად იქმნა ესე და თვით თამარ დადგა ჯავახეთს. და მუნ მოელოდა ამბავსა მათსა“ (II, გვ. 143). ამის შემდეგ დავითის ხსენება აღარ არის. რა თქმა უნდა, ისტორიკოსს დავითის სიკვდილი თხზულებაში (მოკლედ თუ ვრცლად) უეჭველად ექნებოდა აღწერილი, მაგრამ რაკი მისი მეორე ნაწილი დაკარგულია და ი. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილია „თამარის ცხოვრების“ შევსებული (ე. წ. ვახტანგისეული) რედაქციიდან, რომელშიც შემვსებელს დავითის გარდაცვალებაზე შეუტანია „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის მონათხრობი, ამიტომ აღდგენილ ნაწილში თხრობა წყდება დავითის სიკვდილზე. პირველი ისტორიკოსის მიხედვით ჩანს, რომ დავითს კარის ბრძო-

ლების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ქართველებმა კარა აიღეს 1206 წელს, ხოლო დავითი გარდაცვლილა დაახლოებით 1207 წლის დასაწყისში.

რა იყო მისი გარდაცვალების მიზეზი?

ამაზე თამარის ისტორიკოსებს ერთი სიტყვაც არ აქვთ ნათქვამი. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ დავითი კარის ბრძოლებში დაიჭრა მძიმედ და ამის შედეგად გარდაიცვალა. 1926 წელს სოფ. ზგილში იორამ ჩელდიევისგან (80 წლ.), ხოლო 1930 წელს სოფ. ცეიში ალექსი ბიგულაშვილისგან (50 წლ.) ე. პ. ჯელინას ჩაუწერია გადმოცემა, რომ დავით სოსლანი დაიღუპა მძიმედ დაჭრილი, გზაში მომავალი ყარსიდან თბილისისაკენ, ხოლო მისი გვამი გადაასვენეს გორიდან ნუზალში. ამის საფუძველზე ი. მეგრელიძე წერს: „ოსეთის ზეპირი ხალხური გადმოცემები იუწყებიან, რომ დავითი დაიჭრა ყარსში და გზაში გარდაიცვალა“. ხოლო თ. მამუკაევი დასძენს: „დავით სოსლანი დაიღუპა ყარსში, ხოლო მისი გვამი გადაასვენეს ნუზალში. გადმოცემით, გზა, რომელზედაც მიასვენებდნენ მიცვალებულის გვამს, გადიოდა ნიქოზზე, ზიკარის გადასასვლელისკენ მიყოლებული გზით, ჩრდილო ოსეთში, შემდეგ კასარის ხეობაზე ჩავლით — ნუზალში, სადაც მდებარეობს ცარაზონების საგვარეულო სასაფლაო“ (გვ. 32—36).

ეს გადმოცემა ადრინდელი ფოლკლორული ჩანაწერებით არ დასტურდება. მისი პუბლიკაცია ეკუთვნის ე. პ. ჯელინას, რომელიც ნუზალის ეკვდერს დავით სოსლანის აკლდამად აცხადებს, და ამიტომაც ასეთ ვითარებაში პოსალოდნელია ამბის უნებლიე შესწორება-შელამაზების ტენდენცია, თავი რომ დავანებოთ იმ ქრონოლოგიური თუ სხვა ხასიათის აღრეულობას, რომელიც შეიმჩნევა საერთოდ საისტორიო ზეპირსიტყვიერების ძეგლებში. დავით სოსლანი რომ კარის ბრძოლებში დაჭრილიყო და გზაში გარდაცვლილიყო, როგორც ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლების მთქმელები იუწყებიან, ამ ფაქტს თამარის თანამედროვე ისტორიკოსები უეჭველად აღნიშნავდნენ. განა მეფე შემთხვევითი პირია, ან რიგითი მეომარი, რომ მისი დაჭრა და სიკვდილი მემკვიდრეებს გამორჩენოდათ ან არ აღენიშნათ? თუ დავითი კარის აღებისას დაიღუპა, რით ავხსნათ ის გარემოება, რომ სამეფო კარზე გამარჯვების დიდი სი-

ხართლი სუფევს და თამარის ისტორიკოსებიც ბასიანისა და კარის ამბებს. ან ამის შედეგად გამოწვეულ საზეიმო განწყობილებას „ნზიარულითა პირითა“ მეტყველებენ? აბა, მოვუხსნინოთ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს:

„ამათ დღითი-დღე წარმართებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრისმპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ: უმეტეს შეუმატებდა ღმრთისმსახურებათა, ეკლესიათა და მონასტერთა კანონასა და შენებასა, ობოლთა და ქვრივთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა. ამას შინა იშვეზდეს და იხარებდეს სამეფოსა: უამ გარდავიდიან აფხაზეთს, და განაგვიან საქმენი მანდაურნი, და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო—გეგუთი და აჯამეთი. მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომხითს და დადვიან ღურს: მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღმართ-ქალაქნი. გაზაფხულ აღმოვლიან სომხითი, მოილიან ხარაჯა ნახჭევნელთა: და წარვიდიან კოლას თავსა არტაანისასა, და მუნით მოილიან ხარაჯა კარნუ-ქალაქით და ეზინკით და სხვათა ვარემოსა ქალაქთა“ (II, გვ. 99—100).

აი, ამ თხრობას მოსდევს ფრაზა „ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარება“ და მოკლე ცნობა დავით სოსლანის სიკვდილისა. ვიმეორებ: დავითი რომ კარის ბრძოლებში დაღუპულიყო, თამარის ისტორიკოსები მისი დაქრისა და გარდაცვალების ამბავს იქვე იტყობდნენ და თანაც ასეთი საზეიმო პათოსით არ აღწერდნენ მის მომდევნო ამბებს. ამიტომ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, თითქოს დავითის დაღუპვაზე არსებულ ოსურ გადმოცემას მხარს უჭერდნენ ქართველი მემკვიდრეები, ან მას ამბავრებდეს ისტორიოგრაფიაში დავითის გარდაცვალების დროდ მიღებული თარიღი — 1207 წელი.

მაშ, საიდან გაჩნდა ვერსია, რომ დავით სოსლანი ვერაგულად მოკლეს? — ეს ვერსია განამტკიცა თ. მამუკაევმა, ნუზალის ეკვდერში აღმოჩენილი ნეშტის პალეო-ანთროპოლოგიური შესწავლის შედეგად. მისი პირვანდელი მოსაზრებით ეკვდერში დაკრძალული პირი ვილაცას მოუკლავს. მისთვის ჯერ ბარძაყის ძვლები გადაუმტვრევია მუხლისთავებს ზევით მკრელი მძიმე იარაღით, მერმე კეფა გაუჩხვია. აი. რას ვკითხულობთ თ. მამუკაევის ინტერვიუში (1964 წ.):

«Непосредственно перед смертью он лежал. Ноги его находились в состоянии покоя. Его голова, вероятно, была недоступна убийце. Последний находился с лева от него на уровне его голени и одним ударом острорубящего тяжелого предмета перебили кости ноги. Пострадавший рефлекторно изменил положение тела так, что голова стала доступной покушавшимся, и тут был нанесен второй удар, от которого он скончался».

სუთი წლის შემდეგ თ. მამუკაევმა ეს მოსაზრება ასე შეცვალა:

„Пострадавший, по всей вероятности, находился в движении, будучи верхом на коне. В удобный момент противник нанес ему удар (удары) в голову твердым, тупым предметом с ограниченной ударной поверхностью. После этого пострадавший потерял сознание. Во время падения тело всадника повернулось вокруг своей оси по ходу часовой стрелки при фиксированном состоянии стоп. В результате этого одновременно образовались винтообразные переломы обеих большеберцовых костей на уровне верхней трети диафиза. В дальнейшем, когда его верхние конечности достигли поверхности земли, наступил перелом костей правого плеча и предплечья. Можно допустить возможность возникновения перелома костей правой руки и верхних переломов большеберцовых и теменной костей при внезапном падении всадника вместе с скачущим конем... Смерть воина наступила во время тяжелой схватки с врагом» (გვ. 103).

ანთროპოლოგი და ქირურგი თავის ფანტასტიკას მარტო ამით არ ამთავრებს, იგი ეძებს მის დამადასტურებელ საბუთებსაც და „პოულობს“ ნიზამი განჯელის „ისკანდერ-ნამეში“.

ქ. კეკელიძე ერთ-ერთ წერილში „საქართველო და ნიზამი განჯელი“ (დაიბეჭდა 1947 წელს გაზ. „სახალხო განათლებაში“) <sup>108</sup> გამოთქვამს ვარაუდს, რომ: ნიზამის „ისკანდერ-ნამეს“

---

<sup>108</sup> ქ. კეკელიძე. ეტიუდები, IV, გვ. 81—89. ციტატებს ვიძოვნებ ამ წიგნის მიხედვით.

პირველ ნაწილში — „შარაფ-ნამეში“ „გამოყვანილია აფხაზე-  
თის მმართველი, სარდალი და მელიქი ვილაყ დვალის, რომელიც არაპვეულებრივი ძალის პატრონი, შემმართველი და  
მამაცი აღამიანია“, და იგი უეჭველად უნდა იყოს თამარის  
ქმარი დაეით სოსლანი, რომელიც „იწოდებოდა მეფედ (მე-  
ლიქი), იყო მთავარი სარდალი მისი ჯარებისა, გულოვანი, მა-  
მაცი და უძლეველი... ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თვით სა-  
ხელი დვალის: დვალის ქართულად სომ იგივე ოსია; ცნობი-  
ლია, რომ თამარის ქმარი დაეით სოსლანი ოსთა მეფისწული-  
ყო“ (გვ. 86).

თ. მაბუკაევეს ჩაუხედნია „შარაფ-ნამეშიც“ და დაუდგე-  
ნია, რომ მასში მხატვრულადაა აღწერილი დაეით სოსლანის  
დაღუბვის ამბავი, რომელზედაც თამარის ისტორიკოსები  
„преднамеренно или случайно“ ზმას არ ეღებენ და რომ-  
ელსაც ოსური ხალხური გადმოცემები და ნეშტის ძვლების  
ტრავმული ცვლილებანი უჭერენ მხარს. იგი წერს: „Истори-  
ки, поэты, одописцы, художники и исторические хроникеры  
XIII века скрывли обстоятельства и причину смерти Да-  
вида Сослана», მაგრამ ნიზამის „შარაფ-ნამედან“ და ნუზა-  
ლის სამარხში ნაპოვნი ნეშტის სიკვდილის გამოწვევი სიტუ-  
აციის დადგენის შედეგად ირკვევა, რომ „полководец средне-  
вековой Грузии Давид Сослан был тяжело ранен в голо-  
ву, будучи верхом на коне“ (გვ. 105—106).

ნიზამის პოემაში მოთხრობილია ასეთი ამბავი (ტექსტის  
ვიზონებებ ე. ბერთელსის თარგმანის მიხედვით)<sup>109</sup>:

[ჯოვრედეს და დუეალის] მოუღერეს ერთმანეთს ბასრი ხმლით,  
რადგანაც შაჰ აღარ აქონდათ უკან დასასვევი ვხა;  
ერთმანეთს ბეგრი ურტყეს, მაგრამ ზიანი ვერ მოაყენეს.  
[პოლოს] ჯოვრედემ მოიქნია მჭრელი ხნალი და  
ამ ფოლადის შიას [=დუეალს] ენოწყალოდ დაჰკრა.  
ფოლადის მუხარადი ჩასჭრა და შუბლსა შეჰკველია.  
დაჭრილი [იგი] სისხლის ზღვაში ჩაიძირა;

<sup>109</sup> Низами Гянджеви. Искандер-Наме, Часть I. Шараф-  
Наме, перевод и редакция проф. Е. Э. Бертельса. Баку, 1940. гл. 334.

დასუსტებულმა ფარულად თავისივე მისცია სადავეებს.

და უკან ვაქუსლა;

ჩამოხტა ცხენიდან და თავი შეიხვია.

შას მისი თავის ვაჭუხის ვამო ვული დაუმიძიდა.

მან ბრძენს უბრძანა, რომ მაშინვე კრილობაზე

სამკურნალო წამალი დაედო და მიაღერებოდა.

რათა დუელს ოდნავ დაესვენა დაღლილობისა და კრილობისგან.

ეს არის საგმირო-სათავგადასავლო და რაინდული რომანებისთვის დამახასიათებელი ორთაბრძოლის ტიპიური აღწერა-რობა, რომელსაც იმავე ეპოქის სხვა თხზულებებშიც ვხვდებით. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანიდან“ ამირან დარეჯანის ძისა და სეფე-დავლე დარისპანის ძის ორთაბრძოლის ეპიზოდი (1969, გვ. 125—126).

„გაიყვანა ცხენი სეფე-დავლე..., შემოიქცა ფიცხლად, შეუზახა, ჰკრა მხარსა მარცხენასა ხრმალი, გააკვეთინა პოლიტიკნი რკინანი, ჯავშანი და ჯაჭვი და მხარსა დიდი შეჰკვეთა. სისხლი ზე ამოიჭრა... ამაზედან ანაზღად ცხენი გაიყვანა დარეჯანის ძემან, შემოიქცა და შემოუტივა სასტიკითა შემოტევებითა, აიდგნა ფერხნი ავეანდათა ზედა და ჰკრა ხრმალი ჩაბალახსა ზედა, გააკვეთინა ორნი პოლიტიკნი რკინისანი, ჩაბალახი და თავსა დიდი შეჰკვეთა, და ეგრეთვე ამოიჭრა მისგანცა სისხლი და დააღეწა ხრმალი ზედა მედგრად“.

რით განსხვავდება ეს ეპიზოდი ნიჰამის მიერ აღწერილი ამბიდან? — მხოლოდ მოტივებითა და პერსონაჟთა სახელთა სხვაობით, ბრძოლის მსვლელობა კი ორივეგან ერთნაირია. თუ ვინმე იტყვის, რომ მოსე ხონელს სეფე-დავლეს სახით გამოუყვანია დავით სოსლანიო, მაშინ, თ. მამუკაევის მსჯელობით, შეიძლება „ამირან-დარეჯანიანიშიც“ დავინახოთ სოსლანის დაღუპვის მხატვრული ასახვა; მაგრამ ვინ დაიჭერებს ამას? ეს ხომ ჩვენი თავის მოტყუება იქნება? განა ფანტასტიკური (თუ ჰიპერბოლურად წარმოსახული) თხრობის მიხედვით შეიძლება ისტორიული სინამდვილის აღდგენა, იმ სინამდვილისა, რომელთანაც თვით თხრობას არავითარი საერთო არა აქვს რა? ამის შემდეგ განსაცვიფრებელია თ. მამუკაევის დასკვნა: „Таким образом, герой поэта Низами — Дуван (ანუ დავით სოსლანი, ი. ლ.) и субъект. тело которого было



პოგრებენო ვ ნუზალსკოი ჩასოვნი, იმსოთ ოდინაკოვო თა-  
 ჟელო პოვრეჟდენია გოლოვი. სლედოთ დობავთი, ჩო სოვ-  
 პადათ ი ლოკალიზაცია ტრავმი გოლოვი ჩაკ უ დუვალა  
 (ვოშე ბროვი), თაკ ი უ პოგრებენო (ვ პრავოი თემნოი  
 ობლასტი). ვ ობოი სლუჩაიჟ კროვ ბუდეთ სტეკათ პო ბროვი.  
 ჩაკ უპოვინათ პოეტ. სლედოვატელნო, მოჟო უთვრჟდათ.  
 ჩო ოსანკი პრინადლჟათ დუვალუ — დავიდი სოსლანუ»  
 (გვ. 106). თუ ასე იოლად ხდებთ უცნობი ნეშტის, მხატვრული  
 პერსონაჟის უცნობი პროტოტიპისა და ცნობილი ისტორიული  
 პირის იდენტიფიკაცია, მაშინ რა უშლის ხელს, რომ თ. მამუ-  
 ჟაევის ტრიოში დუვალის ნაცვლად ჩავსვათ სეფე-დავლე და  
 ვამტყიკოთ, რომ ნეშტი ეკუთვნის სეფე-დავლეს ანუ დავით  
 სოსლანს? ეს მსჯელობაც ხომ ლოგიკურად იმავე ძალისა იქნე-  
 ბა. რა ძალისაც თ. მამუჯაევის დასკვნათ?

მკვლევარის შეცდომა მხოლოდ სხვადასხვა ამბის, მოვ-  
 ლენისა და მონაცემების მექანიკური შეკოწიწებით როდის  
 ამოიწურებთ! მას ავიწყდება (თუ მხედველობის გარეთ რჩე-  
 ბა) „შარაფ-ნამეს“ დაწერისა და ნიჰამი განჯელის გარდაცვა-  
 ლების თარიღები! ნიჰამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის  
 დროდ მიღებულია 1141—1203 წლები, პოეტი „ისკანდერ-  
 ნამეს“ მეორე ნაწილში („იკბალ-ნამე“) წერს, რომ სამოც  
 წელს მივალწიე, მაგრამ ჩემი მდგომარეობა არ შეცვლილათ.  
 მაშასადამე, „იკბალ-ნამე“ დაუწერია მას 1201 წლამდე, ხო-  
 ლო „შარაფ-ნამე“, ბუნებრივია, მასზე ადრე უნდა ჰქონოდა  
 დაწერილი; როგორც ე. ბერთელსი ფიქრობს, დაახლოებით—  
 1196—1200 წლებში<sup>110</sup>. თ. მამუჯაევის თუ დაუუჭერებთ, ნიჰა-  
 მი განჯელს დავითის გარდაცვალებამდე ათიოდე წლით ადრე  
 უწინასწარმეტყველებია, თუ დუვალი (=დავით სოსლანი) რო-  
 გორ დაიღუპებოდა კარის ბრძოლებში. ეს წინასწარმეტყვე-  
 ლება აღსრულებულა კიდევ პოეტის გარდაცვალების შემდეგ!  
 ამგვარი რამ ძველ ქართულ მეტაფრასულ თხზულებებშიც კი  
 არ წამიკითხავს, არა თუ სამეცნიერო ნაშრომში! და აი თავის  
 ზღვარდაუღებელ ფანტაზიას მკვლევარი ამთავრებს იმით, რომ

<sup>110</sup> Е. Бертельс, Низами, 1948, გვ. 236; Е. Бертельс, Из-  
 бранные труды. Низами и Физули, 1962, გვ. 152.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ცნობა დავითის გარდაცვალებებზე გვიანდელ ჩანართად გამოაცხადოს: «Преднамеренно или случайно, но история скрыла не только причину смерти выдающегося государственного и военного деятеля средневековой Грузии Давида Сослана, но и место его погребения. Лишь спустя много столетий после его смерти появилась поздняя запись в «Картлис цховреба» — «История и восхваление венценосцев», где упоминается о том, что в 1207 году «нагрянуло горе — умер Давид Сослан»... и т. д. (გვ. 32).

ეს კი მეტიმეტია!

„ისტორიანი და აზმანი“ დაიწერა ლაშა-გიორგის სიცოცხლეში 1222 წლამდე. დავით სოსლანის გარდაცვალების ცნობა ამ თხზულების ყველა ძველ ხელნაწერშია დაცული და მას არავითარი ჩანართობის კვალი არ ეტყობა. ასე რომ, თ. მამუკაევის ვარაუდი — დავითი მოკლეს (ბრძოლაში დაჭრეს თუ დაიღუპა) — მოკლებულია მეცნიერულ საბუთიანობას. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ცნობა — „მიიცვალა სოსლან დავით“ ნიშნავს იმას, რომ დავითი გარდაცვლილა ბუნებრივი სიკვდილით, და მას უნდა ვენდოთ, რადგანაც ამ ცნობას იძლევა თამარისა და დავითის თანამედროვე, მართლის მთქმელი და დიდად განათლებული მწერალი. ყველა მეცნიერი მოვალეა ენდოს თამარის ისტორიკოსს და სიფრთხლით შეამოწმოს მისი ცნობების ავთენტურობა.

\* \* \*

დასასრულ, ერთი საკითხიც: სად არის დაკრძალული დავით სოსლანი? ოც წელიწადზე მეტია, რაც ე. პჩელინა ირწმუნება, დავითი დამარხულია ნუშალის ეკვდერში, ცარაზონების საგვარეულო სასაფლაოზეო. ზევით უკვე მქონდა მსჯელობა ამ მოსაზრების მცდარობა-ჭეშმარიტებაზე და ამიტომ მას აღარ გავიმეორებ. აქ განვიხილავ ოსურ ხალხურ გადმოცე-

დასა და ვითი გადასვენეს თუ არა გორიდან ნუზალში, და შევეცდები დავასახელო მისი წყაროც.

თ. მამუკაევი წერს: როცა დავითის ცხედარს ოსეთში მისვენებდნენ, ერთ ღამეს ნიქოზის ეკლესიაში დაასვენეს, მერმე ზიკარის უღელტეხილზე გადაიარეს, კასარის ხეობაში ჩავიდნენ და გვამი ნუზალის ეკვდერში დაკრძალეს. ეს ირკვევა იქიდან, რომ არქეოლოგიური გათხრის დროს «на нижней поверхности прикрывающих гробницу дубовых досок найдено большое количество вымерших мелких личинок, а также обнаружено необычное сближение костей плечевых суставов к срединной линии». ჩანს, მიცვალებული დაუმარხავთ თბილ ამინდში, დაკრძალვის ჩვეულებრივ ვადაზე დაგვიანებით და საჩქაროდ, გზაში ხანდაზმული მყოფობის შემდეგ. ამასთან თუ გავიხსენებთ, რომ რუსუდან მეფემ დიდი საფასური გაიღო ნიქოზის ეკლესიის ჯვრის მოვერცხლისთვის, ალბათ, ეს იმიტომ, რომ მამამისის, დავითის, ცხედარი ერთი ღამე ამ ეკლესიაში იყო დასვენებული (გვ. 107—108).

ყველაფერი ეს მკითხაობას უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე მეცნიერულ მსჯელობას. მიწაში ჩამარხული ფიციები რომ დაქინებულა, ან მათს ქვედა ზედაპირზე ბევრი მკვდარი კია მიმხმარა, ვანა აკით შეიძლება იმის დადგენა, რომ მიცვალებული თბილ ამინდში დაუსაფლავებიათ? ვანა გორიდან ნუზალამდე ისე გრძელი და ძნელი სავალი იყო, რომ კირისუფლები გზაში დიდხანს დაყოვნდნენ? ანდა რაკი რუსუდან მეფემ ნიქოზის ჯვარი განაახლა, ეს იმას ნიშნავს, რომ დავითის ცხედარი ერთ ღამეს იქაურ ეკლესიაში ესვენა? სად არის ისტორიული ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ლოგიკა?

ნიქოზის ეკლესია ააშენა ვახტანგ გორგასალმა და იქ დასვა ეპისკოპოზი. ვახტანგმაც იერუსალიმიდან მოიტანა ოთხი ეკრშოკი სიგრძის ჯვარი, რომელიც წარმოადგენდა მთელს აღმოსავლეთში განთქმული ცხოველმყოფელი ძელის ნაწილს. შეამკო ძვირფასი ქვებით და ნიქოზში დაასვენა. მას თაყვანსა სცემდა ყველა იქ მიმსვლელი ქრისტიანი. 1799 წელს ეს ჯვარი ეკლესიიდან გაიტაცეს. ამის გამო გიორგი XII-მ ნიქოზის ეპისკოპოზი ათანასე (+1810 წ.) თანამდებობიდან გადააყენა და გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოში გაგზავნა.

რუსუდან მეფეს კარგად უნდა სცოდნოდა ამ ჯვარის ისტორია და მნიშვნელობა, რადგანაც ნიქოზის ეკლესიის მზარუნველნი თავიანთ ძვირფას განძს, რომელიც დიდ ზემოქმედებითს ძალას ახდენდა მორწმუნეებზე, ფაქიზად უფრთხილდებოდნენ. ცხადია, რუსუდანმაც სწორედ ამიტომ განაახლა ეს რელიქვია<sup>111</sup>.

რაც შეეხება კითხვას, ესვენა თუ არა დავითის ცხედარი ნიქოზის ეკლესიაში, მას ჯვარის განახლებასთან არაფერი აქვს საერთო. იგი ცალკე კვლევის ობიექტია და დაკავშირებულია ერთ ისტორიულ ამბავთან, რომელიც ნიქოზში მოხდა და შემდეგ ოსურ ხალხურ გადმოცემებში აირეკლა.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი როცა თამარის ხელისმძებნელთა ამბებს გვიყვება, იქვე იხსენიებს ოს მეფეთა შვილებს, რომელნიც თამარისადმი მიჯნურობის სენით ყოფილან შეპყრობილნი. „ხოლო მე, — წერს ისტორიკოსი, — ესეცა გაუწყო, საბრალო და საძნაური საქმე, რამეთუ: მოსრულ იყვნეს ოვსთა მეფეთა შვილნი, შვენიერნი და სახე-კეთილნი მოყმენი, მოპაჭენი და მთხოვნელნი; ღირსნი და მონდობილნი ქაბუკობისანი, ვითარ: ღირს რამცა ვიყავით მოწონებად და მიხდომად ბედსა ამას საზესთაოსა! და ვინაცა უქმ იქმნა განზრახვა მათი, წარსრულთა თვისად მამულად ერთსა მათგანსა შეემთხვია მოუთმენელი სურვილი და სიყვარული თამარისი. რომლისთვის ვერ გამძლე, მივრდომილი საგებლად ბნედასა შინა. მიიწია აღსასრულად ნიქოზს, საყდარსა შინა წმიდისა რაედენისსა, რომელი მუნვე დაკრძალეს“ (II, გვ. 37—38). მაშასადამე, 1185 წლის ახლოს ოსეთიდან საქართველოში ჩამოსულან თამარის ხელის საძიებლად ოსი უფლისწულები; რაკი თამარი გიორგიზე გაუთხოვებიათ, ეს უფლისწულნი ისევ ოსეთში გაბრუნებულან. ერთ-ერთ მათგანს გზაზე ისე მორე-

---

<sup>111</sup> Д. Бакрадзе, Кавказ..., გვ. 112—113; Никозский собор. Кавказ, 1891, № 87; Гр. Уварова, Христианские памятники, МАК, IV, 1894, гв. 179—182; Г. Садзагелов-Ивернели, Описание Никозский Михайло-Архангельской церкви в Карталинни, 1898, Тб. ნიქოზის ვრცელი აღწერილობა ეკუთვნის ი. მეგრელიძეს: სტალინირისა და ზემო ნიქოზის სიძველეები, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის შრომები, I, 1952, გვ. 245—320.

ვია შიჯნურობის სენი, რომ ბნედადაცემული ლოგინად ჩავარდნილა და ნიქოზს მისული გარდაცვლილა. უიღბლო ჭაბუკის ცხედარი იქვე დაუსაფლავებიათ. ვფიქრობ, ეს ისტორიული ფაქტია ასახული იმ ოსურ ხალხურ გადმოცემაში, რომელიც მოგვითხრობს დავით სოსლანის ცხედრის წასვენებას გორიდან, ერთი ღამით ნიქოზში გათენებას და შემდეგ ნუზალისკენ გამგზავრებას. რა თქმა უნდა, თავის დროზე ხალხს კარგად ეხსომებოდა ნიქოზში გარდაცვლილი ოსი უფლისწულის ამბავი, მაგრამ დროთა მსვლელობაში იგი დავიწყებას მიეცა, თანაც კონტამინაციით დაუკავშირდა დავითის გარდაცვალების ამბავს და შეითხზა სულ ახალი თქმულება, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. ასე რომ, გადმოცემა დავით სოსლანის გადასვენებაზე ოსეთში წარმოშობილია ორი სხვადასხვა ისტორიული ფაქტის ერთმანეთში აღრევის შედეგად და მისი მოშველიება საბუთად არ გამოდგება.

მაშ, სად დაკრძალეს დავით სოსლანი?

ამაზე საკვებით გარკვეულ პასუხს იძლევა ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატრიანე. იგი წერს: „მოკვდა გიორგი მეფე (იგულისხმება დავით სოსლანის შვილი, ი. ლ.) ბაგავანს რანვარსა თვრამეტსა, ღლესა ოთხშაბათსა. ქორონიკონი იყო ოთხას ორმოცდა ორი [1222 წ.] ...წაიყვანეს მამინვე გელათს, დამარხეს საფლავსა მამისა მისისასა“ (I, გვ. 371). მაშასადამე, დავითი დაუსაფლავებიათ გელათში და იქვე მის გვერდით — ლაშა-გიორგი, მისი შვილი!<sup>12</sup>

გელათი ააგო ქართველ მეფეთა სამარხად დავით აღმაშენებელმა. ანდერძის თანახმად ეს მეფე დაასაფლავეს ტაძრის შესავალში. შემდეგ იქ დრო და დრო ასაფლავებდნენ ქართველ ბაგრატიონებს. აი, სათანადო ცნობებიც:

---

<sup>12</sup> ამ ცნობის ნამდვილობას აღიარებენ აგრეთვე ე. პჩელინა და თ. შამუკაევი. ისინიც ფიქრობენ, რომ დავით სოსლანი გელათში დაასაფლავეს, ოღონდ იქვე დასძენენ: ცარაზონები თავიანთ სახელოვან მოყვარეს გელათში არ დატოვებდნენ და ოსური ჩვეულების თანახმად მის ნეშტს თავის სამშობლოში გადაასვენებდნენო, მაგრამ გადასვენებაზე არსად არაფერია ნათქვამი.

1. „ღემეტრე მეფე ბელტის ცისეს სიიკვალა და გელათის წარიყვანეს, მისგან კურთსეულსა ახალსა მონასტერსა“ (I, გვ. 367).
2. გიორგი მეფემ, „იმეფა ოცდარეა წელი და მიიკვალა სტაგირს კახეთისასა, თეგსა მარტსა ოცდაშვიდსა, სამშაბათსა ვნებისასა და დამარხეს მცხეთას ჟამის სიძნელისაგან და მასვე წელსა გელათს წარიყვანეს“ (I, გვ. 367).
3. თამარ მეფე „წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“ (II, გვ. 113): „მცირეთა შინა დღეთა მცხეთას დადეს და მერმე უკანასკნელ თვით მუნეე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა შისტა სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“ (II, 146). „დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს“ (I, გვ. 369).
4. რუსუდან მეფე „დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა, მონასტერსა გელათს“ (II, გვ. 207) და ა. შ.

ამრიგად, გელათის მონასტერი 1125 წლიდან (ე. ი. დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან) ითვლებოდა ქართველ მეფეთა „სამარხავად და საძვალედ შვილთა მათთა“. ამიტომ, ცხადია, დავით სოსლანს — ქართველ ბაგრატიონთა ჩამომავალს, ბავშვობიდანვე სამეფო კარზე გაზრდილს, თამარ მეფის მეუღლესა და საქართველოს მეფეს, დამარხავდნენ მხოლოდ და მხოლოდ გელათში და, როგორც ლაშა-გიორგისდროინდელი მემკვიდრის ცნობიდან ირკვევა, ეს ასეც მომხდარა. სხვა ვარაუდი გამორიცხულია: თამარი, დავითი და მათი შვილები — ლაშა-გიორგი და რუსუდანი განისვენებენ გელათის მონასტერში.

ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა  
სად რომ დაკრძალენ წმიდათ სხეულთა!

## შინაარსი

წინაბჭე	3
დავით სოსლანის აკლდამის მძიებელნი და ნუზალის ეკვდერის საიდუმლოება	5
ნუზალის ეკლესიის მხატვრობა, წარწერები და ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფია	27
ოს-ბაყათარის ლექს-ეპიტაფიის დაწერის თარიღისათვის	50
ნუზალის ეკვდერის აგების დრო და იქ დაკრძალული პირის ვინა- ობა	55
ნუზალის ეკვდერის ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთების დრო	63
წარწერა „სოსლან“ და ეკლესიის მოხატვა ოს-ბაგრატიონთა ფრეს- კებით	72
ნუზალის ეკლესიის რესტავრაცია	86
დავით სოსლანისა და ნუზალში დაკრძალული პირის იდენტიფი- კაციის საკითხი ოსურ სამეცნიერო ლიტერატურაში	!00

Иван Александрович Лолашвили

ТАЙНА ГРОБНИЦЫ ДАВИДА СОСЛАНИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ჯ. ლომაშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ე. ბათიაშვილი  
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია  
კორექტორი ნ. შამულაშვილი

ვადეცა წარმოებას 15.9.70; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.2.71;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 6.15; სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 5.41; უე 01218; ტირაჟი 20 000; შეკვეთა 2289;  
ფასი 60 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15  
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15